

რესალან მირცხვალავა

ხელოვნური ბის  
ფსიქოლოგიკი  
(მეორე გამოცემა)



გამომცემლობა „პენტავრი“  
თბილისი  
2010

ISBN: 978-99940-898-6-4SS (ბირველი გამოცემა)

რედაქტორი:  
მარიამ იაშვილი

სამუცნიერო საბჭო:  
გასილ პიკნამე  
ლელა რჩიაური  
ირინე აბმსაძე

დამკაბადონებელი: ეპათერინე ოქროპილიძე

გარეგანის დიზაინი: ლაშა ჩხერიძე

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და ქინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“  
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing  
House “Kentavri”

ISBN 978-9941-9161-4-4 (ბერე გამოცემა)

## შინაარსი

<b>1. თავი I – ხელოვნების ფსიქოლოგის რაობა</b> და მისი ძირითადი ამოცანები	5
<b>2. თავი II – ხელოვნების ფსიქოლოგის წანამდღვრები</b>	13
<b>3. თავი III – ზიგმუნდ ფროიდის ხელოვნების</b> ფსიქოლოგია	31
<b>4. თავი IV – ოტო რანქისა და ჰერბერტ მარკუზეს</b> ხელოვნების ფსიქოლოგია	50
<b>5. თავი V – კარლ გუსტავ იუნგის ხელოვნების</b> ფსიქოლოგია	60
<b>6. თავი VI – ხელოვნების თეორია იუნგის</b> ფსიქოლოგიურ სკოლაში	87
<b>7. თავი VII – ხელოვნების კვლევა</b> განწყობის ფსიქოლოგიაში	91
<b>8. თავი VIII – ლევ ვიგოტსკის</b> ხელოვნების ფსიქოლოგია	102
<b>9. თავი IX – ვასილი კანდინსკი,</b> როგორც ხელოვნების ფსიქოლოგი	108
<b>შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა</b>	116
<b>პირთა საძიებელი</b>	131

## სელოვნების ფსიქოლოგის რაობა და მისი მირითადი ამოცანები

**სახელმძღვანელო „ხელოვნების ფსიქოლოგია“**  
მოიცავს იმ თეორიულ შეხედულებებსა და თეორიებს, რომელთაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბებს თანამედროვე ხელოვნებისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის ძირითადი მახასიათებლები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც ხელოვნებისა და კულტურის თეორიულ საკითხებზე მომუშავე, ასევე პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროფესიის პირთათვისაც. სახელმძღვანელოში პოპულარული ენით წარმოდგენილი ძირითადი ფსიქოლოგიური ტერმინები და თეორიული დებულებები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, რომლებიც საკუთარი შემოქმედებითი ამოცანების ჩამოყალიბების პროცესში, ხელოვნების თეორიულსა თუ პრაქტიკულ საკითხებს ეცნობიან.

### ავტორისგან

თანამედროვე ხელოვნების ფსიქოლოგია კულტუროლოგიურ კვლევათა სპექტრში ერთიანდება, როგორც მისი ერთიანი სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტი და როგორც კერძო კულტუროლოგიური დისციპლინა.

თანამედროვე კულტუროლოგია ეფუძნება ფილოსოფიური, სოციალური, ონთოლოგიური, ფიჭილოგიური, ესოეტიკური და საზოგადო, ჰუმანიტარული პრინციპების სინთეზს, რაც თავად კულტურის ფენომენის არაერთგვაროვნებითა და სირთულით, მულტიმედიალიბითა და პოლიმერულობით აიხსნება.

ხელოვნების ფსიქოლოგიის თეორიული თუ მეთოდოლოგიური პრინციპების განხილვამდე უნდა განისაზღვროს ზოგადად კულტურისა და კულტუროლოგიის რაობა. ტერმინი “კულტურა” XVIII საუკუნის ევროპაში შემოვიდა სმარტაში; ტერმინი მხოლოდ სოციალური ეთიკის წესებსა თუ პიროვნების თვითსრულყოფის პრიბლემატიკას უკავშირდებოდა და ჰუმანისტური აღზრდა - განათლების კონტექსტში გამოიყენებოდა. თანამედროვე გაგებით, კულტურა კაცობრიობის მიერ მისი არსებობის მანძილზე შემუშავებული ობიექტების, მოდელების, ეტალონებისა და პარადიგმების ერთიანობა. ჰუმანისტიკას კულტურა ესმის, როგორც ცივილიზაციის ან კაცობრიობის გლობალური ისტორიული გამოცდილება. როგორც შემოქმედებასთან დაკავშირებული რევლექსური მოდელი ან კაცობრიობის თვითშეცნობა, თვითასახვა შემოქმედების პროცესში. ასევე, როგორც ადამიანური რესურსების რეალიზება და გარე სამყაროში პროეცირება; ადამიანური შესაძლებლობების “გარეთ გატანა” და გასავნება. მკვლევარები კულტურას ისეთ უნივერსალურ თუ ეთნიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენებზე აფუძნებენ, როგორიცაა ტრადიცია, ჩვევა, სამართლი, კოგნიტური მოდელი, პიროვნული ნიშანი და სხვ. შესაბამისად, კულტურის ინტერპრეტაცია განსხვავებული (ისტორიული, ეთნიკური, პიროვნული) დისპოზიციების საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

თეორიული და მეთოდოლოგური პრინციპების მიხედვით, ხელოვნების ფსიქოლოგია სოციო-ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასა და პერმენეტიკასთან კავშირდება. როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, ასევე ხელოვნების ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტს კულტურის პროდუქტი შეადგნს; ხელოვნების ფსიქოლოგიის შემთხვევაში ეს მხოლოდ ხელოვნების ნიმუშია. ასევე, ეს დისციპლინები შეისწავლიან კულტურის ავტორს (შემოქმედს, კრეატორს) და კულტურის მომხმარებელს ან მიმღებს (რეციპიენტს). ხელოვნების ფსიქოლოგიის შემთხვევაში – ხელოვნების კრეატორსა და რეციპიენტს. ამას გარდა, ხელოვნების ფსიქოლოგიასა და სოციო-ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში შეისწავლება ინდივიდთა შორის სოციო-კულტურულო კავშირები, მიმართებები, ინტენციები და რეფლექსები; მათ შორის იდენტიფიკაციური, ასიმილაციური თუ კორელაციური პროცესები. ხელოვნების ფსიქოლოგიაში შეისწავლება მიმართება კონკრეტულად ხელოვნებასა და აუდიტორის შორის. თანამედროვე პერმენეტიკა, როგორც კულტურული ტექსტის აზრისა და მნიშვნელობის გაგება – ინტერპრეტაციის ხელოვნება, აქტიურად ურთიერთქმედებს და თანამშრომლობს არა მხოლოდ ხელოვნების ფსიქოლოგიასთან, არამედ სოციალურ ფსიქოლოგიასა და ფსიქოფიზილოგიასთანც. ხელოვნების გაგებისა და ინტერპრეტაციის პროცესში ხელოვნების ფსიქოლოგია ხელმძღვანელობს ინდივიდუალური და კოლექტიური ფსიქოლოგიური ფენომენებით; სწორედ მათ საფუძველზე ცდილობს კულტურული ტექსტის აღწერას, ახსნასა და გაგებას.

ასევე, ხელოვნების ფსიქოლოგია მიმართება აზრის ანთროპოლოგიურ-კულტუროლოგიურ სემანტიკასთან, რომელიც კულტურის სემანტიკური, ნიშნობრივი კომუნიკატივების კვლევასა და ინტერპრეტაციას ემსახურება. მათ შორის იკვლევს კულტურული ტექსტის აზრისა და მნიშვნელობის საკითხებს, კულტურულ პატერნებს, ნორმატივებსა და მატრიცებს. ხელოვნების ფსიქოლოგიისგან განსხვავებით, ანთროპოლოგიურ-კულტუროლოგიური სემანტიკა კულტურის მართვის, რეგულაციისა და ორგანიზების სტრატეგიების შესწავლასა და კულტურის დიფერენცირება–სისტემატიზირებაზეც არის ორიენტირებული.

სახელწოდება „ფსიქოლოგია“ მეცნიერების ინტერესის ფოკუსსა და კვლევის ობიექტს ააშეარავებს: – ეს ფსიქეა ანუ როგორც

კონკრეტული ადამიანის შინაგანი, ფსიქოლოგიური თავისებურებები და კანონზომიერებები, ასევე საკაცობრიო, ზოგადი მენტალობა. (ძვ. ბერმ. „ფსიქე“ – სული, „ლოგოს“ – სწავლება, მოძღვრება, მეცნიერება)(1).

ფსიქოლოგიის ამოსავალი წერტილი ადამიანია – ადამიანია ის ბაზისი და ფუნდამენტი, რომელისგანაც ამოღის ფსიქოლოგი და რომელსაც მუდმივად უბრუნდება. „სულის მეცნიერებისთვის“ არსობრივადა დამახსასიათებელი ანთროპოცურტრიზმი ანუ ფოკუსირება ადამიანის ფსიქიკურ სიღრმეებზე; მის განცდებსა და აზრებზე, სურვილებსა და შიშებზე, წარმოსახვასა და აზროვნებაზე... როგორც პიროვნულ ფსიქო-ბიოგრაფიაზე, ასევე მოელი კაცობრიობის მნიშვალურ-სულიერ საცავზე. შესაბამისად, ხელოვნება და კულტურა ფსიქოლოგიის მიერ განისილება არა მისი სუბიექტისგან ასტრაპირება-განყენებით, არამედ მასთან კავშირში და, უფრო სწორედ, მისგან გამომდინარე. ხელოვნების სუბიექტში იგულისხმება როგორც ავტორი-შემოქმედი (კრეატორი ან ინდუქტორი)(2). ასევე აღმშელი-ამსახველიც (რეციპიენტი)(3).

ფსიქოლოგიის ხელოვნებით დაინტერესების მთავარ და ძირითად მოტივად, სტიმულად ისევ ადამიანი რჩება; ხელოვნება ადამიანისა და მისი შინაგანი, ფარულ-ლატენტური რაობის, უნილავი სიღრმისა თუ სიმაღლის უშესებობა და პირდაპირ ანარეცლად, გამანციადა კონსილუონი! ასე იქცა ხელოვნება ფსიქიკური რეალობისა და მისი მფლობელი ადამიანის კვლევის საშუალებად, მეთოდად თუ „ინსტრუმენტად“. ხელოვნებისა და საზოგადოდ, კულტურის პრიზმიდან ფსიქოლოგიამ სცადა გამოკეთილად და მეფიზიდ დაწახა მისი შემქმნელი და აგრეთვე მისი ადრესატიც, კრეატორი და რეციპიენტიც(4). იქ, სადაც ადამიანის ფსიქოლოგიური კვლევისას უძლეური რჩებოდა ვერბალურ-ცნებითი აპარატი და ლოგიკური აზროვნება, გამოყენებულ იქნა ხელოვნების სიმბოლურ-ხატოვანი ენა. ფსიქოლოგია „უფრო შორს წავიდა“ და მიმართ მითოლოგიას, ფოლკლორს, როგორც კულტურის ზოგად ფუნდამენტს, რათა მათში მოეძია ადამიანისა და კაცობრიობის ფსიქოლოგიური ძირები.

საკუთრივ ხელოვნებას ფსიქოლოგია შეისწავლის (როდესაც მისი ინტერესის ობიექტი სწორედ ხელოვნება ხდება) არა როგორც „თვითკმარ“ ობიექტურ დირებულებას, არამედ როგორც დაკავშირებულს ადამიანთან და გარკვეულ ფსიქო-სოციალურ

პროცესებთან. ფსიქოლოგიური მეცნიერების ინტერესების სფეროს სცილდება ობიექტურ-საგნობრივი მნიშვნელობისა და ღირებულების საკითხები; ესთეტიკური ღირებულებისა და მისი შეფასების მიმართ ფსიქოლოგიას სპიციფიკური „ნედიურენტობაც“ გამოარჩევს.

ყველი შესაძლო სახის (პროფესიული თუ არაპროფესიული, მოზრდილთა თუ არასრულწლოვანთა და ა. შ.) შემოქმედების მიმართ განუჩრეველი და გამთანაბრებელი დამოკიდებულება მათ შორის ზღვარის მოშლისა და აღრევის მიზეზად შეძლება იქცეს. ესთეტიკური ღირებულების საკითხის უგულვებელყოფამ ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტად შესაძლოა მსატვრული შემოქმედების ყოველი სახე და ფორმა აქციოს. უფრო მეტიც, აღნაშნული პოზიციიდან, „დაბალი“ მსატვრული ღირებულების ან „ნედლი“ მასალა შეიძლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანიც გახდეს, მის საფუძვლად არსებული მნიშვლურ-სულიერი ფანომენების გამჭვირვალობისა და თავისებური „დიაბოს“ გამო. არაპროფესიული ხელოვნებისადმი ინტერესი (და აგრეთვე მისი სტილის, ხერხების, მანერის იმიტაცია) თვით პროფესიული, აკადემიური ხელოვნებისთვისაც დამახასიათებელია, რის მთავარ მიზეზადაც „ხალხური“ შემოქმედების განსაკუთრებული უშუალობა და გულწრფელობა სახელდება(5).

ვ. დილთათ ფსიქოლოგიას გამორჩეულ, უნიკალურ ფუნქციას აკისრებდა, აღიარებდა რა მას ჰქონისარულ დისციპლინათა ზოგად მეთოდოლოგიად. ასევე, ო. კიულპეს მიხედვით, ესთეტიკა მის საფუძვლად არსებულ ფსიქოლოგიასთან საწყისეულ, იმანენტურ და განუყოფელ კავშირში იმყოფება. ლ. ვიგორტსკი, ლიპსითან ერთად მიიჩნევს, რომ ესთეტიკა გამოყენებითი ფსიქოლოგიის კერძო დისციპლინაა და ხელოვნების ესთეტიკური განხილვა სოციალურსა და ფსიქოლოგიურ ექსპლიკაცია-ასხნას უცილობლად გულისხმობს. ავტორი დასტენს, რომ მსატვრული ნაწარმოები ესთეტიკურ ნიშანთა ერთობლიობაა, რომელთა ანალიზი იმთავითვე საჭიროებს ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენებას. ასევე, კ. იუნგი ესთეტიკას ფსიქოლოგიის კერძო დისციპლინად მიიჩნევდა, ხოლო კულტურის კვლევებს მხოლოდ ფსიქოლოგიური დისკურსის ჩარჩოებში მოიაზრებდა.

დესკრიპტივისა და ექსპლიკაცია – ასხნის მეცნიერულ ამოცანათა გამთლიანებით ფსიქოლოგიას, მართლაც,

უნიკალური როლი ეკსრება კულტუროლოგიურ კვლევათა სპექტრში. ხელოვნების თეორიისგან განსხვავებით, ფსიქოლოგია მიმართულია არა მხოლოდ საკვლევი ფენომენის აღწერისკენ, მისი სტილისტური, მანერული, სტრუქტურული თუ ისტორიული მახასიათებლების შესწავლისკენ, არამედ ასევე ფსიქო-სოციალური (ზოგადკულტურული, ისტორიული თუ ეთნიკური) დეტერმინანტების (მიზეზების, მოტივების, სტიმულებისა და იმპულსების) კვლევისკენაც. ფსიქოლოგიის ამოცანას შეადგენს არა მხოლოდ აღწერითი (კითხვა – „როგორ?“), არამედ ასევე ახსნითი (კითხვა – „რატომ?“) პრობლემების გააზრება და კაუზალურ, მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა მოძიება(6). მაგალითისთვის, მსატვრული ტილოს (ვთქვათ, სანდრო ბოტიქელის „გაზაფხული“ ან დავით კაკაბაძის „დედა“) არა მხოლოდ ფსიქოლოგიური აღწერა-დახასიათება და მისი სიბოლოურ-ხატოვანი ენის ამოცითხვა, არამედ ტილოს საფუძვლად არსებული, განმსაზღვრელი კანონზომიერებების გამოვლენაც (ავტორის მოტივაცია, ფსიქოლოგიური „ქოდი“ – ინურმაცია და სხვ.).

### **ხელოვნების ფსიქოლოგიური კვლევა რამდენიმე ძირითად ამოცანას ითვალისწინებს, როგორიცაა:**

1. ხელოვნების ფსიქო-სოციალურ დეტერმინანტთა და ფუნდამენტურ-ესთეტიკურ ფენომენთა კვლევა, ესთეტიკურსა და ფსიქო-სოციალურ ფენომენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ მიმართებათა მოძიება, ხელოვნებისა და მსატვრული შემოქმედების ახსნა-ექსპლიკაცია (პრობლემა „რატომ“); კერძოდ, რატომ იქმნება ხელოვნების ნაწარმოები, რას წარმოადგენს შემოქმედების იმპულსი თუ სტიმული, რომელი ფსიქო-სოციალური კანონზომიერებები მოქმედებენ მსატვრული ხატის ავების პროცესში, რა შეადგენს ხელოვნებისა და შემოქმედების ფსიქოლოგიურ რაობას და სხვ.

2. ხელოვნების ფსიქოლოგიური ანალიზი (პრობლემა „როგორ“); მსატვრული ნაწარმოების ფსიქოლოგიური აღწერა- დესკრიპცია, ავტორის ფსიქოლოგიური თავისებურებების ნაწარმოებში ასახვის როგორობის გაშუქება, წარმოდგრინდი სიბოლოებისა და, საზოგადოდ, მსატვრული მეთოდების, სტილის, მანერის ფსიქოლოგიური გააზრება და გარკვეულ ფსიქო-სოციალურ მოვლენებსა და კანონზომიერებებთან მათი მიმართების შესწავლა.

3. ავტორის (კრეატორ-ინდუქტორის) ფსიქოლოგიური კვლევა;

,„ვინ“ დგას ნაწარმოების უკან, როგორ ხასიათდება შემოქმედის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, რა პიროვნული ნიშნები აყალიბებს შემოქმედს, რა სახით აისახება ავტორის ფსიქოლოგია მის ქმნილებებში, რა კავშირშია ავტორი მისი შემოქმედების მახასიათებლებთან და სხვა.

ზემოთ განხილული საკითხები ე. წ. კრეატიული ანუ შემოქმედების ფსიქოლოგიის ძირულ პრობლემებს შეადგენს.

4. რეცეპციის ანუ ხელოვნების აღქმის, ავტორისა და მისი აუდიტორის მიმართების შესწავლა და მხატვრული კომუნიკაციის საკითხთა კვლევა. კერძოდ, ისეთ საკითხთა გაშუქება, როგორიცაა: რატომ და როგორ ახდენს (ან არ ახდენს) ზემოქმედებას მხატვრული ნაწარმოები, როგორია ესთეტიკური რეაქციის ფსიქოლოგიური მახასიათებლები. ასევე, ისეთ ფუნდამენტურ ესთეტიკურ ფენომენთა ანალიზი, როგორიცაა: ემპათია, კათარზისი, ინსათო, ტელე და სხვ. აღნიშნული საკითხებით ე. წ. რეცეპციული (ესთეტიკური აღქმის) ფსიქოლოგია დაინტერესებული. კრეატიული და რეცეპციული ფსიქოლოგია ხელოვნების ფსიქოლოგიის ორ მთავრ განშტოებას წარმოადგენს.

5. ხელოვნების ცალკეული დარგების უტილიზაცია-გამოყენება კონკრეტული ფსიქო-თერაპიული მიზნებისა და ამოცანებისთვის. არტ-თერაპიული (ანუ ხელოვნების დარგებთან დაკავშირებული ფსიქო-თერაპიული) მეთოდების გამდიდრება და სრულყოფა, მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების აქტიური ჩართვა ადამიანის ფსიქოლოგიური დახმარების, ფსიქო-პროფილაქტიკის, თრენინგისა თუ ფსიქო-თერაპიის პროცესში. თანამედროვე არტ-თერაპიაში გამოიყოფა ისეთი ქვე-დარგები, როგორიცაა: მუსიკა-თერაპია, სახვითი ხელოვნებით თერაპია, ცეკვით თერაპია, ფსიქო-დრამა (დრამატული ხელოვნებით თერაპია), ნიღბებით თერაპია, წარმოსახვითი საგარჯიშოებით (იმაგინაციით) თერაპია და სხვა. ხშირად გამოიყენება კომპლექსური მეთოდებიც, რომლებიც მთელი მხატვრული არსენალის აქტიურ ჩართვას გულისხმობს თერაპიულ პროცესში.

რა თქმა უნდა, ხელოვნების ფსიქოლოგის ამოცანები არაა იზოლირებული; ეს უკანასკნელი არსებოთ კავშირში იმყოფებიან და ურთიერთისგან გამომდინარეობენ. ყოველი ცალკეული ამოცანა იმ მთლიან სისტემაშია ჩართული, რომლის მოაზრებაც მხოლოდ ზოგადი, ერთიანი თეორიისა და კონცეპციის პრეროგატივა.

ხელოვნებისა და ფსიქოლოგის ურთიერთისართება ესთეტიკური ფენომენების მეცნიერული კვლევით არ ამოიწურება; აღნიშნული მიმართება არაერთგვაროვანია და მრავალმხრივი(7). უფრო მეტიც, ზღვარი ხელოვნებასა და ფსიქოლოგიას შორის, არც თუ იშვიათად, ეფექტურულიც ხდება; მოარულ შეხედულებად იქცა, რომ ყოველი ხელოვნი იმავდროულად ფსიქოლოგია, რომ ყოველი მხატვრული ნიმუში და კულტურული ტექსტი გარკვეული ფსიქოლოგიური ინფორმაციის მატარებელია. არ აზვადებდა ზ. ფროიდი, როდესაც თავის დიდ მასწავლებლებად სოფოკლეს, შექსპირსა და დოსტოევსკის ასახულებდა. ეს ინტელექტუალის მიერ კულტურისადმი ხარჯის მოხდის ელგანტური ჟესტი კი არ იყო, არამედ – საკუთარი იდეების წყაროსა და მძლავრი სტიმულის გულწრფელი და დაუფარავი აღიარება.

ხელოვნების მიერ გაკავლულ გზაზე მავალი მეცნიერება უხვად საზრდოობს მხატვრული აზროვნების პროცესში შობილი იდეებითა და წარმოდგენებით, რათა მათი მეცნიერული დამუშავების გზით ახალსა და აქტუალურ ფსიქოლოგიურ (და არა მსოლოდ ფსიქოლოგიურ) კანონზომიერებებს წვდეს. ხელოვნებაც, თავის მხრივ, ღია ფსიქოლოგიური და, საზოგადოდ, ჰერმანიტარული ინფორმაციის მიმართ და მიუხედავად „შშრალი“ მეცნიერული დისპოზიციის (პოზიტივისტური აზროვნების სტილის) ოპონირებისა, მას მუდმივად (ცნობიერად თუ არაცნობიერად) ასახავს და ირეკლავს.

აღინიშნება განსაკუთრებული, ერთი შეხედვით, პარადოქსული შემთხვევები, როდესაც ხელოვნება გარკვეული ფსიქოლოგიური თეორიის ან ფსიქური კანონზომიერების აშკარა ილუსტრაციას ახდენს. ფსიქოლოგიისადმი ასეთი მძაფრი ინტერესი შეიძლება, სხვადასხვა მიზეზით აიხსნას; ახალი, ზოგჯერ პაკანტურ-ინტიმური და სკანდალური თემებით მანი პულირების მოტივით, ასევე ხელოვნის „მონუსხვით“ პოპულარული თეორიის მიერ. მაგრამ მთავრი მიზეზი მაინც ხელოვნებისა და მეცნიერების (და მით უფრო, ჰერმანიტარული მეცნიერების) ცვლილების, ისტორიული განვითარების საერთო გზაა, საზოგადოდ, საკაცობრიო სულიერების მთლიანობა, რომელიც ერთიანა და იმავე აქტუალური და მტკიცნეული, მწვავე თემების ასახვასაც უკავშირდება. ასახვა სპეციფიკური და თავისთავადი ფორმებით ხდება; მეცნიერება ცნებითი აპარატითა და ლოგიკური აზროვნებით ოპერირებს, ხოლო ხელოვნება ავექტურად დამუშავებულ, სიმბოლურ-ხატოვან ენას მიმართავს.

ხელოვნებამ განსაკუთრებული შემოქმედებითი მუხტი ზ. ფრონიდის თეორიისგან, „ფსიქონალიზისგან“ მიიღო; კრეატულმა იმპულსმა ხელოვნების ყოველი დარგი მოიცვა. ასეთი განსაკუთრებული ზემოქმედების მთავარი მიზეზი ფრონიდის ენის მეტაფორულობას, ინტიმობას და, რაც მთავარია, მისტიური და თანაც ინსტინქტური „საიდუმლოს“ გააშეკრავების ზემოცანას უკავშირდება; ზ. ფრონიდის თეორია პოზიტივიზმის მიერ ხელოვნების ქმნილებად, საშინელებათა უნრის რომანად ანდა თავად ავტორის აღსარებად, მის აუტო-ფსიქონალიზად შეირაცხა. მაგრამ ფაქტია, რომ „მკაცრი“ მეცნიერების მიერ ირონიზირებულმა თეორიამ არა მხოლოდ კულტურასა და ხელოვნებაზე, არამედ თანამედროვე ადამიანისა და საზოგადოების ცნობიერებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა(8).

ლიტერატურამ, სახვითმა ხელოვნებამ, თეატრმა, კინომ, მუსიკამ, ქორეოგრაფიამ – ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგმა საკუთარი, სპეციფიკური ენით ააქცირა ფრონიდის არა თუ იდეები, არამედ თეორიაც მთლიანობაში. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა და ნაშრომის შესავალი ნაწილის ფარგლებს გასცდებოდა. ამიტომაც აქ მხოლოდ ორ მკაფიო მაგალითზე შევჩერდებით; ა. ჰიჩკოკის კინოფილმზე „ფსიქო“ და ა. შონბერგის ოპერაზე „ბედნიერი ხელი“. ხელოვნების ორივე ნიმუში არა მხოლოდ ეფუძნება ზ. ფრონიდის თეორიას, არამედ მის მხატვრულ იღუსტრირებასაც ახდენს, ერთ შემთხვევაში, კინონის და, მეორე შემთხვევაში, მუსიკალური ენის მხატვრული ხერხების გამოყენებით. კინომ და მუსიკამ გამზოგადებული სიმბოლოს სახით ასახა ადამიანის ფსიქოლოგიური პრობლემა – დაუძლეველი წინააღმდეგობა ცნობიერ-გონით და არაცნობიერ-ინსტინქტურ საწყისებს შორის, მხატვრულად დამტუშავა მეცნიერული ტერმინები, როგორიცაა ლიბიდო (ა. შონბერგთან ეს უკანასკნელი პროტაგონისტის ბეჭებზე შემომჯდარი სასტიკი და მუდმივად მომთხოვნი ცხოველის სახითაა წარმოდგენილი), ოიდიპოს კომპლექსი (ა. ჰიჩკოკთან მის შემზარავ მეტაფორად შვილის ენით ამეტყველებული დედის გვამი იქცა), სუბლიმაცია (შონბერგთან მისი მეტაფორაა პროტაგონისტის ტალანტი- ხელის შეხებით ყოველივეს კეთილშობილ ოქროდ ქცევისა), ეროტულ-თანატური არაცნობიერი (ჰიჩკოკის ფილმში მას პირქუში ციხე-სიმაგრე განასახიერებს; სახლი, როგორც მოჩვენებათა საცვი, ერთდროულად

ჩვეული და უცხოც, ერთგვარი სახლი-ხაფანგი). (აღნიშნული ტერმინები ნაშრომის II თავში იქნება განხილული).

ცალკე ანალიზს იმსახურებს „არაფსიქოლოგიური ხელოვნების“ შესაძლებლობის საკითხს; რამდენად რეალურა ფსიქოლოგისგან ნეიტრალური ხელოვნების არსებობა, რომელიც სრულად გამორიცხავდა ფსიქოლოგიურ მიღვომასა და შინაგანი, ლატენტურ-ფარული, „ამოსაკითხი“ (და თანაც, არა მხოლოდ ფსიქოლოგიური) ინფორმაციის არსებობას. ასეთად შეიძლება განვიხილოთ რეალისტურ-დოკუმენტური ხელოვნება (ფოტოგრაფიის ან ქრონიკის მსგავსი), რომელიც ავტორისგან განყენებასა და რეალობის ობიექტურ ასახვას ცდილობს. მაგრამ რამდენად „ანონიმურია“ ან „უავტორო“ ამგვარი ხელოვნება? რამდენად შეუძლია ავტორს (მისი პიროვნული თუ კოლექტური ფსიქით) საკუთარი ქმნილებისგან განყენება? რამდენადაც შესაძლებელი, არსებობდეს „უპიროგნო“ და სრულად ობიექტური ხედგა? გაგრცელებული და საკმაოდ არგუმენტირებული შეხედულების მიხედვით, ავტორი, როგორც აქტიური სუბიექტი პროდუქტის სტრუქტურაში ყოველთვის (გამონაკლისის გარეშე) ჩაერთვის და მისგან განუყოფელი ხდება. თვით იმ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც, როდესაც შემოქმედების აგანსცენაზე ზეპიროვნული არაცნობიერი (კოლექტური არაცნობიერის არქეტიპები) გამოდის. (იხ. ნაშრომის V თავი).

„არაფსიქოლოგიური“ ან „ფსიქოლოგიისგან დაცლილი“ ხელოვნების კვლევა შესაძლოა, განსაკუთრებლად მნიშვნელოვანიც გახდეს, რადგანაც მოჩვენებითი ობიექტურობა და ინდივიდუალური ფუნდამენტურ ფსიქოლოგიურ პროცესებს მეტ სიმკვეთრესა და სიმბაზრეს ანიჭებს. აღნიშნული „პარადოქსი“ უდევს საფუძლად პიროვნების კვლევის ე. წ. „პროექციულ მეთოდებს“, რომლებმციც პიროვნება უნგურად, მისთვის „ნეტრალურ“ და „გარეშე“ მსალაზე პიროვნული თავისებურებების პროცესირებას ან გადატანას ახდენს; ასე მაგალითად, „თემატური აპერცეპციის ტესტში“ ნახატის (მაგალითად, მოსაუბრე ქალისა და მამაკაცის სურათის) უბრალო აღწერისას ცდისპირი რეალურად არა ნახატზე, არამედ საკუთარ პიროვნებაზე, პიროვნულ პრობლემებსა და მახასიათებლებზე სუბრობს; პიროვნული ფსიქოლოგიური ნიშნებისა და თავისებურებების შესაბამისად ნახატი მხოლოდ გარკვეული, კონკრეტული რაკურსიდან აღიმება. (ქალისა და მამაკაცის საუბარსა და მოქმედებაში ცდისპირი

იმ შინაარსსა და მნიშვნელობას დებს, რომელიც მისთვის პიროვნულად აქტუალურია და რომელიც მის განწყობებსა და ფსიქოლოგიურ გამოცდილებას შეესაბამება. ეს შეიძლება იყოს სიყვარული, აგრესია, მორჩილება, ინტერესი, საქმანი კავშირი, ვნება და სხვა)(9).

თანამედროვე ინტერდისცია პლინარულ კულტუროლოგიურ კვლევათა სპექტრში ხელოვნების ფსიქოლოგიას საკუთარი, სრულიად გამორჩეული ფუნქცია თუ დანიშნულება გამოარჩევს. წინამდებარე ნაშრომი ხელოვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებებისა და მიმდინარეობების გამუქებას თვალისწინებს. წარმოდგენილი თეორიები, ფსიქოლოგიური კანონზომიერებები და ფენომენები ხელს შეუწყობს ხელოვნებისა და კულტურის კვლევების გამდიდრებას მნიშვნელოვანი (და ზოგჯერ აუცილებელი) ინფორმაციითა და ასევე თანამედროვე მეცნიერული მეთოდიკით. დახმარებას გაუწევს ესოეტიკური მოვლენების როგორც თეორიულ შესწავლას, ასევე კონკრეტულ პრაქტიკულ მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტასაც.

## თავი II

### სელოვნების ფსიქოლოგიის ფანამდლობები

ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი, ემპირიულ-ექსპერიმენტული მეცნიერება, მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევარში ჩნდება სარბიელზე, როდესაც ლაიფციგში ვილჰელმ ვუნდტის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია იხსნება. ამ პერიოდამდე ფსიქოლოგიური კვლევები ფილოსოფიასა (როგორც „მეცნიერებათა დედას“, ზოგად „სიბრძნის სიყვარულს“) და ფილოსოფიურ გონებაჭვრეტით მეთოდს უკავშირდება. ადამიანის პრობლემა მუდმივად იდგა ფილოსოფიური განსჯის დღის წესრიგში, რომელშიც საკუთრივ ფსიქოლოგიური ასპექტიც მოასრულდა, როგორიცაა ადამიანის ფსიქეს, მის ცალკეულ ფუნქციათა თუ მოვლენათა რაობა და ფუნქციონირების თავისებურებები.

### ანტიკური ფილოსოფიური აზრი და ესთეტიკა

თანამედროვე ხელოვნების ფსიქოლოგიის უადრესი წანამდლვრები ანტიკური ესთეტიკის სფეროში უნდა ვეძიოთ(10,75,76,77,78,79). როგორც ცნობილია, ანტიკური ესთეტიკა ჩვენს ერამდე VI ს. იქმნებოდა და უმაღლეს განხორციელებას V-IV საუკუნეებში მიაღწია. მის ადრეულ წარმომადგენლებად პერაკლიტეს, პითაგორასა და დემოკრიტეს ასახელებენ.

დემოკრიტესგან განსხვავებით, რომელიც მშვენიერების ობიექტურ პირობად კოსმიურ, სოციალურ და ანთროპულ (სამყაროს, საზოგადოებისა და ადამიანის შინაგან) წესრიგს, სიმწყობრესა და პარმონიას აღიარებს, პითაგორა სუბსტანციურ მშვენიერებას განყენებულ რიცხვით მიმართებებსა და „რიცხვთა პარმონიაში“ მოიძიებდა. პითაგორას შეხდაულებათა მიხედვით, რიცხვთა პარმონია კოსმიურ მუსიკასთანაა კავშირში; მუსიკაში განხორციელებული ღვთაებრივი წესრიგი სამყაროს, უნივერსუმს, „ციურ სფეროებს“ მოიცავს. სწორედ კოსმიური მუსიკის, ხელოვნების ამ პირველადი „მოღლების“ ან პირველსახის მიბაძგასა და აქლერებას ცდილობს საკუთარი მხატვრული შემოქმედებით ადამიანი და ამ მცდელობით

არამიწიერ წესრიგსა და პარმონიას ეზიარება. ამიტომაც პითაგორა მუსიკას (როგორც ხელოვნებათაგან გამორჩეულს) უნიკალურ, სრულიად გამორჩეულ მნიშვნელობას მიაწერს; – მუსიკა მაკათარზისებრლი ზემოქმედების მქონეა; მუსიკა ადამიანს მიწიერ და მავნე ვნებათაგან განწმენდს. თუკი ჰერაკლიტე ცეცხლის განმწმენდ-მაკათარზისებრლ ძალაზე მიუთითებდა, პითაგორას ასეთად მუსიკა, მუსიკის ესთეტიკური ცეცხლი ესახება.

როგორც ვხედავთ, ვნებათაგან განწმენდისა (კათარზისის) და ასევე, მიბამა-მიმესისის (11,76,77,78,79) იდეებს ჯერ კიდევ პითაგორას ესთეტიკა გვთავაზობს. ეს იდეები საუკუნეთა მანძილზე ცვლილებებს განიცდიდა, თუმცა მათი არსი ფაქტობრივად უცვლელი რჩებოდა. ასე მაგალითად, არისთიდ კვინტილიანეს (II-III ს.) გაგბით, კულტურის დაბალ საფეხურებზე შევბასა და სიამოვნებას მხოლოდ შესაბამისი აქტიური მოქმედება – სიმღერა და ცეკვა ოწვევს, ანუ კათარზისი მხოლოდ აქტიორის, შემოქმედის „ბედნიერი“ ხვედრია. კულტურული და ინტელექტუალური განვითარების მაღალ დონეზე კი სასიმოვნო შევბა (ასე ესმის ავტორს კათარზისის არსი) მსმენელისა თუ მჭვრეტელისთვისაც (რეციპიენტისთვისაც) ხდება დამახასიათებელი(12,13,14).

პითაგორა თანამედროვე არტიტრაპიის მამად მიიჩნევა; მუსიკა (ქარზე შესრულებული მელოდია) თერაპიული მიზნებისთვის პირველად სწორედ გენიალური ბერძნი ფილოსოფოსის სკოლაში იქნა გამოყენებული. პითაგორელები ნებისმიერი დაავადების მიზეზს ადამიანის შინაგანი პარმონიისა და წესრიგის რღვევაში ხედავდნენ და მის აღდგენას შესაბამისი მუსიკის გამოყენებით ცდილობდნენ. არსებობს ლეგენდა, რომ დიდი პითაგორა წინდაწინ სწავლობდა პაციენტს („დიაგნოზს“ სვამდა მისი პირვენების შესწავლის საფუძველზე), შემდევ საგნგებიდ მისთვის წერდა მუსიკას (სულიერი თუ ფიზიკური სენის თავისებურებათა გათვალისწინებით) და ბოლოს, ქარზე უსრულებდა. პითაგორას მიერ მიკვლეული თერაპიული მეორები დღეს აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მუსიკა-თერაპიაში, თუმცა რა თქმა უნდა, გარკვეული სახეცვლილებით.

პლატონის ესთეტიკის საფუძველია მოძღვრება იდეათა შესახებ; იდეათა ერთიან სისტემაში მოიაზრება პლატონის მიერ მშენიერების იდეაც. რეალური საგნები და ასევე ხელოვნება (საგანთა ხელოვნებისეული ასახვა) იდეათა პირველადი სამყაროს ანარეკლება.

მოუხედავად ამისა, ხელოვნების როლი პიროვნების აღზრდის პროცესში განუზომელია; პლატონი საგანგებოდ მიუთითებს ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობაზე. თუმცა, ამავე დროს აღნიშნავს, რომ შემოქმედებას ირაციონალური და უმართავი ბუნება ე.წ. „დვიაუბრივი სიშმაგე“ უკავშირდება(16).

პლატონის მოძღვრებაში გამორჩეულია მიმესისის (მიბაძვის) ფენომენის მნიშვნელობა; პოზიცია ბაძავს ჰეშმარიტებას, მაგრამ ვინაიდნ თვით მატერიალური სამყარო იდეათა სამყაროს უხეში კოპირებაა, ამიტომაც ხელოვნება მისი ბუნებისთვის დამხასიათებელი „ორმაგი“ მიმბაძველობის გამო შორს სცილდება იდეათა ჰეშმარიტებას; რეალური საგნები იდეების მიმესისია, ხოლო ხელოვნება – რეალური საგნების მიმესისია.

ძველ ბერძნობა უძველესი ხელოვნება, ე.წ. ქორეა, უპირველეს ყოვლისა, გრძნობათა გამოხატვა – განმუხტვას ემსახურებოდა და ცეკვის, მუსიკისა და სიმღერის გამთლიანება-ინტეგრირებას ახდენდა. ქორეა კულტსა და რიტუალს და, განსაკუთრებით კი, დიონისეს მისტერიებს უკავშირდებოდა. არის მოსაზრება, რომ ტერმინი „მიმესისი“ სწორედ დიონისეს კულტში ჩნდება, სადაც ქურუმთა მიმიკასა და ცეკვებს გამოხატავს. ნიშანდობლივია, რომ პლატონი და სტრაბონი ტერმინებს „მიმესისი“ და „მისტერია“ სინონიმებად იყენებენ, ხოლო დელფინის ჰიმნებში „მიმესისით“ სარიტუალო და თავისი არსით ექსპრესიული ცეკვა აღინიშნება(17).

არისტოტელეს ესთეტიკაშიც მიმესისს („ხელოვნება ბაძავს ბუნებას!“) სათანადო ადგილი განეკუთვნება. მიმესისი რეალობის მარტივი კოპირება როდია; პოეტს შემოქმედებითი თავისუფლების საფუძველზე საგნებისა და მოვლენების ასახვა განსხვავებული რაკურსიდან შეუძლია; კერძოდ, საგნების ასახვა რეალისტურად (რიგორიც ეს უკანასკერლი არიან), სუბიექტურად (რიგორიც ფიქრობენ მათზე) და იდეალისტურად (რიგორიც უნდა იყვნენ ისინი). არისტოტელე არა მხოლოდ ადიფერენცირებს ხელოვნების დისკრეტულ ჟანრებს (დრამა, კომედია, ტრაგედია), არამედ იძლევა ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების გაგების ზოგად მოღელსაც; მიუხედავად იმისა, რომ შვენიერების საფუძველი თანამომიერება, წესრიგი და ერთიანობაა, შემოქმედის შესაძლებლობები არ იფარგლება „ცოვი“ და უცვლელი პარმონიის ერთფეროვან – ცალსახა კოპირებით; რეალობის ასახვისას მას, თანამედროვე ენით

რომ ვთქვათ, ინტერპრეტაციული თავისუფლება ენიჭება.

საგულისხმოა, რომ ესთეტიკური აზრისთვის მიმესისის იდეა ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე თითქმის უცვლელადაა დამახსასათებელი; იდეა, რომელიც ბუნებას ხელოვნების პირველხატის სახით წარმოადგინს. თანამედროვე ხელოვნების ფსიქოლოგიაშიც მძლავრად იგრძნობა „მარადიული იდეის“ ნაშენები; ფსიქოანალიზი მხატვრული შემოქმედების საფუძვლად ბიოლოგიურ ძალებს, ინსტინქტებს (ანუ ბუნებრივ პირველხატს) აღიარებს; შესაბამისად, ხელოვნება ბუნებრივ ძალთა (ან ბუნების) ასახვად და არეკვლად მიიჩნევა.

არისტოტელეს მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კათარასისის იდეას(15). პლატონთან კათარზისში სულის იმ გრძნობად (სხეულებრივი ან მატერიალური) განცდებისგან განწმენდა იგულისხმებოდა, რომელიც იდეათა შშვენიერებას აკნინებენ და მათში ხინჯი შეაქვთ. საგულისხმოა, რომ ფილოსოფოსი კათარზისი ფენომენს ხელოვნებისგან დამოუკიდებლად იხილავს და მასში ადამიანის სულის თვით-კონცენტრაციის ან სხეულისგან აბსტრაქტორების (სულის სხეულისგან „დამოუკიდებლად არსებობის“) უნარს ხედავს. პლატონისგან განსხვავდით, არისტოტელე კათარზის სწორედ ხელოვნების ზემოქმედების არსად და კვინტესენციად მიიჩნევს. „პოლიტიკის“ ავტორი აღნიშნავს, რომ მუსიკის ზემოქმედებით აღიძგრის ძლიერი აფექტები (სიბრალული, შიში, ენთუზიაზმი), რასაც ამ აფექტთაგან განწმენდა (კათარზისი) ან სასიამოვნო განმუხტვა (ნეტარი შეება) მოსდევს.

აფექტების (ძლევამოსილი ემოციების) მნიშვნელობაა ხაზგასმული არისტოტელეს „პოეტიკაშიც“. სასცენო წარმოდგენისგან დამოუკიდებლადაც ფაბულამ (იგულისხმება ტრაგედია, როგორც ხელოვნების „მაღალი“ ან „უპირველესი“ უნრი) უნდა შეაძრწუნოს მსმენელი და მასში თანაგანცდა (თანატანჯვა) გამოიწვიოს (თავი 14). შესაბამისად, ხელოვნების უპირველესი მიზანი ძლიერი და თანაც უარყოფითი მუხტის ემოციათა გამოწვევაა. მაგალითის სახით არისტოტელეს სოფოკლესული „ოდიდიპოსის“ ფაბულა მოჰყავს, რომელიც მასში ასახული შემაძრწუნებელი მოვლენების საფუძვლის იმთავითვე გულისხმობს მკვეთრად ნეგატიური ემოციების სტიმულირებას.

„პოეტიკის“ ამავე თავში არისტოტელე შიშა და თანაგანცდასთან

(თანატანჯვასთან) დაკავშირებულ სიამოვნებაზე წერს. „და რადგანაც პოეტმა მხატვრული ნაწარმოებით უნდა მოგვანიჭოს სიამოვნება, გამომდინარე თანაგანცდისაგან (რ. მ. – ტანჯვის გაზიარების მსგავსი) და შიშისგან, ამიტომაც ცხადია, რომ სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იგულისხმებოდეს თავად მოვლენებში“ (თარგმანი ჩემია – რ. მ.). შესაბამისად, არისტოტელეს გაგებით, ხელოვნების ზემოქმედება ამბივალუნტურ, ორპოლუსიან (ტანჯვა-სიამოვნება) და სწორედ ამის გამო, ძლიერი ინტენსივობის ემოციებს (ტანჯვით მოპოვებულ ან ტანჯვით მიღწეულ სიამოვნებას) უკავშირდება(18). არისტოტელეს იდეა არა ერთი ინტერპრეტაციის სტიმულად იქცა, რაც მის გამორჩეულ პროდუქტულობაზე მეტყველებს.

ხელოვნების ამბივალუნტობის (რომელიც, არისტოტელეს გაგებით, ხელოვნების ზემოქმედების მთავარი და ძირითადი ინსტრუმენტია) საილუსტრაციოდ ძველი ბერძნი ავტორი კონკრეტულ მაგალითებს და „რეკომენდაციებს“ იძლევა; „თუკი მტერი აიძულებს მტერს იტანჯოს, – მაშინ ის არ იწვევს თანაგანცდას (თანატანჯვას). ასევე ხდება, როდესაც ამგვარად მოქმედებენ ერთმანეთისადმი გულგრილი პირები. მაგრამ როდესაც ტანჯვა ჩნდება მეგობრისგან – მაგალითად, როდესაც მმა კლავს მმას, შვილი – მამას ან დედა – შვილს ან შვილი – დედას ანდა აპირებს ანდა აკეთებს რამეს ამდაგვარს – აა, რა უნდა ეძიოს პოეტმა“ (არისტოტელე „პოეტიკა“, თავი 14).

არისტოტელეს მიხედვით, კოლიზია, დაპირისპირებულ ძალთა ჭიდილი და შერკინება, დამკვიდრებულ ნორმათა და სტანდარტთა ზღვრის გადაღაზვა, „მიღებილის“ მიღება და დაშვება – ხელოვნების ადამიანზე ზემოქმედების ფუნდამენტს ქმნის. ხელოვნება არა თუ ცდილობს გარკვეული ნორმების (თუნდაც ბიოლოგიური ნორმების) დაცვასა და შენარჩუნებას, არმედ, პრიქო, სწორედ მათი დარღვევთ იძენს უნიკალური ზემოქმედების უნარს. „პოეტიკის“ VI თავში არისტოტელე ტრაგედიის საფუძველში არსებულ კათარზის მიმესითან აკავშირებს; ტრაგედია მნიშვნელოვანი, დასრულებული ან გამორჩეული (განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე) მოქმედების მიბაძვაა, რომელიც კათარზის ამოქმედებას, ანუ შიშისა და თანაგანცდის (თანატანჯვას) გზით განწმენდას, უკავშირდება.

არისტოტელეს კათარზისული თეორიის მრავალრიცხოვნი და მრავალფეროვანი ინტერპრეტაციები არსებობს. ერთნი

კათარზისში გულისხმობენ ვნებათა განწმენდას ყოველივე ჭარბისგან (მათ „დაწმენდას“), მეორენი – ვნებათაგან განთავისუფლებას, ვნებებზე უარის თქმასა და მათ უკუგდებას. აღორძინების ეპოქაში გავრცელებული იყო კათარზისის როგორც ვიტური (კათარზისი – ვნებათა გაკეთილშობილება), ასევე ჰედონისტური (კათარზისი, როგორც სიამოვნება და ტყბობა) გაგება.

კათარზისის ეთივური თეორიის მიხედვით, ტრაგედია (როგორც ხელოვნების უმაღლესი უნარი) ადამიანს მანკიურებათაგან განწმენდს და მათზე ამაღლებს (ლესინგი, ე. ცელენი). კლასიციზმმა კათარზისის ფენომენი რაციონალისტურად აღიქვა; კათარზისი გაგებული იქნა, როგორც წვდომა, გაგება, გააზრება, რომლის საფუძველზეც აფექტები პათოგენურ (ადამიანისთვის მავნე და საშიშ) ბუნებას კარგავენ. ასე გაგებული კათარზისი „ტანჯვით შეცნობაა“ ანდა „აფექტებით დამუხტული შემუცნებაა“. კორნელის შეხელულებით, ტრაგედიის აღმზრდელობითი და შემცნებითი უზნებრივი მის მიერ ვნებათა მავნე და სახიფათო შედეგების ილუსტრირებას უკავშირდება; ტრაგედიის მაყურებელს საშუალება ეძლევა საკუთარი თვალით დაინახოს, თუ რა შედეგები მოსდევს „ვნებათა აყოლას“.

ღესინგი კათარზისში ვნებათა აგზნებასა და, შესაბამისად, ადამიანის სოციალური აქტივობის (საზოგადოდ, ადამიანის აქტივობის) ზრდას გულისხმობს. გოვეოს გაგებით კი, კათარზისის ფენომენის არსა სულიერ-გონითი ჰარმონის, ბალანსის აღდგენა და შესაბამისად, პოლარულ აფექტთა (ტანჯვისა და ნეტარების) ურთიერთშერიგება.

კათარზისის „სამედიცინო“ თეორიის მიხედვით (ი. ბერნაისი), ტრაგედიის ზემოქმედება უარყოფითი განცდებისგან განტვირთვას უკავშირდება. კერძოდ, ტრაგედიის ეფექტი დარღის ცრემლებით განტვირთვის ანალოგიურია. ბერნაისი და მისი მიმღევრები თვლიან, რომ ტერმინი „კათარზისი, „კუუისისის“ სინონიმია, რომელიც აფექტთაგან განთავისუფლებას ნიშნავს.

რელიგიური თეორიები კათარზისს დიონისეს კულტის (რომლის წიაღშიც იშვა საზოგადოდ ევროპული თეატრი) მისტერიებთან მიმართებაში განიხილავნ და წარმართული რელიგიური განცდების პრიზმიდან შეისწავლიან (ს. ჰაუფტი, ვ. ივანოვი).

თანამედროვე ხელოვნების ფსიქოლოგიაშიც კათარზისის ფენომენს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. ასე მაგალითად, ლ. ვიგორტსკის ხელოვნების თეორიის ფუნდამენტია არისტოტელუსული

შეხედულება ამბივალენტურ ემოციათა (აფექტთა) მაკათარზისებელი ზემოქმედების შესახებ. კათარზისი იქცა არა მხოლოდ ზ. ფრონიდის ხელოვნების თეორიის ბაზისად, არამედ ასევე სპეციფიკურ ფინქ-თერაპიულ მეთოდად თანამედროვე თერაპიულ პრაქტიკაში.

არისტოტელუ მხატვრულ შემოქმედებასთან მიმართებაში მითოლოგიას, მითოს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც არა მხოლოდ ერთი მიზნით და კერძოდ, ანტიკური ხელოვნების მიერ მითოლოგიური თეობების გამოყენებითა და მითოლოგიური ფაბულის დამუშავებით აიხსნება.

არისტოტელუს გაგებით, ტრაგედიის სული მითია! ამ თვალსაზრისით, სათანადო აღნიშვნას იშასურებს ესქილეს (ტრაგედიის მამის) „ვემენიდები“, განსაკუთრებულად ახლო მყოფი ძვ. ბერძენთა კათარქტიკულ (განმწმენდ) რიტუალებთან, რომელთა რელიგიური უზნებრივი ცოდვათა მონაწილეას უკავშირდებოდა. როგორც გ. ხომერიკი მიუთითებს, სწორედ ესქილეს ტრაგედიებშია მითოლოგიური ნაკადი ზედმიწევნით ძლიერი და წმინდა სახით წარმოდგენილი. მკვლევარს მოჰყავს არგუმენტად ის ფაქტიც, რომ ესქილეს ბრალად ელევასინური მისტერიების საიდუმლოს გამხელა ედებოდა; ქურუმებმა დრამატურგის შემოქმედებაში მისტერიათა საიდუმლო ამოიცნეს(17).

არისტოტელუს პრიციპი: „თქმულებებში დაცული მითების რღვევა დაუშვებელია!“ – მითიური არქეტიპის უცვლელ ასახვა-რეპროდუციირებას როდი გულისხმობს; არისტოტელუ მიუთითებს მითის სათანადო „გამოყენებაზე“ პოეტის მიერ. ძველი ბერძენი მოაზროვნის მოწოდებაში შეიძლება დანახულ იქნეს მითის, როგორც სუბსტანციური და უნივერსალური ფენომენის ხდვა; მითის, როგორც მსატვრული ჰირველსაწყისისა და იმპულსის გაგება, მასში კრეატულ-შემოქმედებითი ენერგეტიკის მოაზრება, რაც თანამედროვე ხელოვნების ფინქ-თერაპიისა და, საზოგადოდ, კულტურის კვლევათა ზოგად პრიციპად იქცა.

ელინისტურ ეპოქაში ესთეტიკურ იდეებს ავითარებენ ეპიკურელები, სკეპტიკოსები, სტოიელები. ეპიკურელი ლუკრეციუსი ხელოვნების აღმზრდელობით დანიშნულებაზე ამახვილებს ყურადღებას. ამავე პერიოდში (III საუკუნის II ნახევარი) პლოტინისთვის დამახასიათებელი ხდება ირაციონალიზმი, რომელმაც შემდგომ, შეუასუკუნებში, პოვა გაგრძელება; გონებით მიუწვდომელი არქეტიპის

(ბუნებრივი ან დვთაებრივი პირველხატის) ერთადერთად „სწორ“ მიბაძვად მისი სიმბოლურ-ხატოვანი (არა რეალისტური, არამედ სიმბოლური) ასახვა იქნა აღიარებული(19).

### აღორძინების ეპოქის ესთეტიკა

აღორძინების კულტურის იდეოლოგიურ ფუნდამენტად, უპირველეს ყოვლისა, ანტიკური ფილოსოფია და კერძოდ, პლატონიზმი იქცა. ფლორენციას შემთხვევით როდი ეწოდა „აზალი ათენი“, სადაც მარსილიო ფიჩინოს ხელმძღვანელობითა და ლორენცო მედიჩის მფარველობით ახალი „პლატონის აკადემია“ ფუნქციონირებდა. სწორედ ფლორენციაში იშვა პლატონისა და ქრისტიანობის დაახლოების იდეა. ეპოქის სულისკვეთებას ნათლად ასახვს პლატონის „გაღმერთების“ ან აპოთეოზის პირდაპირი ნიშნები: პლატონის საკურთხევლებს უგებდნენ, სადაც თავისებური რიტუალები სრულდებოდა.

აღორძინების ეპოქაში კულტურის არნახული აღზევება ხელოვნების თეორიის განვითარების სტიმულსაც იძლევა. იწერება ხელოვანთა ბიოგრაფიები, ინტერესის ობიექტად იქცევა ავტორის ვინაობა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების თავისებურებანი (ვაზარი, ჩელინი და სხვ.) ხელოვნებაც, თავის მხრივ, თვითანალიზე, რეფლექსირებას იწყებს; იწერება ტრაქტატები არქიტექტურის, ფერწერის, სკულპტურის თემებზე (ბრუნელესკი, ალბერტი, პერი დელა ფრანჩესკა, მიქელანჯელო, ჩელინი, ლეონარდო და ვოჩი და სხვ.).

აღორძინების ჰუმანიზმი და ანთროპოცენტრიზმი ადამიანის მეცნიერული შესწავლის მძლავრ სტიმულად იქცა. ბალთასარე კასტილიონე „ტრაქტატში იღებური კარისკაცის შესახებ“ აღორძინებისეულ იდეალს, სხეულითა და სულით მშვენიერ ადამიანს ხატავს. იქმნება „ტრაქტატი ქალი სილამაზის შესახებ“ (ფირენცუოლა). ეპოქის სულისკვეთების კვინტესნციად იქცა პიკო დელა მირანდოლას მაჟორული ფრაზა: „ადამიანის უმაღლესი ბედინიერება ფლობდეს მას, რაც სურს და იყოს ის, რაც ნებავს!“ და მიქელანჯელოს მთელი კაცობრიობისადმი დასმული მარადიული კითხვა: „ვინ ხარ? საიდან?“ (თარგმნი ჩემია – რ. მ.) («ეცეინშავ ისთოჯი ისკუსტს», თ. III, M, 1960).

ადამიანის პრობლემისადმი მკაცრად მეცნიერულია, როგორც საზოგადოდ, ლეონარდოს პოზიცია; იგი, როგორც მეცნიერი არა მხოლოდ ადამიანის ანაგომიით ინტერესდება, არამედ ასევე ადგენს კავშირს ადამიანის მიმეკასა და მძრციებს, სხეულსა და ფსიქიკას შორის. საგულის სმოა ლეონარდოს მიერ შემოთავაზებული შემოქმედის ფსიქოლოგიური პორტრეტი (ან ავტოპორტრეტი); ფერწერი უნდა იყოს მარტოსული, ჭვრეტდეს მის გარშემო სამყაროს და ესაუბრებოდეს საკუთარ თავს. თანამედროვე ენით, ხელოვანს ინტროვრტული დისპოზიცია – საკუთარი პიროვნების წვდომა, კონცენტრაციის, დაკვირვების უნარი და მაღალი ინტელექტი შეეფერება(20).

### XIX საუკუნე და ხელოვნების ფსიქოლოგია

XIX საუკუნე ხელოვნების ფსიქოლოგიური აზრის განვითარებისთვის ბევრით აღმოჩნდა საგულის სმო. ამ პერიოდში ახალი იმპულსი ეძლევა, საზოგადოდ, ხელოვნების თეორიას. ამავე დროს მეცნიერებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ხდება ადამიანი; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იხსნება ფსიქოლოგიური ლაბორატორიები და ფსიქოლოგია იქცევა დამრუკიდებელ ემპირიულ მეცნიერებად, არამედ იმიტომც, რომ თვით ხელოვნებაშიც მხატვრის პიროვნულ ხედვასა და სუბიექტურ რაკურსს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება; ავანსცენაზე გამოდის ავტორი, რომელიც არა იმდენად რეალობის ასახვას ცდილობს, რამდენადაც საკუთარი პერსონის წარმოჩენას შემოქმედების საფუძველზე.

მეცნიერებულ საუკუნის ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ანთროპოცენტრიზმს არნახული ტემპებით განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან აკავშირებენ; მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ხელოვნებას ადამიანი დაუბრუნა, ხოლო რეალობის ასახვა (ადექვატური და ობიექტური) ტექნიკის მონაპოვარის (ფოტოგრაფიასა და დოკუმენტურ კინოს) დაუთმო. ხელოვნება სწრაფმავალ სუბიექტურ განცდებზე, შთაბეჭდილებებზე, ემოციურ ნიუანსებზე აღაპარაკდა და ადამიანის ფსიქოლოგიის ენად, მისი ექსპრესიის „ინსტრუმენტად“ თუ სარკედ იქცა. ტექნიკურატორული ერის გარიერაუზე ხელოვნება „ზურგს აქცევს“ ობიექტურ რეალობას და ახალ, სუბიექტურ სამყაროს ეძიებს; ეს

რეალურ-საგონბრივი, ზედმიწევნით გასაგები და ცხადი სამყაროსადმი ერთგვარი პროტესტია და მისი „განეიტრალების“ მცდელობაც ადამიანის შინაგანი, სუბიექტური პრობლემების გამძაფრების გზითა და დახმარებით. ტექნიკურად აღჭურვილ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიებს ახლა ფსიქოლოგიურად აღჭურვილი ხელოვნება აბალანსებს, რომლის ფორუმშიც ადამიანი ექცევა. ერთმანეთს უპირისისპირდება, ერთი მხრივ, ფორმალურად დასრულებული, აკადემიური და ამიტომაც „ცივი“ და, მეორე მხრივ, ადამიანური გრძნობებით აღსავსე, აკადემიზმისგან თავისუფალი ხელოვნება.

იმპრესიონისტების პირველ ექსპოზიციას (1874 წელი, პარიზი, კაპუცინების ბულვარი) შემთხვევით როდი ეწოდა „მოაჯანყეთა გამოფენა“ – ეს მართლაც დიდი ჯანყი, დიდი პროტესტი იყო, რომლითაც ხელოვნებაში თავს სუბიექტური ხედვა და გამოხატვის თავისუფლება იმკვიდრებდა. კრიტიკამ ახალი მიმდინარეობის შეფასება ტრადიციული კრიტერიუმებით ცადა და კერძოდ, კომპოზიციის, კოლორიტის, ნახატის ნაკლოვანებებისა თუ ღირსებების გათვალისწინებით. კრიტიკა ცდილობდა „კარგი“ გემოვნებითა და ესთეტიკური ეტალონებით ეხელმძღვანელა, მაგრამ ამ მცდელობათა მიღმა, მათი რეალური მიზეზი, სტერეოტიპების წინააღმდეგ ჯანყისა და აკადემიური ხელოვნების კანონთაგან განდგომის შიში იმაღლებოდა(21).

მიუხედავად ახალი ერის პოზიტივისტურ – „საქმიანი“, უკიდურესად მერკანტილური სულისკვეთებისა, იმპრესიონიზმის ინტერესის ობიექტად ჩვეულებრივი ადამიანი და მისი სუბიექტური, ფსიქოლოგიური სამყარო იქცა. ოფიციალური კრიტიკის აღშფოთებას ვენერას როლში სავსებით რეალური, თანამედროვე ქალიშვილის (მანეს „ოლიმპიას“ მოდელად ვიქტორინა მერანი იქცა) ხილვა იწვევდა; ჩვეულებრივი ადამიანის, ასე ინდივიდუალური განცდებითა და ბორგრაფით. ხელოვნება სწრაფმავალი, „ეფემერული“ განცდებისა და შთაბეჭდილებების გადმოცემას შეეცადა; სულიერი, შინაგანი ცხოვრების ყოველი ნიუანსი გამორჩეული მნიშვნელობით დაიტვირთა.

ნეოიმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი აგრძელებს ფსიქოლოგიურ ძიებებს და საგანგებოდ სწავლობს როგორც მხატვრული ექსპრესიის, ასევე რეცეპციის ფსიქო-ფიზიოლოგიურ კანონზომერებებსაც (22,23,24). უორჟ სერა, პუნქტილისტური მეთოდის „მამა“, წერდა, რომ მის ეტალონად სრულიად ახალი,

სუბიექტური, „ჩემს მიერ შექმნილი ხელოვნება“ იქცა. მხატვარი მის მიერ მიკვლეული მეთოდის მეშვეობით აღმქმელის გააქტიურებასაც ცდილობდა; პუნქტილისტურ ტილოზე ერთმენეთის გვერდით განლაგებული და შეურეველი ფერების შერევა თვალ აღმქმელმა, რეციპიენტმა უნდა იტვირთოს და, შესაბამისად, ესთეტიკური ეფექტი სწორედ მის სუბიექტურ აქტივობასთან, აღმქმელის ძალის ხელმისაწვდომობასთან კავშირდება (ხელოვნების აღმქმელი პასიური რეციპიენტ-მიმღებისაგან აქტიურ თანაშემოქმედად გარდაიქმნება)(23).

მეორე ნოვატორი, პოლ სეზანი, ეფუმნება რა ემილ ზოლას „ეკრანთა თეორიას“, ხელოვნებაში ინდივიდუალიზმის დამკვიდრებისათვის იძრმვის. სეზანისთვის გამორჩეულ მნიშვნელობას სწორედ საკუთარი, უნიკალურ-სუბიექტური ხედვა იძნდა; „მართმევნ ჩემს ხედვას, ჩემს პატარა შეგრძნებებს...“ – ჩიოდა მხატვარი(24).

ემილ ზოლას „ეკრანთა თეორიას“ მიხედვით, ხელოვნების ნაწარმოები სამყაროში გაღებული სარგმელია, რომელშიც ჩადგმული მინა-ეკრანი მეტ-ნაკლებად სახეცვლილი საგნებისა და მოვლენების აღქმის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ხელოვნება რეალობას მხოლოდ ადამიანი-შემოქმედის პრიზმიდან, მისი ინდივიდუალობის რაგურისიდან ასახავს. უფრო მეტიც, ე. ზოლას გაგებით, ხელოვნების ამოცანას სწორედ ინდივიდუალობის პრიზმაში გარდატეხილი რეალობის ასახვა შეადგენს. ხელოვანს სრული, მაქსიმალური თავისუფლება ენიჭება და იმ დონემდევც კი, რომ შემოქმედებაში რეალობის რადგანულური შეცვლით, ამ უკანასკნელის სუბიექტური მოდელის წარმოდგენა შეუძლია. („წრები შეიძლება დაიხატოს კვადრატების სახით, სწორი ხაზები – ტეხილებად და ა. შ.“).

ემილ ზოლა სამხატვრო სკოლისა და წესების (ან სტერეოტიპების) სასტიკი წინააღმდეგი იყო და თვლიდა, რომ წესები გაბეჭდულებისა და თავისუფლების არმქონეთათვის (ან უნიჭოთათვის) არსებობს. საინტერესოა, რომ ფრანგი პროზაიკოსი ეკრანთა ტიპებს გვთავაზობს და, შესაბამისად, შემოქმედთა ტიპობრივი განვითარებასაც მიმართავს; აქ იგი, როგორც ფსიქოლოგი, შემოქმედებით თავისებურებებს კრეატორის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან აკავშირებს.

ე. ზოლა სამი ძირითადი ტიპის ეკრანს (პიროვნულ ხედვას) გამოყოფდა: კლასიკურს, რომანტიკულსა და რეალისტურს. კლასიკური

ეკრანი უპირატესობას ხაზს, ფორმას (და არა ფერს) ანიჭებს და მისი სრულყოფისკენ ისწრავევის. რომანტიკულ ეკრანში ფერი დომინირებს, შუქ-ჩრდილთა კონტრასტი სიმძაფრეს იძენს და დინამიკა ვწებით, ცოცხალი გრძნობით ივსება. რეალისტური ეკრანი კი საკუთრ ადგილს რეალობას უთმობს და მას სიმწვავესა და სიმძაფრეს სძენს. („აქ ხაზები სქელია, სიგანეში წასული“) (24). შემოთავაზებული კლასიფიკაცია წარმოვიდგენს როგორც ხელოვნების სამ ძირითად სახეს (ან სამ მხატვრულ მიმდინარეობას), ასევე კრეატორ-შემოქმედის სამ განსხვავებულ პოზიციასა თუ ორიგინტაციასაც, რომელიც მის შინაგან, ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან კავშირდება.

ფსიქოლოგიზმი XIX საუკუნის ლიტერატურისთვისაც არსებითად დამახასიათებელი ხდება. ჩნდება ფსიქოლოგიური რომანი, რომლის მთავარ ამოკანას ადამიანის შინაგანი სამყაროსა და განცდათა ცხოვრების, ასევე ადამიანთა შორის რთული, წინააღმდეგობრივი და არა ერთმნიშვნელოვანი ურთიერთობის ასახვა წარმოადგენს. მაგალითად, ასეთია თ. დოსტოევსკის შემოქმედება, რომლის პერსონაჟების გარეგან მოქმედებას აგსებს და აზრს სტენს მათი შინაგანი, ფსიქოლოგიური აქტივობა, რომლის გახსნასაც და გაშუქებასაც გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება დიდი რუსი მწერლის შემოქმედებაში. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს მ. პრუსტის შემოქმედებაც, რომელმაც თხრობა არა რეალურ, არამედ ფსიქოლოგიურ დროს დაუქვემდებარა და შეგრძნებებსა და განცდათა ნიუნებზე ააგო. ჰ. იბსენი, ა. სტრინდბერგი, ა. ჩეხოვი ქმნან ფსიქოლოგიურ დრამატურგიას, რომლის ფორმაში მოქცეულია ადამიანის შინაგანი ქმედება და განცდათა ურთულესი სფერო. ხელოვნებათაგან ყველაზე აბსტრაქტული – მუსიკაც ადამიანურ გრძნობათა და შთაბეჭდილებათა გადმოცემას ესტრაფის; ასეთია, კ. დებორესისა და მ. რაველის იმპრესიონისტული მუსიკა.

XIX საუკუნეში ფსიქოლოგიზმი ფილოსოფიური და ესოეტიკური აზრისთვისაც ხდება დამახასიათებელი. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს, რომ მეოცე საუკუნის ხელოვნების ფსიქოლოგიის (კონკრეტულად იგულისხმება ფსიქოანალიზი) მძლავრ სტიმულატორად ფ. ნიცშეს მოძღვრება და, საზოგადოდ, ირაციონალიზმი და ვლეულტარიზმი იქცა.

ირაციონალიზმა ინტელექტუალურ შემეცნებას უშუალო

ჰვრეტა, ინტუიცია, ვნება და რწმენა დაუპირისპირა; ხაზი გაუსვა ირაციონალური ძალების დომინანტს ადამიანსა და საზოგადოებაში. არტურ შოპენჰაუერის ფილოსოფიაში სრულყოფილი შემეცნება პრაქტიკული ინტერესებისგან დამოუკიდებელ, ინტუიტურ, არა ინტელექტუალურ ჰვრეტასთან კავშირდება. ხელოვნების ფუნდამენტშიც ფილოსოფიის ირაციონალურ, ინტუიციურ ჰვრეტას ან უშუალო შემეცნებას გულისხმობს, რომელსაც სამყაროს არსი მისი ნების სახით ეძლევა. შოპენჰაუერთან ნება გაეცემოდა, როგორც ბუნების პირველსაწყისი; როგორც პირველადი და უნივერსალური ბიოლოგიური იმპულსი.

ნიკოლაი პარტმანის მოძღვრებაშიც „საიცოცხლო ნებას“, „სასიცოცხლო ძალას“ ფუნდამენტური მნიშვნელობა მიეწერება. ხელოვნების აღქმა მსოლოდ ექსტაზის არაცნობიერი მდგომარეობისთვის ხდება მისაწვდომი. ფილოსოფიის წერს „ხელოვნების გამოუთქმელი იდუმალების“ შესახებ, რომელიც ადამიანის მსოლოდ არაცნობიერი საწყისის მიერ განიცდება. (წყარო: „ფილოსოფიური ენციკლოპედია“. მ., 1960. რუსულ ენაზე).

ფრიძრის ნიცშეს ფილოსოფიაში სიცოცხლის ფუნდამენტსა და საფუძველში მოიაზრება ურთიერთ დაპირისპირებული ძალები – დიონისური და პოლონური სტიქიები (25,27) და ასევე „ძალაუფლებისკენ ნება“, რომელიც ნიცშეს, საზოგადოდ, სიცოცხლის ნების, თვითშენახვის ინსტინქტის ან ერთგვარი უნივერსალური ვნების სახით ესმის (26). ფილოსოფობის ახდენს ინსტინქტთა აპოლოგიზებას და „ყველა ფასეულობის გადაფასების“ მოწოდებით, პირველადი სიცოცხლისკენ, ბუნებრიობისკენ (ან ბუნებისკენ) დაბრუნებას ქადაგებს.

ხელოვნება, ნიცშეს გაგებით, რეალობის მეტაფიზიკური დანამატება, რომლის ძირითად მიზანსაც რეალობის ძლევა წარმოადგენს. კულტურის იდეალად ფილოსოფობის ესახება დიონისური და აპოლონური საწყისების, როგორც დაპირისპირებულ პოლუსთა, შერიგება და ურთიერთდალანსება-გამთლიანება. ხელოვნების ევოლუცია, შესაბამისად, ხელოვნების ორი ძირითადი სახის (აპოლონურისა და დიონისურის) პერმანენტულ ჰიდილთან კავშირდება (29).

აპოლონი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში სინათლისა და ხელოვნების ღვთაებაა; იგი ჰელიოსთან, მზის ღმერთთანაა,

გაიგივებული. აპოლონის ანტიპოდია დიონისე – მეღვინეობისა და ბუნების ღვთაება. აპოლონს ასევე ცნობიერების, გონების, სიცხადის, წესრიგის, დღის, ჰარმონიის სიმბოლოდ მიჩნევენ მაშინ, როდესაც დიონისე სინელესთან, ღმენისთან, ქასთან, ზომერების უარყოფასთან, ექსტაზითან, ინსტინქტთა თარეშთან და ქვეცნობიერთან კავშირდება.

საინტერესოა, რომ დელფიოსში, რომელიც არა მხოლოდ აპოლონის კულტის ცენტრად, არამედ „სამყაროს ცენტრადაც“ ითვლებოდა ძველ საბერძნეთში, დიონისეს მითიური სავლავი მდებარეობდა. ბერძნები, რომლებიც ჰარმონიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, სწორედ „სამყაროს ცენტრში“ ახვედრებდნენ ერთმანეთს ურთიერთ გამომრიცხავ ძალებს, ღვთაებრივ ანტიპოდებს, აპოლონსა და დიონისეს. ეს ერთგვარად დღისა და ღამის შერიგება-შეყრისა და მათი ურთიერთგაწონასწორების მისტიური აღავი იყო. ადგილი, სადაც ყველა საიდუმლოს ფარდა ეხდებოდა; არ არის შემთხვევით, რომ სწორედ აქ, კლდის ნაპრალზე აღმართულ სამფეხა სკამზე იჯდა და მისნობდა ორაკული პითია, რომლის სახელიც მრავალმნიშვნელოვნად უკავშირდება ბნელეთის სიმბოლოს, პითონის სახელს(28).

დიონისეს დღესასწაულებს (დიონისიებს, ბაკქანალიებს) განსაკუთრებული როლი მოუძიეთ თანამედროვე ევროპული თეატრის (და, საზოგადოდ, ხელოვნების) ფორმირების პროცესში; დიონისეს შემთხვევით როდი უწოდებენ „თეატრის მამას“! სწორედ ბუნებისა და სიცოცხლის ღვთაებასთან დაკავშირებულ სარიტუალო სანახაობებში ისახება თეატრი! სიკვდილ-სიცოცხლის მისტერია როგორც ბაკქანალიის, ასევე ტრაგედიის არსი არსთავანია!

ძველბერძნული სიტყვა „ტრაგედიის“ სემანტიკა („თხის სიმღერა“) ნათლად ასახავს მის წარმომავლობას; კულტის მსახურები ღვთაებასთან სარიტუალო გაიგივების მიზნით დიონისეს წმინდა ცხოველის ტყავით იმბოსებოდნენ (თხა – ბუნების ღვთაების ზომორფული სახეა სართან და ლომთან ერთად). სარიტუალო სიმღერები და ცეკვები დიონისეს ცხოვრებას, მის ტანჯვას, სიკვდილსა და აღდგომას წარმოადგენდა; ღვთაების სიკვდილ-აღდგომა ბუნების სეზონურ ცვლასთან და მიწათმოქმედებასთან კავშირდებოდა. საგულისხმოა დღესასწაულების ორგებასტული („ორგე“ – აგზნება) ხასიათი; მასში მონაწილეებს „წმინდა შეშლილობა“ (ექსტაზი) იპყრობდა, რაც შესაბამისად აისახა დიონისეს ეპითეტებში,

როგორიცაა: „ხმაურიანი“, „მჩეულარე“, „მენადა“. ეს უკანასკნელი ითარგმნება, როგორც შეშლილი! ასე უწოდებდნენ როგორც დიონისეს, ასევე მის ქურუმ ქალებსაც.

ნიცშეს გაგებთ, ბერძნული ტრაგედიის უზადო, შეუდარებელ სრულყოფილებას განსაზღვრავს მასში აპოლონურისა და დიონისურის (გონებისა და ვნების) ურთიერთდაბალანსება და გაწონასწორება. ბერძნულ ტრაგედიაში არაპლასტიური, სახებს მოკლებული, მუსიკის სულით გაუდენთილი დიონისური ზელოვნება უერთდებოდა ხატოვან აპოლონურ ხელოვნებას, ანუ ლტოლვა ერწყმოდა ხატს.

ჰარმონიულად შეწონასწორებულ ხელოვნებას ანტიკურ სამყაროშივე დაუპირისიპირდა ახალი, მეცნიერული სულით გაუდენთილი და დიონისური სტიქიის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი მსოფლმხედველობა; სამყაროს ტრალიკული გამცდა მოსპო განსჯის, ლოგიკის, მეცნიერების ადამიანმა; მითი შეიწრა ცოდნად და „საღმა აზრმა“! ნიცშეს გაგებით, ასე დაიწყო ევროპული კულტურის ისტორიაში დაცემის ხანა და აღმოცენდა მეცნიერულ მსოფლგაგებაზე დამყარებული ახალი, ალექსანდრიული კულტურა. ხელოვნება, ადამიანი, კულტურა მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როდესაც მათში ორგანულად არის შერწყმული სამყაროს ორივე საწყისი. თანამედროვე ადამიანი კი დიონისურისაგან დაცლილ და ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს. სწორედ ამ მიზეზს უკავშირდება ნიცშეს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია თანამედროვე კულტურის მიმართ. თუმცა ფილოსოფობის თანამდებობა აღმოცენდება. ასევე ბეთჰოვენის და, განსაკუთრებით, ვაგნერის მუსიკა, რაშიც იგი დიონისური მსოფლგანცდის აღირინების ნიშნებს ხედავს.

ნიცშეს იდეებმა ბევრით განსაზღვრა ხელოვნების ფისიკანალიზური გაგების თავისებურებანი. ასე მაგალითად, ნიცშეს მიხედვით, ხელოვნება გრძნობადი, სხეულებრივი სიამოვნების ჩანაცვლებაა (ან, ფროიდის ენით, სუბლიმაცია); ხელოვნების ნიმუშის აღმა უკავშირდება სქესობრივი ინსტინქტის აგზნებასა და სისახტიკოთ თრობას, რომელიც ფსიქიკის ყველაზე ღრმა და ძირული მდგომარეობაა. სქესობრივისა და აგრესოულის შერევით ესთეტიკური განცდა (ესთეტიკური მდგომარეობა) ყალიბდება. ხელოვნება, ფილოსოფობის გაგებით, ჭარბი სხეულებრივის ამოფრქვევაა ხატების

სამყაროში. ხელოვნების ბიოლოგიზირების საფუძველზე ნიცვე მას „გამოყენებითი ფიზიოლოგიის“ სახით წარმოადგენს, ხოლო ესთეტიკურ გრძნობებში გამოკვეთს მოვლენისა თუ საგნის ინტენციურ შეფასებას მისი სარგებლიანობის (თანაც ბიოლოგიური სარგებლიანობის) მიხედვით. აღნიშნული პოზიცია მომდინარეობს ადამიანის, როგორც, უპირველს ყოვლისა, ბიოლოგიური ორგანიზმის გაგებიდან, რომლის ინტელექტუაც, როგორც იერარქიის უმაღლესი დონე, დაბალი და პირველი, სასიცოცხლო ინსტინქტების დონიდან მომდინარეობს და მას ემსახურება.

მეცნარმეტე საუკუნეში იქმნება ხელოვნების „ფსიქიატრიული თეორია“, რომელიც შსატვრულ შემოქმედებას სულიერ აშლილობასთან აკავშირებს. თეორია იმ ეპოქის პირშოთა, რომელიც რაციონალიზმის აპოთეოზისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფონზე სკატტიკურად ეკიდება ყოველივეს, რაც ლოგიკური აზროვნებისა და „საღი აზრის“ საზღვრებს სცილდება(30).

შემოქმედების სულიერ აშლილობასთან დაკავშირების იდეა, თავის თავად, ძევლია და საუკუნეებს ითვლის. ისტერია (რომლის დახასიათებაც ჯერ კიდევ ძევლებით გამოიყენება) ტრადიციულად ან პოეტებისა და მისნების „წმინდა“ სენად, ანდაც ჯადოქრების დემონურ ძალად ითვლებოდა. სოკრატე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე პოეტებისა და ორაკულების „დვთაებრივ სიშმაგეზე“ მიანიშნებდნენ. პლატონის მიხედვით, „ბოლგა“ (არაცნობიერი მეტყველება) სულაც არაა ავადმყოფობა, არამედ, პირიქით, ღმერთების მიერ ბომებული მაღლია; ასე მეტყველებენ ორაკულები და მუხებით შთაგონებული პოეტები. საზოგადოდ, ძველი სამყარო შიშითა და რიცით ეპყრობოდა ქვეცნობიერის ნებასმიერი სახითა თუ ფირმით გაქტივურებას, მიიჩნევდა რა მას ზეციურ ძალათა საჩუქრად. საგულისხმოა, რომ სიტყვით „მანია“ აღინიშნებოდა როგორც სულის სნეულება, ასევე ნათელ ხილვის უნარიც. შემოქმედებისა და სულიერი აშლილობის კავშირის იდეა შემდგომშიც აქტუალური რჩება. ასე მაგალითად, პაინრიპ ჰაინრიქ „პოეზია – ავადმყოფობაა!“

სახელგანთქმლი იტალიელი ფსიქიატრისა და კრიმინალისტის, ჩეზარე ლომბდორზონს, მონოგრაფის „გენიალობა და შეშლილობა“ ძირითადი იდეა გენიალობისა და შემოქმედების პათოლოგიასთან (ორგანულსა თუ ფსიქიკურ) კავშირს გულისხმობს. მონოგრაფიის

ავტორი არ იფარგლება შემოქმედებაში არაცნობიერი ძალების, ქვეცნობიერი მოვლენების როლისა და მნიშვნელობის აქცენტირებით და ცდილობს დამტკიცოს შემოქმედის უნიკალობა მისი ანომალიური (ან პათოლოგიური) ბუნებიდნ გამომდინარე.

ლომბდორზოს მიხედვით, შემოქმედის ანომალიურობას (ფსიქოზიზიკის არასტანდარტობას) შემდეგი პიროვნული მახასიათებლები განაპირობებს, როგორიცაა: ჰიპერ სენსიტიურობა, ანუ ჭარბი მგრძნობელობა, სექსუალური ლტოლვის ინტენსივობა, ავადმყოფური პატივმყვარეობა, მელანქოლიისადმი მიღრევილება, ყურადღების ცალმხრივობა, პრაქტიციზმის ატროფია, ალოგიზმი და ძლიერი ინტუიცია. ავტორი აღნიშნავს, რომ შსატვრული თვითგამოხატვის უმძლავრეს სტიმულს ავადმყოფური ჰალუცინაციები და მათთან დაკავშირებული „აქტიური“ ფანტაზია შეადგენს. სულიერი ანომალია ხელს უწყობს არტისტული უნარების გამოვლენასა და განვითარებას; ამავე დროს ხელოვნებას სულიერ დაავადებათა პროვოკირება შეუძლია. ლომბდორზო მოსაზრებებს მდიდარი ემპირიული მასალით ასაბუთებს: მას მოყვას მაგალითები როგორც გენიოსთა „უცნაურობების“ შესახებ, ასევე წარმოადგენს საკუთარ კლინიკურ მასალას ანუ პაციენტებზე დაკირვების შედეგებსაც.

„უცნაურ“ გენიოსთა შორის, რომელთა ცხოვრების წესი და ქვევა ნორმათა ფარგლებს მიღმა დარჩა, ლომბდორზომ დაასახელა დეპარტე, ლაფონტენი, ნიუტონი, კორნელი, ვოლტერი, მოცარტი, ჰოფმანი, ბაირონი... (სრული ჩამონათვალი შორს წაგვიყვნდა და ამიტომაც აქ შევჩერდეთ). წიგნში „გენიალობა და შეშლილობა“ ასევე ვრცელი ჩამონათვალია გენიოსებისა, რომლებიც აშკარად გამოხატული სულიერია აშლილობით ხასიათდებორენ. ასეთებს შორის ლომბდორზო ასახელებს ამპერს, შუმანს, სკოფტს, დონიცეტის, ნიუტონს, რუსოს, შოპენპაუერს, გოგოლს, გოეთეს, მენდელსონს, ბეთოვენს, ვან გოგს, გუნოს, ჰენდელს, გლუკს, პოს, მიუსეს, კოლდერლიის, მოლიერს, პასკალს...

ავტორის შეხედულების არგუმენტირების მიზნით მონოგრაფიაში უხვადაა მოყვანილი გენიოსთა გამონათქვამები, რომელთაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს წარმოვადგენთ; „რატომაა, რომ როგორც ცხადში, ასევე სიზმარშიც ჩემი აზრი უზებურად შეშლილობის სევდისმოგვრულ გამოვლინებებს უტრიალებს? ქაოტური იდეები

ტვინიდან ისევე გადმომენთხევა, როგორც სისხლი — ღია ჭრილობიდან.“ — ეს სიტყვები გერმანელ რომანტიკოსს, მწერალს, მხატვარსა და კომპოზიტორს („დიდ მეზღაპრეს“) ერნსტ თეოდორ ამადეი ჰოფმანს ეკუთვნის. „უცნაურობა (ანუ ნორმიდან განსვლა) შშვენიერების არსებითი ნაწილია“, თვლიდა ედგარ ალან პო. ზოლო ჯორჯ გორდონ ბაირონის მიხედვით, „პოეზია ენების გამოხატულებაა, რომელიც მით უფრო ძლიერ ვლინდება, რაც უფრო მძლავრია მისი გამოწვევი აგზება.“ ეს უკანას ქნელი მოსაზრება (და ასევე სხვა მრავალი) აძლევს საფუძვლს ლომბროზოს, რათა სულიერი აშლილობა ფანტაზიის სიძლიდრესთან დაკავშიროს; ფანტაზიის სიჭარე, მისი პაპერაქტივობა როგორც შემოქმედების, ასევე სულიერი დისბალანსის მაპროვოცირებლი ხდება.

ლომბროზოს მიხედვით, მხატვრული თვითგამოხატვა განვთარების ადრეულ სტადიებამდე ეპუსვლაა და ოეგრესი; ლოგიკური აზროვნების ჩანაცვლებაა ხატოვანი აზროვნების ევოლუციურად ადრეული ფორმებით და „საკაცობრიო ბავშვობაში“ დაბრუნებაა. შესაბამისად, ასკვნის ფსიქიატრი, ფანტაზიის განვთარებაზე დადგებითად სწორედ გონებრივი პროცესების რღვევა და სულიერი ანომალიები ზემოქმედებს! უფრო მეტიც, გენიალობა ნევროზის ფორმა! გენიალობა ავადმყოფობა!

ლომბროზომ გამოყო, გამოყიდვერწყვირა ადამიანთა უნიკალური, ე. წ. ფსიქოპათური (მატოიდური) კატეგორია თუ ტიპი. ამ უკანას კნელს თანდაყოლილი ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გამო სულიერი აშლილობისადმი მიღრეკილება და ასოციალური ქცევისადმი (დანაშაულისადმი) ტენდენციაც აღენიშნება. ასე დაკავშირდა ერთმანეთთან შემოქმედება, ფსიქიკური სწეულება და დანაშაული; ფსიქიპათი პოტენციური შემოქმედია, ასევე — პოტენციური დამნაშავე და შეშლილი! შემოქმედება დანაშაულის ან სულიერი აშლილობის ერთგვარ ფარულ, გამოუვლენელ ფორმად იქნა წარმოდგენილი(17). როგორც ვხედავთ, ლომბროზოს თეორიის არს მისი ავტორის, ფსიქიატრისა და კრიმინალისტის პროფესიული ხედა შეადგენს! მიუხედავად ამისა და, შეიძლება სწორედ ამის გამოც, „ფსიქიატრიულმა თეორიამ“ ბევრად განსაზღვრა ხელოვნებისა და შემოქმედების გაგების თავისებურებანი მთელს მეოცე საუკუნეში.

### თავი III

## ზიგმურდ ფროიდი, როგორც ხელოვნების ფილოლოგი

ფროიდის ხელოვნების თეორიის განხილვამდე მოკლედ უნდა ითქვას ავტორის ზოგად-ფსიქოლოგიურ შესედულებათა შესახებ, მით უფრო, რომ XX საუკუნის ფსიქოლოგებს შორის აგსტინელ ფსიქიატრსა და ფსიქოლოგს, ზიგმურდ ფროიდს, განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება; მისმა თეორიამ, ფაქტობრივად, განსაზღვრა მთელი XX საუკუნის ფსიქოლოგიური აზროვნება (72,73,74,75,77,78,79,80).

ზ. ფროიდმა, როგორც ფსიქიატრმა მიაკვლია ცნობიერების მიღმა, ფსიქიკის სიღრმებში არსებულ ირაციონალურ ფენასა თუ პლასტს; მან როგორც კლინიცისტმა-ექიმმა, აღმოაჩინა არაცნობიერი განცდები (ლტოლვები, მოთხოვნილებები) და სახოგადოდ, ცნობიერის ზღურბლს მიღმა არსებული ფსიქიკური სფერო (არაცნობიერი ფსიქიკა), რომელსაც უფრო მეტი ჩამოყალიბებული ახალი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, „ფსიქოანალიზი“, „სიღრმის ფსიქოლოგია“ ან „ფსიქოდინამიკა“.

ახალ თეორიას გამორჩეულ (და, უფრო ზუსტად, უნიკალურ) მნიშვნელობას თავად მისი ავტორიც ანიჭებდა. ფროიდის მიხედვით, „საკაცობრიო თავმოყვარეობას“ ან ადამიანის გამორჩეულობის განცდას სამჯერ შეერყა საფუძველი. პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც კოპერინიკმა სამყაროს გეოცენტრული მოდელი ჰელიოცენტრული მოდელით შეცვალა; თუკი უწინ ადამიანი თავს სამყაროს „ცენტრად“ თვლიდა, რომლის გარშემოც მოელი სამყარო ბრუნავს და ტრიალებს, ახლა იგი მზის გარშემო მოტრიალე რიგითი პლანეტის მკვიდრად იტკა. მეორე „ლაზვარი“ ჩარლზ დარვინის თეორიას უკავშირდება, რომელმაც ადამიანის წინაპრად არა ღვთაებრივი, არამედ ზედმიწვნით ცხოველური წარმომავლობის, მაიმუნისმაგვარი არსება აღიარა. და ბოლოს, მესამე ლაზვარს ფროიდი სწორედ საკუთარ თეორიას უკავშირებს. იმ თეორიას, რომელმაც კერძო აღმარის მიემდების, მთელი საკაცობრიო ისტორიისა და გულტურის საფუძვლად არა მაღალი იღეალები (როგორიცაა: ჭეშმარიტება, სამართალი თუ შშვენიერება), არამედ

არაცნობიერი ძალები, ბიოლოგიური ინსტინქტები სცნო.

შ. ფრონიდის თეორიის განსაკუთრებულ პოპულარობას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორისაა თეორიის მიერ გაშუქებული თემების პიკანტურობა, სკანდალურობა და თავისებური „აკრძალული ხილის“ ეფექტიც. ასევე ავტორის ენის სპეციფიკა – მისი „მხატვრულობა“ და „სუეგესთიურობა“ (შთაგონებადობა და არტისტულობა). მაგრამ ძირითად მიზეზად უნდა ვიგულისხმოთ „ეპოქის ფაქტორი“; ფრონიდის თეორიამ სრულად და მთელი ისავსით ასახა ეპოქის ზოგადი სულისკეთება; იგი XX საუკუნის I ნახევრის ძირულ განწყობებას თუ დისპოზიციებს შეეხმანა.

ეს ის ეპოქა, როდესაც ტრიუმფატორ ინტელექტზე რევანშისთვის ემზადებიან არაცნობიერი ძალები, – დათრგუნული სურვილები, განდევნილი აფექტები, შეკავებული გრძნობები, აკრძალული აზრები თუ ანომალიური ხილვები. როდესაც ისახება „სექსუალური რევოლუციის“ საფუძვლები და ავანსცენაზე გამოსვლისთვის თანდათან ძალებს იკრებენ უარმყოფელი სულით აღსავს „დიდი სამოციანელები“. შესაბამისად, ხელოვნების ლაიტმოტივად იქცევა ეძოცის დომინანტი აზროვნებაზე, არაცნობიერისა – ცნობიერზე, თავისუფლებისა – შეზღუდვაზე. ხელოვნებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ადამიანის ქვეწობიერი და მასში მიმდინარე კოლიზიები ხდება.

ფილოსოფიურმა ირაციონალიზმა და ვოლუნტარიზმა ასახვა როგორც ფსიქოლოგიურ თეორიაში, ასევე კულტურასა და ხელოვნებაში პოვა. XX საუკუნის ხელოვნებისთვის განსაკუთრებულად პროდუქტიული „ფსიქოანალიზი“ გამოდგა. ეს უკანასკნელი მხატვრული შემოქმედების მძლავრ სტიმულად, ბიძგად იქცა და ხელოვნების თითქმის კველა დარგში თავისებურად აირეკლა(31). ხელოვნებისთვის დამახასიათებელი გახდა ფსიქოანალიზური თემების არა უბრალო ასახვა, არამედ ამ უკანასკნელთა პიპერბოლიზება-უტრირებაც კი. შეიქმნა ფრონიდისა და მისი მიმდევრების მოსაზრებათა ერთგვარი მხატვრული ილუსტრაციები. შემოქმედის თვითმიზნად ფარულ, არაცნობიერ (ან აზროვნების მიღმა არსებულ) ფსიქოლოგიურ ფენომენთა წარმოჩნა, ცნობიერების ზედაპირზე მათი ამოტივტივება იქცა. ამ პერიოდის ხელოვნება გიგანტური მასშტაბის ფსიქოლოგიური ლაბორატორიის ანდა ფსიქოანალიზური კაბინეტის ასოციაციას იწვევს, რომლის

ცენტრალურ პრობლემად თუ ძირითად მოტივად რჩება ადამიანი, თითქოს ხელახლა აღმოჩნდილი და ამიტომაც ასე განსაკუთრებულად საინტერესო; ადამიანი – ბურუსით მოცული, დაუსრულებელი, იღებალი, ბნელი სიღრმეებისა და ამავე დროს ცნობიერების შექმანით გაცისკროვნებული იმაღლის მფლობელი.

ფსიქოანალიზს უკავშირდება კულტუროლოგიურ დისციპლინათა არა უბრალოდ გამდიდრება ახალი და პროდუქტიული ტერმინებით (როგორიცაა: ლიბიდო, ეროსი, თანატოსი, სუბლიმაცია, პროექცია, ჩანაცვლება, ოიდი პოს-კომპლექსი და სხვა), არამედ ახალი მიმართულების – ფსიქოანალიზური კულტუროლოგიის ჩამოყალიბებაც, რომელიც კრატულს თუ რეცეპტულ პროცესებში განმსაზღვრელ როლსა და მნიშვნელობას აზროვნებისა და ნებისყოფის მიზანი არსებულ, არ აცნობია ძალებსა და მოტივებს მიაკუთვნებს, რომელიც გამორჩეულ მნიშვნელობას შემოქმედის ინფანტილურ საწყისს (მემოქმედმი არსებულ „ბავშვს“), აღრეულ ასაკში ფორმირებულ კომპლექსებს, ტაბუდაღებულ, აკრძალულ მოთხოვნილებებსა და არარეალიზებულ, განუხორციელებელ ლტოლვებს მიაწერს(32).

შემოქმედების, კულტურისა და ხელოვნების საფუძვლად ფსიქოანალიზმა და აუ კ მ ა ყ ყ ფ ი ლ ე ბ ე ლ ი ან არარეალიზებული მოთხოვნილები იგულისხმება. მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების საფუძვლად სწორედ „აკრძალული“, საზოგადოებისთვის და ამიტომაც თავად პიროვნებისთვისაც მიუღებელი ანდა დაკმაყოფილების გარეშე დარჩენილი ლტოლვები და მოთხოვნილებები იქნა მიწეული (იხ. ფჯეიდ. ვ. პსიჰოლოგიუმ ბესკონატელი, M., 1990).

ფრონიდის თეორიის მიხედვით, არარეალიზებული (დაკმაყოფილების გარეშე დარჩენილი) ბიოლოგიური მოთხოვნილებები ფსიქოლოგიური ტრაგმის ჩამოყალიბების მიზეზად იქცევა; ფსიქოლოგიური ტრაგმა მოთხოვნილების ბლოკირების, მისი რეალიზირების აკრძალვის („აუსრულებელი ნატვრის“) შედეგა. შემოქმედება ფსიქოლოგიურ ტრაგმათაგან განთავისუფლებას გულისხმობებს. კრეატორი-შემოქმედი მხატვრული მოქმედებით საკუთარი მოთხოვნილებების რეალიზებას ან დაკმაყოფილებას აჩვენებს; ნატვრის ასრულება ხდება არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით. შესაბამისად, მხატვრული პროდუქტი არა მხოლოდ ეფუძნება

არარეალიზმულ (და თანაც, ბიოლოგიურ) მოთხოვნილებებს, არამედ გარკვეულ წილად, ასახავს კიდევ მათ(33)!

ფსიქოანალიზის მიხედვით, შემოქმედების მასტიმულირებელი ბიოლოგიური მოთხოვნილებები არ აცნობი ერთია, ცნობიერების ზღურბლს მიღმა არსებულია; ისინი, ჩვეულებრივ, არ ცნობიერდება. მათ შესახებ ადამიანმა არაფერი იცის. მოთხოვნილებების ცნობიერებიდან „განდეგნის“ (ან, მარტივად რომ ვთქვათ, „დავიწყების“) მიზეზად სოციალური, კულტურული თუ ეთიკური თვალსაზრისით მათი მოუღებლობა იცევა. ეს უკანასკნელი შეკის ეფექტს იწვევენ (შეს, ზიზღს, სასოწარკვეთას, სირცხვილს) თავიანთი ბიოლოგიური, ბურგბრივი პირველფონილების გამო. ეს ველური, სტიქური ძალებია, რომელთა მართვა-კონტროლზეც ბევრად ხდება დამოკიდებული ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის უნარი.

ადამიანის არაცნობიერში განდევნილი ბიოლოგიური ძალები ფრონიდმა ორ კატეგორიად დააჯგუფა და მითოლოგიური სახელებით აღნიშნა; ერთსი და თანატონი. ძველებრძნულ მითოლოგიაში ერთსი სიკარულისა და აღმშენებლობის კოსმიური ძალაა. პირველფონილი ქაოსი წესრიგად (კოსმოსად) სწორედ ერთსმა გარდაქმნა. თანატონი კი სიკვდილის ღვთაება და მიწისქვეშეთის მეუფის, ჰადესის, თანაშემწევა(34).

ფსიქოანალიზში ერთსი სიცოცხლის შენარჩუნებასა და გამრავლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებათა ერთიანობას გულისხმობს. ესაა სექსუალურ მოთხოვნილებათა სპექტრი, რომელიც სიცოცხლის შენარჩუნება-გაგრძელებისა და ფიზიკური სიამოვნებისადმი ისწრაფვის. თანატონი, ერთსისგან საპირისპიროდ, დესტრუქციული საწყისია და აგრესიას, როგორც სიცოცხლის განადვურების მატერიალური უკავშირდება. ფსიქიკაში არსებულ ურთიერთ-საპირისპირო ძალებს ფრონიდი ასევე სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებსაც უწოდებს.

ფრონიდის თეორიაში ხელოვნების საფუძველად ეროტულ-თანატური ინსტინქტების (სექსუალობისა და აგრესის) ერთიანობა მოიაზრება, რომელთა რეალიზება-დაგმაყოფოლებასც ისახავს მიზნად როგორც მხატვარ-კრეატორის, ასევე მისი აღმშელ-რეციპიენტის მოქმედებაც. ასე მაგალითად, ფრონიდიანელ კულტუროლოგ მოუღერ-ფრეინფელსის შეხედულებით, შექსპირი და დოსტოევსკი მხოლოდ

იმიტომ არ იქცნებ დამნაშავებად, რომ ტიტანური აგრესისა და დამანგრეველი იმპულსებისგან განმუხტება შემოქმედებისა და მხატვრული აქტივობის დახმარებით შეძლეს.

ფსიქოანალიზის მიხედვით, არაცნობიერ ძალთა რეალიზებას (მათ გამოვლენასა და ამით განეიტრალება-დაგმაყოფილებას) ახდენს არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ ასევე სიზმარი და უკიდურესი ფორმით – სულიერი აშლილობა.

სიზმარი – არაცნობიერ ფსიქიკურ ფენომენთა გამოვლენის ყველაზე ტიპური და „ოოლი“ გზაა, რომელიც დაკამაყოფილების გარეშე დარჩენილი ლტოლვების (მოთხოვნილებების) დაგმაყოფილებას ემსახურება. მაგალითად, თუკი ცხადში შეუძლებელია მარწყვის დაგმოვნება შეუსაბამო სეზონისა თუ ალერგიის გამო, სიზმარში – არა თუ მარწყვი, არამედ სხვა ყოველივეც ნებადართულია; სურვილების გზა სწინილია, მათ წინ აღარაფერი ეღობება. უფრო მეტიც, სიზმარი სწორედ ფარული, ბლოკირებული, აკრძალული (სამარცხვინო, საშიში) სურვილების ახდენის „ასპარეზია“.

„ფსიქოანალიზში“ საგანგებო განხილვას იმსახურებს სიმბოლოს ფენომენი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებასა და სიზმართან მიმართებაში როდი შეისწავლება.

ფრონიდი, საზოგადოდ, ცნობიერებასა და ქცევის მათ საფუძვლად მდებარე ფუნდამენტური ფენომენების სიმბოლოებად მიიჩნევდა; ცნობიერი განცდა და ქცევა არაცნობიერი იმპულსის (მოთხოვნილების) სიმბოლოა, ხოლო სიმბოლიზაცია – ფსიქიკის მოქმედების ზოგადი პრინციპი. პრინციპი, რომელიც ადამიანის „შინაგანი ცენტორის“ ანუ ფსიქიკის ავტონომიური თავდაცვითი მექანიზმების მუშაობას უკავშირდება; ფსიქიკური მექანიზმი – „შინაგანი ცენტორი“ – ნიღბავს, სახეს უცვლის ცივილური, კულტურული ადამიანისთვის მოუღებელ არაცნობიერ ძალებს (ეროსსა და თანატონს), რაც პერმანენტული, უწყვეტი სიმბოლოთწარმოქმნის მიზეზად იქცევა; ცნობიერება არა პირდაპირ, არამედ სიმბოლოთა სახით ასახავს არაცნობიერში არსებულ ლატენტურ, ფარულ, მაგრამ რეალურ და ფუნდამენტურ ძალებს. აღნიშნული თვალსაზრისით, კულტურა და საკუთრივ ხელოვნება „ორბაგად“ სიმბოლური ბუნებისაა, ერთგარებად ნიშანთა ნიშანია, რომლის მეცნიერული კვლევაც უცილობლად უკავშირდება სიმბოლური ენის წვდომას, ნიშანთა

დეკოდირებას და მათ მიღმა არსებულ, არაცნობიერ ფენომენთა შესწავლას.

სიზმრისეული სიმბოლო ასევე არაცნობიერი მოთხოვნილების ასახვაა, ფარული სურველებისა და ტენდენციების არა პარდაპირი, არამედ შეფარებით, „ვუალირებით“ წარმოჩენაა. მაგალითად, ადამიანს ესიზმრება, რომ სეკატორით გაზონს ასწორებს ანდა ვარდის ბუჩქს გამოხშირავს. ფროიდის გაგებით, ეს სიზმრისეული ქმედება არა პირდაპირ, არამედ სიმბოლურად უნდა გავიგოთ; ბაღზე ზრუნვის მიღმა აგრესიული მოთხოვნილების გამოვლენა და დაქმაყოფილება იმაღება; კერძოდ, აგრესიული ჭრა-კვეთა (სეკატორით მანიპულირება) ბაღზე და მცენარეებზე ზრუნვით ინიღბება.

ფსიქოანალიზი მიუთითებს ორი ტიპის სიზმარზე; პირველი სიმბოლიზმების გარეშე (პირდაპირ) აქდენს გარკვეული ტენდენციების რეალიზებას (მაგალითად, ბავშვი სიზმრად აკრძალულ ნუგბარს მიირთმევს). მეორე სიმბოლოთა გამოყენებით მოთხოვნილების „მეტაფორულ“ (არაპირდაპირ) დაკმაყოფილებას უკავშირდება. (მაგალითად, აგრესიული მოთხოვნილება სეკატორის დაზმარებით ბაღის გამოხშირვით ინიღბება). პირველი ტიპის სიზმარი იშვიათად და მცირეწლოვანი ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი, მაშინ როდესაც მეორე – უნივერსალურ ხასიათს ატარებს.

მხატვრული შემოქმედება, სიზმრის მსგავსად, სიმბოლოთა გამოყენებას უკავშირდება და ძირითადში არაცნობიერი ძალების, ეროტულ-თანატური მოთხოვნილებებით (სექსუალობითა და აგრესით), კომპლექსებით, ტრავმებითა და ინფორმილური მოგონებებით წარიმართება. შემოქმედების საფუძველსაც დაუკმაყოფილებელი ლტოლვები შეადგენენ. მაგრამ, სიზმრისგან განსხვავებით, შემოქმედების (ხელოვნებისა და კულტურის) საფუძველში უფრო ინტენსიური ფსიქოლოგიურ პროცესები თუ კონფლიქტი იგულისხმება, რომლის გადაწყვეტა და განეიტრალებაც სიზმრის შესძლებლობათა საზღვრებს სცილდება. ამიტომაც ამ შემთხვევაში სიზმართან შედარებით უფრო ქმედითი და ინტენსიური ფსიქოლოგიური მექანიზმი ჩაერთვის.

მხატვრული აქტივობა ფროიდს სიზმრისეული აქტივობის ერთგვარ გაგრძელებად, მის ინტენსიურ ფორმად ესახება; თავისებური „ცხადში ზმანების“ სახით. შინაგანი კონფლიქტისა თუ პრობლემის ინტენსივობის ზრდამ და არარეალიზებული მოთხოვნილების

სიჭარბემ შეიძლება ფსიქიურ დარღვევმდეც მიიყვანოს ადამიანი, რომლის სიმპტომებიც (და, საზოგადოდ, მოული სინდრომი) ფროიდს ასევე ფსიქოლოგიური პრობლემისა და ტრავმის სიმბოლურ ასახვად და მის პათოლოგიურ რეალიზებად ესახება.

მხატვრულ-კრეატული მოქმედება სიზმრისა და სულიერი აშლილობის ერთგვარ მაკავშირებელ, შუალედურ რგოლადაა წარმოდგენილი ფსიქოანალიზში. სხვაობა მათ შორის, ფაქტობრივად, რაოდენობრივად და არა თვისობრივი; სუსტი შინაგანი კონფლიქტი თუ პრობლემა (მოთხოვნილებათა სისუსტე) სიზმრის აქტივაციას იწვევს. პრობლემის ინტენსივობის მატება – მსატვრული შემოქმედების სტრუქტულს იძლევა და ბოლოს, პრობლემის განსაკუთრებული „სიმბიტ“ სულიერი აშლილობის საფუძველს ქმნის.

ფროიდის ხელოვნების თეორიაში ცენტრალური ადგილი ლი ბიდოს (ტერმინი ითარგმნება, როგორც ლტოლვა) და მასთან დაკავშირებულ პროექცია-სუბლიმაციის პროცესებს ეთმობა. საინტერესოა, რომ ლიბიდოს პირველი ანალიზი ციცერონს უკავშირდება. ციცერონი ერთმანეთს უდარებს ლიბიდოს (ანუ ლტოლვა-სურვილს) და სიხარულს; თუკი სიხარული (ლაუცტიტია) რეალურ, აქტუალურ კეთილდღეობასთანაა მიმართებაში, ლიბიდო (ლტოლვა) მომავალი სიამის განვირებაა. ფიზიკოსმა რ. მაიერმა ტერმინი „ლიბიდო“ ენერგიის მნიშვნელობით ფიზიკაში შემოიტანა. ფროიდმა კი ფსიქოლოგიური და სამედიცინო მნიშვნელობით დატვირთა; ფსიქოანალიზში ლიბიდო – სექსუალური ლტოლვაა, სექსუალური ლტოლვის ენერგიაა, რომელსაც მდინარის ნაკადის მსგავსად დაყოფა, აქსება, ნაპირებიდან გადმოსვლა, კლება, მიმართულების შეცვლა და ა. შ. შეუძლია.

ლიბიდო, როგორც სექსუალურ-აგრესიული ენერგია თანდაყოლილი და უნივერსალურია ცოცხალ არსებათათვის. ამ ტერმინით უნივერსალური და თანდაყოლილი ფსიქიკური ენერგია აღინიშნება. ის ენერგია, რომელსაც მოქმედებაში მოყვას ორგანიზმი და რომელიც მისი ცხოველმედების, განვითარებისა და ზრდის საფუძველს წარმოადგენს.

ფროიდის ხელოვნების თეორიას შემოქმედების ფუნდამენტად ლიბიდო, როგორც ეროტულ-თანატურ იმპულსთა (სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტთა) ერთიანობა ესახება. ხატვის, ცავვის, სიმღერისა თუ სასცენო მოქმედების წყაროდ და „პირველმიზეზად“

კრეატორის არაცნობიერში არსებული ლიბიდონალური ენერგიაა მიჩნეული. ენერგია, რომელიც დაგროვილი ბიოლოგიური მოთხოვნილებებით საზრდოობს და გამოვლენას, განმუხტვას, დაცლას ესწრაფვის. ფართო მნიშვნელობით გაგებული შემოქმედება და, კონკრეტულად, ხელოვნებაც ლიბიდონალური ენერგიის გამოვლენასა და განმუხტვას წარმადგენს(36).

ლიბიდონალური ენერგიის განმუხტვის პირდაპირი გზა, მისი დანიშნულების შესაბამისად, გამრავლების პროცესს უკავშირდება. მაგრამ ადამიანის ფსიქიკური ენერგია ყოველთვის „პირდაპირ“ გზას არ ირჩევს და არაბიოლოგიური, წმინდა ადამიანური ან „მაღალი“ მიზნებისადმი მიმართება, რაც კულტურისა და ხელოვნების ფინომენთა აღმოცენება-განვითარების ფსიქოლოგიურ საფუძველს იძლევა.

ზმოთ განხილული თვალსაზრისს უკავშირდება ოტო რანკის სახელგანთქმული ფრაზა: – ხელოვანი ლიდერია, რომელიც სათავეში უდგას კაცობრიობას კულტურისადმი მტრულად განწყობილი ინსტინქტების მოთვინიერებისა და გაკეთილშობილებისთვის უწყვეტი ბრძოლის პროცესში. ინსტინქტთა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა ესთეტიკური განცდების საწინდარად იქცევა(31).

ლიბიდოს, როგორც სიცოცხლისა და აქტივობის პირველსაწყისისა თუ პირველმიზეზის, სიცოცხლის უნივერსალური პრინციპის ცნება ფილოსოფიური „სიცოცხლის ნების“ ფსიქოლოგიური ანალოგია; ფრონდა „სიცოცხლის ნების“ ფილოსოფიური ტერმინი ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთა და გამდიდრა.

მსატვრული შემოქმედების ერთსთან (ეროტიკასთან) კავშირის იდეა ახალი არაა. ბერძნული მითოს ეროსს შემოქმედებით ძალად, კოსმიურ აღმშენებლობით საწყისად, მითჩნევს; სიყვარული და შემოქმედება არქეტიპულად განუყოფელია და ერთ მთელს, ერთ მთლიანობას ქმნის.

არსებობს თვალსაზრისი, რომელიც ლიბიდოს, ეროსისა და და თანატოსის ფენომენები მხოლოდ ბიოლოგიურ მნიშვნელობას არ გულისხმობს და მათ მეტაფორულ დატვირთვას ანიჭებს; ეროსი და თანატოსი მეტაფიზიკური სტიქიების (კოსმიური სიყვარულისა და სიძულვილის) სახით განიხილება.

უნდა აღინიშნოს ეროსის მიმართ ხელოვნების განსაკუთრებული

და გამორჩეული ინტერესი. იგულისხმება როგორც ადამიანის სხეულისადმი გამძაფრებული ყურადღება, ასევე ეროტული თემების ფართო და ამოუწურავი გაშუქება. ანტიკური ხელოვნების (რომელიც დღემდე თვლება მოუღწეველ ეტალონად) და ასევე აღორძინების ეპოქის მსატვრული შემოქმედების (რომელიც სწორედ ანტიკური იდეალების აღორძინებას ითვალისწინებდა) მთავარ ობიექტს საფარველისგან თავისუფალი ადამიანის სხეული წარმოადგენდა. შემოქმედების უმდლავერეს სტიმულად შემთხვევით როდი იქცა აფროდიტე (ვენერა) – სილამაზისა და სიყვარულის ქალმერთი, რომლის დაუსრულებელი ინტერპრეტაციების მაგალითებია პირველფოლი კერპები, პირობითად „ვენერად“ წოდებულნი, ანტიკური „ვენერა მილოსელი“, ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“, ველასკესის „ვენერა სარკესთან“, მანეს „ოლიმპია“ და ა. შ.

მაგრამ ფსიქოანალიზი ასე ცალსახად როდი აშუქებს ეროსის თემას. თავისი პირველადი ფორმით, ეროსი თანატვრია ანუ სექსუალობა აგრესიასთანაა შეზრდილ-შესისხლხორცებული; სყვარული და სიძულვილი ერთი მონეტის ორი მსარეა. ლიბიდონალური ენერგია, ფაქტობრივად, ორპოლუსიანია, ამბივალენტურია, რადგანაც სიყვარულ-სიძულვილის ერთ ძლევამოსილ ვნებად შეწყმას გულისხმობს.

კ. იუნგმა ერთ-ერთი პირველი მონოგრაფია სწორედ ლიბიდოს თემას უძღვნა. („ლიბიდო და მისი მეტამორფოზები“). აგზორი ლიბიდოს ფართო გაგებას გვთავაზობს; მასში გულისხმობს არა მხოლოდ სექსუალურ, არამედ, საზოგადოდ, ფსიქიკურ ენერგიას; ლიბიდო სწრაფვათა კონაა, სისტემაა, რომელშიც სექსუალრივი ლტოლვა მხოლოდ შემადგენელ ნაწილად იქცევა. კ. იუნგს უფრო მართებულად მიაჩნია, „ფსიქიკური ენერგიის“ ტერმინის გამოყენება. „და, არ არსებობს არავითარი ეჭვი მუსიკის სექსუალური ძარბისა, მაგრამ უაზრობა და უგემონობაა ხელოვნების შეყვანა სექსუალობის კატეგორიაში. ეს ივევე კიოლინის ტაძარი მინერალოგის ტერმინებში განვიხილოთ, რადგანაც იგი ქვებისგან, მინერალებისგან აიგო“(48).

ხელოვნება და კულტურა ფსიქოანალიზს ბიოლოგიური, თანდაყოლილი (ზოგჯერ კვლური და დაუმორჩილებელი) ძალებისგან თავდაცვის სახით ესმის. კულტურა ადამიანის გარშემო დამცავ კედლად აღიმართება და მას სტიქიკური, ველური, პირველფოლი ძალებისგან იცავს ზუსტად ისე, როგორც პრეისტორიულ ხანაში

ჩვენმა წინაპრებმა პირველი დასახლებები შექმნეს და მაღალი, დამცავი ზღუდით მკვეთრად გამოჯვნეს თავი ბუნებისაგან. სოფლებისა და ქალაქების გალაგნები დაცვას არა მხოლოდ მტრული ტომებისგან, არამარტ მტრული ბუნებისგანც გულისხმობდა. სმოსახლის გარშემო აღმართული კედელი სიმბოლურად ადამიანის გარე და მისთვის უცხო სამყაროსაგან გამოიჯვნას, გამოყოფას გამოხატავდა.

ეს დამცავი და კომფორტის მომტანი ზღუდე ადამიანის ფსიქიაშიც აღიმართა, რომლის მიღმაც ცივილური ადამიანისთვის მოუღებელი და მოუფინიერებელი ბიოლოგიური ან ბუნებრივი საწყისი აღმოჩნდა. ადამიანის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად ბუნებისაგან (როგორც გარეშე ბუნების ასევე საკუთრ თავში არსებული ბიოლოგიური ძალებისაგან) მუდმივი თავდაცვა და თავდაცვის ახალი, დახვეწილი სტრატეგიების შემუშავება იქცა. ბუნებისა თუ ინსტინქტთავან თავდაცვის, მათი მოთვინიერების ყველაზე ეჯექტურ იარაღად ფსიქონალიზს კულტურა ესახება!

ფსიქონალიზი პიროვნების ფორმირებაში განმსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს ორი ძალის – თანდაყოლილი ბიოლოგიისა და შეძნილი სოციალობის (ან სოციო-კულტურულის) ჭიდილსა და შეპირისპირებას; ერთმანეთს უპირისპირდება ინსტინქტური და სოციო-კულტურული სფეროები; ბუნებისა და საკუთრივ ადამიანური ძალები. ამ ჭიდილში განსაკუთრებული ადვილი სწორედ ხელოვნებას ეკუთვნის, ვინაიდან სწორედ იგია ინსტინქტთა და, საზოგადოდ, ბუნების „დიდი მომთვარეობის ებედი“. ხელოვნება, რომელიც ბუნებრივ ძალებს წმინდა ადამიანურ, „კეთილშობილ“ ან „მაღალ“ მიზნებსა თუ ამოცანებს უქვემდებარებს. ბუნების მოთვინიერება ადამიანის მიერ საკუთარი თავის, ბიოლოგიური და სოციო-კულტურული ძალების (ან საკუთარ ფსიქიაში არსებული ძალების) მართვას, რეგულირებასა და კონტროლს უკავშირდება, რის ფუნქციას ფსიქიკის ეწ. „თავდაცვითი მექანიზმები“ ტვირთულობებს.

ფსიქიკის თავდაცვითი მექანიზმები არა მხოლოდ ფსიქიკის შინაგანი ბალანსისა და ეფექტური გარეგანი მოქმედების ამოცანებს ემსახურება, არამედ ასევე კავშირშია ხელოვნებისა და საზოგადოდ კულტურის ფენომენებთანაც. ხელოვნების თეორიაში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, აქ პროექციისა და სუბლიმაციის თავდაცვით მექანიზმებზე შევჩერდებით.

პროექცია, როგორც ფსიქიკის თავდაცვითი მექანიზმი,

ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნული თვისების, საზოგადოდ საკუთარი პიროვნების (შიდა ფსიქიკური ფენომენების), „გარეთ გატანას“ და გარეშე მოვლენად თუ ობიექტად „ქცევას“ გულისხმობას; პიროვნების შინაგანი თავისებურება გარე სამყაროს მიეწერება („გარეთ გადაიტანება“) და ამით პიროვნებისგან დამოუკიდებელ არსებობას იწყებს. როგორც ფსიქონალიზი მიუთითებს, აღნიშვნული მექანიზმი პიროვნებისთვის მიუღებელი და ამიტომაც საშიში, სამარცხვინო თვისებების, სურვილებისა თუ აზრების „გარეთ გატანას“ (ეს უკანასკნელი მიეწერება სხვა პიროვნებას ან სულაც რაღაც ობიექტს) და ამით მათგან განთავისუფლებას ემსახურება. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური „თვალთმაქცობის“ ფორმაა, როდესაც „ჩემი“ თვისება (იმიტომ, რომ არ შეესაბამება საზოგადოებრივსა თუ ზნეობრივ ნორმებს), „სხვას“ მიეწერება. პროექციის გამოყენებით ადამიანი მტანჯველი განცდებისგან თავისუფლდება და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას მოიპოვებს. მაგალითად, აგრესიული იმპულსები, როგორც წესი, მიეწერება „ვიდაც სხვას“, მტერს, როგორც აგრესის მაპროვოცირებელ გარეშე ძალას. ამით ადამიანი არა მხოლოდ ამართლებს საკუთარ „საპასუხო“ აგრესიულობას, არამედ მტრის სატაცა ქმნის, რომლის მიმართ აგრესიის გამოყენება გამართლებულია და „სავალდებულოც“ კი. პროექციის ნიმუშებია ისეთი გამონათქვამები, რიგორიცაა: „შემომელახა“, „შემოსაკვდა“, „შემომეჭამა“. ამ ფრაზების აგტორი მთელს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანებს (ნივთებსაც კი) გადააბარებს და თავად პასუხისმგებლობის ტვირთისგან თავისუფლდება. უნდა აღინიშნოს, რომ პროექცია ემსახურება „დაღებითი“ თვისებებისა და განცდების გადატანასაც. მაგალითად, ხშირია სიყვარულის პროცესირების შემთხვევები; პროექციის შედეგად, ცალმსრივად შეყვარებული სიყვარულის ობიექტში „საპასუხო“ და რეალურად კი, საკუთარსაც გრძნობას ხედავს.

ფსიქონალიზს ხელოვნება ფსიქოლოგიური პროექციის სახით ესმის; ავტორი-შემოქმედი შემოქმედების დახმარებით საკუთარი პიროვნების გარე სამყაროში პროცესირებას ახდენს. ხელოვნება, როგორც ფსიქიკის ობიექტიდანება, ობიექტად ქმნა, მისი ავტორის ფსიქოლოგიური ანარეკლა და ასახვა. ხელოვანის პროცესირების (ხელოვნების პროდუქტში ასახვის) მიზეზად მისი შინაგანი პრობლემები, ფსიქოლოგიური დისალანის და კონფლიქტები,

სოციალური და კულტურული თვალსაზრისით მოუღებელი სურვილები და მოთხოვნილებები იქცევა.

ხელოვნების შესწავლით მისი ავტორი შეისწავლება! – ასეთია ფრთიდის შემოქმედების თეორიის ძრითადი პირზულატი. ხელოვნება მისი ავტორის რეალურ ვინაობას გასაგებს ხდის. უფრო მეტიც, ფსიქოანალიზის ხელოვნება ავტორის საკუთარი თავისგან (ფსიქოლოგიური პრობლემებისგან) განთავისუფლების მისტერიად ესახება; ავტორი საკუთარ თავს (ან საკუთარ პრობლემებს) „ტროვბს“ მხატვრულ ქმნილებაში და ამით თავისუფლებას აღწევს.

პლატონი კათარზის მიწიერი საწყისისგან მოწყვეტად, მიწიერის დავიწყებად მიიჩნევდა. ფრთიდის ხელოვნების თეორიაშიც, მხატვრული შემოქმედება ჩვეული, მატერიალური საწყისისგან და ასევე ჩვეული პიროვნული საწყისისგან განთავისუფლებას გულისხმობს, რის მიღწევაშიც მნიშვნელოვან როლს პროექტის ფსიქოლოგიური მექანიზმი ასრულებს. ხელოვნების სიმბოლურ ენაში არეკლილი ავტორი ხელახლა აღმოაჩენს და იღებს, იგუებს და მოუტევებს საკუთარ თავს.

კონკრეტულ ფილმის ვიზუალირება პროექტორით წარმოებს; ტერმინთა ეს თანხვედრა შემთხვევითი როლია; ფსიქოანალიზის მეტაფორული ენით, ხელოვნება (და არა მხოლოდ კინო) პიროვნების ეკრანზება-პროეკტორებაა საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის, როგორც მაყურებელთა დარბაზის, წინაშე.

ზ. ფრთიდის ხელოვნების თეორიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სუბლიმაციას, როგორც კერძო თავდაცვით მექანიზმს. აღნიშნული ტერმინი ფრთიდმა ქმიტურ ლექსიკონში მოიძია, სადაც სუბლიმაციაში გარკვეული ქიმიური პროცესი და კერძოდ, მყარი ნივთიერების აიროვან მდგომარეობაში გადასვლა (აქროლვა) იგულისხმება. ფსიქოანალიზი სუბლიმაციით „ფსიქოლოგიური აქროლვის“ ფენომენს კერძოდ კი, ბიოლოგიური ენერგიის (ლი-ბიდოს) არაბიოლოგიური მიზნებისა და ამოცანებისკენ მიმართვას აღნიშნავს. იმ ფსიქოლოგიურ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ბიოლოგიური (თავისი არსით „მიწიერი“) ენერგია ერთგვარ გარდაქმნას განიცდის და არა „ხორციელი“, არა ბიოლოგიური, არამედ სოციო-კულტურული მიზნებისადმი წარიმართება.; სუბლიმაციის ძალით ადამიანი ისეთი „წმინდა ადამიანური“ ამოცანების დასახვას ახერხებს, როგორიცაა შემეცნება, ბრძოლა

სამართლინობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, მშვენიერების ჭვრეტა და მისი ქმნადობა და სხვა. ხელოვნება, როგორც ადამიანის კულტურული მოღვაწეობის კერძო გამოვლინება, სუბლიმაციის ფენომენთან არსობრივად კავშირდება.

ფსიქოანალიზი გვთავაზობს კათარზისის ფენომენის საინტერესო ინტერპრეტაციას. ფრთიდმა და ბრეიერმა მათ მიერ მიგნებულ თერაპიულ მეთოდს „კათარზის“ უწოდეს, რომელსაც ფსიქოთერაპია დღემდე აქტიურად მიმართავს და იყენებს.

მეთოდი მოყლევა ასე შეიძლება დახასიათდეს: პაციენტი იხსენებს და ხელახლა განიცდის იმ წარსულ ტრავმას, რომელიც ფსიქიკური დარღვევას (დაავადების) მიზეზად იქცა. ტრავმის განცდაში გაცოცხლება მისგან განთავისუფლების, განწმენდის ან კათარზისის საფუძველი ხდება. ასე შემოაბიჯა კათარზისმა ესთეტიკიდან მედიცინაში და აქ მყარად დამკიდრდა.

ფსიქოანალიზის მიხედვით, ხელოვნებას მნიშვნელოვანი თერაპიული პოტენციალი ახასიათებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კათარზისის ფენომენს უკავშირდება. ფრთიდის მოწაფეებმა ხელოვნების დარგები აქტიურად ჩართეს ფსიქოთერაპიულ მეთოდთა არსენალში და სპეციფიკურ მეთოდს, არტთერაპიას, ჩაუყარეს საუძღველი.

ხელოვნების ფსიქოანალიზურ თეორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ო ი დ ი კ ო ს - კ ლ ე ქ ს ი ს ცნება(39,40). აღნიშნული ტერმინით ფრთიდმა როგორც კერძო ადამიანის, ასევე მთელი კაცობრიობის განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილე, ფსიქოლოგიური ფენომენი აღნიშნა. ტერმინი ძევლბერმნულ მითს უკავშირდება, რომელშიც ფრთიდის განმარტებით, ზოგჯერ ფარული, მაგრამ უნივერსალური და ქმედითი ფსიქოლოგიური ფენომენია ასახული. მითში და სოფოკლეს ტრაგედიაში „ოდიაპოს მეფე“ – ოდია პოსი კლავს მამას და საკუთარი დედის ქმარი ხდება, თუმცა სისხლის შერვეას იგი გაუცნობიერებლად, ბედისწერის ბრძა და სასტიკი კანონების ძალით ახდენს. ოდია პოსი ბედისწერის პასიური სათამაშოა, რომლის მიწიერ ძალებსაც აღემატება ოლიმპიულ ღმერთთა ნებისა თუ ორაკულის წინასწარმეტყველების შეცვლა და საკუთარი ცხოვრების ცნობიერი წარმართვა. სიბრძნით დაჯილდოვებული ოდია პოსი, სფინქსის გამოცანის და, შესაბამისად, საკაცობრიო პრიბლების ამომზსნელი, ბრძასავით სუსტი და უმწეო აღმოჩნდება

ბედისწერასთან მიმართებაში. ამიტომაც ითხრის იგი თვალებს პროტესტის ნიშად, რათა ღმერთებსვე მოუგდოს მათი ყალბი ჯილდო – ხევისა და გაგების ნიჭი(35)!

ფროიდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მითის (და სოფოკლეს ტრილოგიის) პირველ ნაწილს ანიჭებს, სადაც ცენტრალურ ადგილს ადამიანის უმწეობისა და გარეშე ძალთა მიმართ იძულებითი მორჩილების თემა იკავებს. თუკი ძველი ბერძნებისთვის გარეშე უძლეველ ძალებში ოლიმპიული ღმერთები იგულისხმებოდა, ფროიდის თეორიაში ასეთად თვით ადამიანში არსებული არაცნობიერი ძალები გვესახება; არაცნობიერი ძალები, რომლებიც როგორც კერძო ადამიანის, ასევე საზოგადოების მოქმედებას განსაზღვრავენ. ფსიქოანალიზის განმარტებით, როდიპოსი მისივე ფსიქიკურ, არაცნობიერ (ბელით მოცულ და ამიტომაც როჟლად სამართავ) ძალთა მსხვერპლი ხდება!

მითოლოგია და სოფოკლეს ტრილოგია არა მხოლოდ ოდიპოსის ტრაგიული ბედის შესახებ მოგვითხოვბს, არამედ ასევე ასახავს ადამიანის ბედისწერის მიმართ პროტესტსა და შემდგომ კათარზისსაც, რაც საბოლოოდ, მაღლოთან და ღმერთების მოუღლონელ ჯველდოსთან კავშირდება (იხ. სოფოკლე „ოდიპოსი კოლონოსში“). და ესაა ადამიანის ტრიუმფი არა იძენად გარეშე, რამდენადაც საკუთარისავე შინაგან ძალებზე; ადამიანის გონებისა და ნებისკოფის ტრიუმფი მისივე არაცნობიერ, ინსტინქტურ საწყისზე!

ფსიქოანალიზის მიხედვით, მითი ფსიქოლოგიური პარადიგმაა („ფორმულაა“), რომელშიც ადამიანის ფსიქიკური ფენომენები ასახება. შესაბამისად, მითი ადამიანის ფსიქიკის შესწავლის უფლებური ინსტრუმენტია. და მით უფრო, რომ მითში სოციალურად თუ ეთიკურად მიუღებული, აკრძალული, ტაბუირებული ზრავები და ტენდენციები ვლინდება, თანაც პირველადი, „ანფანტილური“, უშუალო ფორმითა და სახით. მითი ხომ კაცობრიობის ბავშვობის, ბუნებასთან იდილიისა და შეუფარავი პირდაპირობის სამყაროა! ფსიქოანალიზის დამოკიდებულებას მითოლოგიასადმი ნათლად ასახავს პ. იუნგის სიტყვის: „მითი გაჩნდა, როგორც პირიმიტივის მიერ სამყაროს ასიმილირების შედეგი. მითია სამყაროს ჩართვა ჩემს სულიერ სამყაროში, ანუ სამყაროს განსულიერება. ჩემი სულიერი ცხოვრება ამით დაკვირვების ობიექტად იქცევა, გადის გარეთ და მე უკეთ შევმეცნებ საკუთარ თავს. ფსიქიკა შეიცავს ყველა იმ ხატ-

წარმოდგენას, რომლებისგანაც მითია ნაგები!“ (თარგმანი ჩემია – რ. მ.)(37).

ფროიდის გაგებით, სოფოკლეს ტრაგედია ასახავს, თუ გამოძიებით (ანდა შემეცნებით) როგორ ისხება რიდიპოსი მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული; ამით ტრაგედიას აქვს აშკარა ანალოგია ფსიქოანალიზის პროცესთან, ფროიდის მიერ შემუშავებულ, სპეციფიკურ ფსიქოთერაპიულ მეთოდთან. ფროიდისული მეთოდი პიროვნების მიერ საკუთარი არაცნობიერის თანდათანობით შემცირებასა და წვდომას გულისხმობს და საკუთარ პიროვნების ახალი, მოუღლონელი და ზოგჯერ შოკთან, ძლიერ უარყოფით ემოციებთან დაკავშირებული ქვეცნობიერი ფენომენების მოძიებას უკავშირდება. ესაა საკუთარი პიროვნული სიღრმეებისადმი მიმართული „გამოძიება“. გამოძიება, რომელმაც შესაძლოა, სრულიად შევალოს საკუთარი თავისა და მთელი სამყაროს გაგებაც. ფროიდის შეხედულებით, სოფოკლეს ტრაგედია ადამიანის თვითანალიზის მეტაფორა! თვითანალიზისა, რომელშიც პროტაგონისტთან ერთად, მაყურებელიც ჩაერთვის და საკუთარ თავში აღმოაჩენს რიდიპოსის ვნებებსა და ბედისწერას ანდა – რიდიპოს კომპლექსს. და მიუხედავად იმისა, რომ ღმერთებისა და ბედისწერის დადანაშაულება საკუთარივე არაცნობიერი ძალების შენიბბას (შესაბამისად, საკუთარ პასუხისმგებლობაზე უარის თქმას) ემსახურება, ტრაგედიის მაყურებელს სინდისი მაიც უკიუნებს: „შენ დამნაშავე ხარ! შენ ვერ შეძლი საკუთარი სურვილების განადგურება! ისინი შენში არაცნობიერად არსებობენ!“(36).

ფსიქოანალიზი მიიჩნევს, რომ ოდიპოს-კომპლექსი უნივერსალური ფსიქოლოგიური ფენომენია და საპირისპირო სქესის შშობლის მიმართ ლტოლვასა და საკუთარი სქესის შშობლისადმი დაპირისპირებას გულისხმობს. ანიშნული კომპლექსი ადამიანის განვითარების პროცესში გარდამავალი ასაკის დასრულებასთან ერთად დაიძლევა. მისი ძლევა ინფანტილიზმის დასასრულის, საკუთარი სქესის შშობლობა ფსიქოლოგიური გაიგივებისა (იდენტიფიკაციისა) და ფსიქოლოგიური სიმწიფის მანიშნებელი ხდება. გადაულახვი რიდიპოსი კომპლექსი ფსიქოლოგიური მოუმწიფებლობის ან ინფანტილიზმის მაჩვენებელია (შშობლებთან მიჯაჭვულობა, მათდამი დაქვემდებარება ან მწვავე კონფლიქტური მიმართება, დამოუკიდებლად არსებობის უუნარობა და ა. შ.)(39).

ფრონიდის თეორიაში ოიდოპოს-კომპლექსი შემოქმედების მძღავრ სტიმულად მოიაზრება; კრეაციულ პროცესებში ოიდიპოს კომპლექსის უმნიშვნელოვანები ადგილი ეთმობა. უფრო მეტიც, ფრონიდის ფსიქოლოგიური სკოლა მიიჩნევს, რომ მსატვრული შემოქმედების ფუნდამენტში სწორედ ოიდიპოს კომპლექსი ან მშობლებისადმი გადაულახავი ამბივალენტური მიმართება, მიჯაჭვულობა და იდენტიფიკაციის (მშობლის როლის ათვისების, შშობელთან გაიგივების) სირთულეები უნდა ვიგულის ხმოთ! ფრონიდის სახელგანთქმული გამონათქვამის მიხედვით, კაცობრიობის მიერ შექმნილი სამი, ყველაზე დიდი ტრაგედია, როგორიცაა: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შექსპირის „პამლეტი“ და დოსტოევსკის „მები კარამაზოვები“ – სწორედ ოიდიპოს-კომპლექს უკავშირდება; მათში ასახული მოვლენები თაობათა შორის მტკიფინული და ტრაგიული მიმართების, მათ შორის ჭიდილისა და ბრძოლის, ამბივალენტური ვნების – სიძულვილნარევი სიყვარულის თემას უკავშირდება.

ფრონიდიანული ხელოვნების ფსიქოლოგიის ერთგვარი „კულტინაცია“ ო. რანკის თხზულება „გმირის დაბადება“, რომელშიც საზოგადოდ გმირის უმთავრეს თავისებურებად მამათა თაობასთან (ტრადიციულ ღირებულებებთან, სტერეოტიპებთან და ფიქსირებულ განწყობებთან) შეპირისპირებაა აღიარებული. გმირი, როგორც ახლის შემომტანი, უპირისპირდება ძველს, როგორც მამათა ავტორიტეტს და ამ ჭიდილში საკუთარი თავის დამკიფირებას ცდილობს. თაობათა შორის ამბივალენტური მიმართება (სიძულვილნარევი სიყვარული) კი არა მხოლოდ შვილთა თვითრეალიზების, არამედ ასევე საერთო საკაცობრიო წინსვლის, განვითარებისა თუ ეკოლუციის პირობად იქცევა.

ინფანტილური მიჯაჭვულობა მშობელთან და გადაულახავი ოიდიპოს-კომპლექსი, ფრონიდის გაგებით, შემოქმედებითი ძალების, როგორც ფსიქიკის თავდაცვითი მქანიზმის, ამოქმედებისა და ამუშავების სტიმული ხდება; მსატვრული აქტივობა აუტო-თერაპიული ზემოქმედებისაა და მისი სუბიექტის (შემოქმედის) თვითრევულირების ერთერთ ყველაზე ქმედითსა და უფექტურ იარაღს წარმოადგენს: შემოქმედების დახმარებით ხელოვნი საკუთარ ფსიქიკას „მჯურნალობს“, ახდენს როგორი ფსიქოლოგიური პრობლემებისგან განთავისუფლებას და ფსიქოგრაფი, მინაგანი წინასწორობისა თუ ბალანსის დამკვიდრებას.

მსატვრული მოქმედებისა და მისი პროდუქტის კონკრეტულ

პიროვნებასთან, შემოქმედთან მიმართების საკითხი ფრონიდისა და იუნგის ხელოვნების თეორიათა განსხვავების ძირითად მიზეზად იცია. ოუკი ფრიოდის კლასიკურ სკოლაში, შემოქმედება და პიროვნება საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად კავშირდება ერთმნეოთან; პიროვნება „ხსნის“, „გასაგებს ხდის“ მისი შემოქმედების პროდუქტს, იუნგის ხელოვნების თეორიაში ხელოვნება, ფაქტობრივად, „ანონიმური“ ხდება, სცილდება კერძო და კონკრეტული ავტორის ფსიქოლოგიის საზღვრებს.

ფრონიდის შეხედულებებმა მისივე ფსიქოლოგიურ სკოლაში გამოიწვია დებატები და პროტესტიც კი. გაჩნდა და თანდათან ჩამოყალიბდი თვალსაზრისი, რომ შემოქმედება და მისი პროდუქტი გაცილებით მეტია, ვიდრე ავტორის (როგორც კერძო, კონკრეტული ადამიანის) ფსიქიკა და რომ ფსიქოლოგია (ტრადიციული ფსიქოლოგია) საზოგადოდ უძლურია გაივოს და ახსნას შემოქმედებითი პროცესები (იხ. იუნგის ხელოვნების თეორია).

## ზ. ფრონიდი – „დოსტოევსკი და მამათამკვლელობა“

ხელოვნების ფსიქოანალიზური „წაკითხვის“ ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს ზ. ფრონიდის ნარკვევი „დოსტოევსკი და მამათა მკვლელობა“ (44). თხზულებაში წარმოდგენილია დოსტოევსკის შემოქმედებით თავისებურებათა გაგება თავად დოსტოევსკის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა საფუძველზე (43). აღნიშნულმა მიღვიმამ შემდგომ ფართო გავრცელება პპოვა და სიმბოლოთა მიღმა კომბლექსების მოძიების ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. ნარკვევში რუსი მწერლისთვის არსებითი მამათა მკვლელობის მოტივი (რომლის თოთმის ყველა ნაწარმოებში აისახება ბრძოლა, როგორც თაობათა შორის, ასევე ავტორიტეტთა, სტერეოტიპთა მიმართაც), დოსტოევსკის ბიოგრაფიით და კერძოდ, საკუთარი მამისადმი როგორი, დრამატული დამოკიდებულებით აიხსნება. მამის მძიმე ხასიათი, მის მიმართ შეკავებული აგრესია და ბოლოს, მამის ბურუსით მოსილი მკვლელობა – აი, რა გახდა, ფრონიდის განმარტებით, დოსტოევსკის როგორც შემოქმედების, ასევე მისი პიროვნების თავისებურებათა განშასზღვრელი.

ფრონიდი მოუთითებს დოსტოევსკისთვის დამახასიათებელ არსებობის ნიშანზე – თვითგვემის მაზოხისტურ ტენდენციაზე. ფსიქოანალიზის

ავტორი მიიჩნევს, რომ ოვითგვემის, საკუთარი თავის დასჯის გამოხატულება იყო მწერლის სენიც – ეპილეფსიაც, რომელსაც კონკრეტული ფსიქოლოგიური(!) მიზეზი გააჩნდა.

ფროიდი გამოთქამს ვარაუდს (რასაც, რა ოქმა უნდა, თავისი არგუმენტაცია გააჩნია), რომ დოსტოევსკის ავადმყოფობა ორგანულ დარღვევას, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას, არ უკავშირდებოდა და მას „ფსევდო-ეპილეფსიის“ ან ისტერიის სახით მოიხსენიებს. ისტერია, როგორც ფსიქიკური დავადება, ფსიქოლოგიური ბუნების დარღვევებთან (ფსიქოლოგიურ პრობლემებთან) კავშირდება.

ისტერიის მიზეზად ფროიდი მწერლის მამასთან დრამატულ ურთიერთობას მიიჩნევს; მისი სიკვდილის აკვიატებულ სურვილსა და იმ დანაშაულის გრძნობას, რომელიც მამის მკვლელობის შედეგად აღმოკენდა. ანონიმმა მკვლელმა აასრულა მწერლის ფარული ზრახვა და ამით ისიც მკვლელად, დამნაშავედ, ბოროტმოქმედად აქცია. სწორედ ეს გარემოება იქცა დოსტოევსკის შემოქმედების ლაიტმოტივად და მის ბედისწერადაც!

„მებ კარამაზოვებში“ ავტორი მკაფიოდ გამოხატავს საკუთარ პოზიციას: დამნაშავეა არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი, არამედ დანაშაულის მსურველიც. (ცოდვა ქმედებითა თუ ფიქრით, მაინც ცოდვაა). რომენში მამას ერთი მმ, უკანონოდ შობილი სმერდიაკოვი კლავს, მაგრამ უდანაშაულო არავინა!

დოსტოევსკისთვის დამახასიათებელი თვითგვემა (რომლის გამოვლენის ერთერთ სახესაც წარმოადგენდა ფსევდო-ეპილეფსია ან ისტერია) უკავშირდება მწერლის ფიქსირებასაც დანაშაულის თემაზე. ავტორი დანაშაულის თემას ერთგვარი დაუნიებით უბრუნდება და ამით საკუთარი ფსიქოლოგიური პრობლემის საიდუმლოსაც გაამხელს. უფრო მეტიც, შემოქმედება არა მხოლოდ „შინაგანი“ თუ „ფარული“ დანაშაულის ასახვად, არამედ მისგან განწმენდისა და კათარზისის პირობადაც იქცევა! დამნაშავე თავადვე სვების საკუთარ თავს – მწერალისთვის თხზულება სასჯელად იქცევა! სახეზეა საკუთარი პიროვნების მხატვრულ ქმნილებაში არა მხოლოდ პროეცირება, არამედ ასევე კათარზისიც; ცოდვათაგან განწმენდა მათივე აღიარებით!

დოსტოევსკისთვის დამნაშავე (ბოროტმოქმედი) იმავდროულად „წმინდანია“, რადგანაც სხვათა ფარულ სურვილებს, ზრახვებს

ასრულებს და ახორციელებს, სხვათა ცოდვებს ტვირთულობს და ამით ცოდვათაგან გვათავისუფლებს. დამნაშავისადმი ასეთი აღმატებითი დამოკიდებულება „მები კარამაზოვების“ პირველივე გვერდებიდან იგრძნობა; წმინდა ზოსიმა მუხლებზე ვარდება მამისმკვლელ დიმიტრის წინაშე!

## თავი IV

### ოფო რანქისა და ჰერბერტ მარჯუხეს ხელოვნების ფსიქოლოგია

ფროიდის ხელოვნების თეორიამ თავისი გაგრძელება და განვითარება ოტო რანქისა და ჰერბერტ მარჯუხეს შეხედულებებში ჰქონდა. ავტორებმა ფროიდის იდეების ფორმულირება ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების არა მხოლოდ განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით შეძლეს, არამედ ასევე თეორიას მეტი სიმკვეთრე, სიმათურე შესძინეს და მისი „დასრულებული“, ფსიქოანალიზური ღოგიერ დახვეწილი ვარიანტი წარმოადგინეს. ვარიანტი, რომელშიც ცხადად გამოჩნდა „დიდი მასწავლებლის“ შეხედულებათა როგორც პოზიტიური, ასევე ნაკლოვანი მხარეებიც.

ოტო რანქს ფროიდის ყველაზე „ერთგულ“ მოწაფედ და მიმდევრად მიიჩნევენ, რომლის შეხედულებებში მთელი სისავსით წარმოჩნდა ფროიდის თეორიის ბიოლოგისტური ბუნება. ასე მაგალითად, შემოქმედების პროცესს რანქი ბიოლოგიურ პროცესებთან და კერძოდ, სქესობრივ აქტსა და ორგაზმთან აკავშირებს; კათარ ზი ი ი ბიოლოგიური მოთხოვნილების ან ჭარბი ფსიქო-ფიზიოლოგიური ენერგიისგან განთავისუფლება-განმუხტვის სახით განიხილება. შესაბამისად, ხელოვნების ფენომენში, უპირველეს ყოვლისა, სიამოვნებისა და რეალობის პრინციპთა შემრიგებელი, გამაერთიანებელი ძალა და მოთხოვნილებათა წარმოსახვით დაქმაყოფილების იარაღი იგულისხმება(45).

ო. რანქი და ჸ. ზახსი მიიჩნევენ, რომ სიმბოლოთა წარმოქმნა რეგრესული ფენომენია და ღოგიერური აზროვნების ხატოვან დონემდე დაყანას ან რედუცირებას გულისხმობს. იგი თავს იმ განსაკუთრებულ პირებებში იჩენს, რედესაც რეალური მოვლენებისადმი ცნობიერი, შეგნებული ადაპტირება და შეგუება შეუძლებელი ხდება.

რანქის გაგებით, სიმბოლო არაცნობიერის გამოხატვის საშუალებაა; მის არსეს ორაზროვნება და, უფრო სწორედ, მრავალზროვნება (პოლისემნტიკა) შეადგენს. სიმბოლო აზროვნების პრიმიტიულ, ევოლუციურად ადრეულ ფორმებსა და, შესაბამისად, არაცნობიერს უკავშირდება. თუმცა მას ასევე ცნობიერი ელემენტიც ახასიათებს.

სიმბოლოთა წარმოქმნა ზოგადსაკაცობრიო კანონებს ეფუძნება. ამიტომაც სიმბოლოს უნივერსალური (და არა კონტრეტულ პიროვნული) მნიშვნელობა გამოარჩევს. იგი იმ არაცნობიერის ჩანაცვლებაა, რომელიც პიროვნულსა და ისტორიულ პირობათვან დამტკიცებული მუდმივსა და სტაბილურ მნიშვნელობას იძენს. სიმბოლიზაცია დათრგუნული და ამიტომაც ფარულად და არაცნობიერად არსებული მოთხოვნილების გამოვლენას, ცნობიერების ზედაპირზე მის ამოტანასა და გაცნობიერებას ემსახურება.

ო. რანქი და ჸ. ზახსი აღნიშნავენ, რომ მხატვრული ნაწარმოებით (ტრადედით!) ტებობის კულმინაციისას ადამიანი დაძაბვისგან თითქმის იღრჩობა, შიშისაგან თმა ყალყუზე უდგება და თანაგანცდისგან უნდა და სიდის ცრემლები. ეს განცდებია, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გავურბივართ და რომლებსაც უცნაური წესით ვეძიებთ ხელოვნებაში. სახეზეა აფექტის (ძლიერი, მწვავე ემოციის) ესთეტიკური გარდაქმნა მტანჯველიდან ნეტარების მომნიჭებულ განცდად. განცდის ეს მეტამორფოზა ხელოვნების თეორიისთვის ტრადიციულ პრობლემას წარმოადგენს. რანქისა და ზახსის შეხედულებით, აღნიშნული პარადოქსისა თუ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკურის ანალიზის გზითაა შესაძლებელი.

ავტორები კათარზისის ფენომენს ურთიერთსაპირისპიროდ შეფერილი (სასიამოებო და უსიამოებო) ან ამბივალენტური (ორპილუსიანი) ემოციების ერთიდროულ აღგრას უკავშირებენ; კერძოდ, კათარზისი ერთმანეთისადმი პოლარული ცნობიერი და არაცნობიერი ემოციების შეპირისპირებასა თუ გამთლიანებას უკავშირდება; ცნობიერ შიშს, დარღვა და სირცხვილს თან ერთვის არაცნობიერი სიამოვნებისა და კამაყოფილების განცდები. შესაბამისად, ადამიანი ერთგვარ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში ვარდება. აღნიშნული წინააღმდეგობა ფსიქიკური ცენზორის მოქმედებას უკავშირდება; ადამიანის შინაგანი ცენზორი არაცნობიერი (და ცნობიერებისათვის მუდგრელი) განცდების (სურვილების, კრძობების) ინვერსიონებას ან „შეტრიალებას“ ახდენს; არაცნობიერი განცდა მისი საპირისპირო ცნობიერი განცდით (სიამოვნება – ზიზღი, ნეტარება – ტანჯვით და ა. შ.) იცვლება. და ეს ზდება იმისათვის, რათა ცნობიერებამ არ უკავაგდოს, არამედ „მიიღოს“ აკრძალული, მაგრამ სახეშეცვლილი არაცნობიერი განცდა. ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური „მასკარადის“ შედეგია, რომელსაც ცენზორი

ცნობილისა და არაცნობიერის „შერიგების“ ანდა შიდა ფსიქიკური კომპრომისის მისაღწევად მიმართავს(40).

კათარზისი ერთმანეთისადმი პოლარული (საპირისპიროდ, უარყოფითად და დადებითად დამუხტული) ცნობიერი და არაცნობიერი განცდების აღმოცენებასა და „ურთიერთშეტაკებას“ უკავშირდება. მხოლოდ ის მხატვრული ნაწარმობი ახდენს აღმქმელზე ძლიერ (და, ალბათ, რეალურ) ზემოქმედებას, რომელიც სწორედ ამგვარი, პოლარული განცდების აღმოცენებას უწყობს ხელს. პოლარულ განცდათა აღმგრით ხელოვნება ცნობიერისა და არაცნობიერის „შერიგების“, მათი ურთიერთდაბალანსების არენად იქცევა.

ლ. ვიგოტსკის კათარზისის თეორიაში ასევე გადამწყვეტი როლი ურთიერთსაპირისაპირო განცდების აღმგრას ენიჭება. მხატვრული ნაწარმობით აღმრული პოლარული (სამოვნება – უსიამოვნების) განცდები ერთმანეთს ერთბაშად განმუხტავენ, რაც ხელოვნებისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური „ნეტარი ტანჯვის“ შეგრძებას იწვევს(70).

ო. რანკი ყურადღებას კათარზისის ბიოლოგიურ ასპექტზე ამახვილებს; კათარზისი ფიზიოლოგიური ტკივილნარევი ტკბობის (სექსუალური ექსტაზის) ანალოგია და სწორედ ამიტომაცაა ასეთი ძლიერი ზემოქმედების ქონენ!

ო. რანკი და პ. ზახსი ცდილობენ წარმოადგინონ ემპათიის ფენომენის გაგებაც; ემპათიისა, რომელიც ზემოქმედისა და მისი აღმქმელის (კრეატორისა და რეციპიენტის) ემოციონალურ დაკავშირებას გულისხმობს; ემპათიის ძალით ხელოვნების ნაწარმოებში ასახული განცდები აღმქმელის ემოციებად იქცევა; აღმქმელი არ რჩება გულგრძლი და თანაგანცდის გზით საკუთარ ფსიქიკაში ჩართავს მის წინაშე გათამაშებულ განცდებს. ემპათიის საფუძლად ავტორები კრეატორისა და რეციპიენტის ფსიქიკურ მსგავსებას აღიარებენ; ხელოვნაბაში ასახული ვნებები ზოგადსაკაცობრიოა, უნივერსალური და მათი ასახვა შესაბამის რეაგირებას ამიტომაც იწვევს. უფრო მეტიც, აღმქმელი-რეციპიენტი არა მხოლოდ პოულობს საკუთარ განცდებს მხატვრულ ნაწარმოებში, არამედ მათგან განმუხტვასაც ახდენს; მათი ენერგიისგან თავისუფლდება და კათარზისს განიცდის.

ხელოვნების ღერძულ თემატიკას, ნებისმიერი ადამიანისთვის

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სურვილები და ლტოლვები შეადგენენ, რომელთა შორისაც ძირითადს (ფრონტის „ძირითადი ინსტინქტის“ ანარეკლს) რანკი „მარადიული“ კითხვის სახით წარმოადგენს: „ერგება პნის თუ არა თავისი გრეტა?“ ხელოვნების ფუნდამენტს წმინდა ეროტიული, „სასიყვარულო“ შინაარსის პრობლემა ქმნის; ხელოვნება აღნიშნული პრობლემის დაუსრულებელ ასახვასა და ვარიაციას წარმოადგენს.

საინტერესოა ავტორთა შეხედულებები მხატვრული ნაწარმოების ფორმასთან დაკავშირებითაც. ხელოვანის ტაბუირებული, აკრალული მოთხოვნილებები შიდა-ფსიქიკური ცენტორის მიერ სიმბოლოთა გამოყენებით ინილბება. ამიტომაც ხელოვნება სიმბოლოთა ენაა. სიმბოლო ტაბუირებულ მოთხოვნილებას ცნობიერებისთვის მისაღებ ფორმას ანიჭებს და წმინდა გრძნობიერი სიამოვნების (ან შეფარვითი, სიმბოლოებითან დაკავშირებული ნეტარების) წყაროდ იქცევა.

ესთეტიკურ ემოციაში ავტორები გამორჩეულ მნიშვნელობას ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი ს განცდას ანიჭებენ და მიზნებენ, რომ მხატვრულ ნაწარმოებს არა ერთი, არამედ რამდენიმე სახის სიამოვნება უკავშირდება. უპირველესად, აღიძერის წინმსწრები, მხატვრულ ფორმასთან დაკავშირებული სიამოვნება. რანკი სიამოვნების ამ ტიპს „სატექუარას“ უწოდებს, რომლის ძალითაც აღმქმელი ესთეტიკურ ზემოქმედებათა ერთიან ჯაჭვში ჩაერთვის.

წინმსწრებ სიამოვნებას ცვლის კათარზისთან დაკავშირებული „ნამდვილი“ სიამოვნება, რომელიც ინტენსივობის მიხედვით თანდათან მზარდი აფექტის (ესთეტიკური ემოციის) განმუხტვას გულისხმობს. ამ ფენომენს – ხელოვნების ნაწარმოების აღქმისას აფექტის (ესთეტიკური ემოციის) არა ერთბაშად განმუხტვას, არამედ მის თანდათანობით ზრდასა და ფინალურ განმუხტვას – რანკმა და ზახსმა აფექტის ეკონომია უწოდეს და კათარზისის რაობა დაუკავშირეს. ხელოვნების ნაწარმოების სტრუქტურა (მაგალითად, რომანის სიუჟეტის თანამდებობით გაშლა და განვითარება) სწორედ აფექტის ეკონომიას, მისი ინტენსივობის მატებასა და საბოლოო, კულმინაციურ განმუხტვას ითვალისწინებს.

აზრის ეკონომიის ძალით, მხატვრული ნაწარმოების აღქმა, რეალობის რომელიმე ობიექტის აღქმასთან შედარებით, ნაკლებ ენერგიასა და დაძაბვას საჭიროებს. ენერგიის ეკონომიის რეზულტატი კი სიამოვნება იქცევა. ხელოვნება მისთვის საინტერესო

საგნებსა და მოვლენებს მათი აქცენტირების მიზნით გარე სინამდვილისგან აბსტრაქტირებითა და განყენებით წარმოაჩნის.

მაგალითად, განვიხილოთ ნატიურმორტი ლანგრითა და ვაშლებით. ეს ერთგვარი მინი-სამყაროა, რომელშიც შხოლოდ და მხოლოდ ლანგარია ვაშლებით. ყურადღება იმდენადაა ფოკუსირებული ვაშლებიან ლანგარზე, რომ სხვა ყოველივე ყურადღების მიღმა რჩება. მთელი სამყაროს მნიშვნელოვნება ვაშლებიან ლანგარშია მიქცეული. ხელოვნების არს სწორედ ეს ფოკუსირება, ყურადღებისა და მთელი ფსიქიკური რესურსების ერთი გარკვეული მიმართულებით წარმართვა შეადგენს მაშინ, როდესაც რეალური სამყაროსთვის მრავალფროვნება და ქაოტური სიჭრელეა დამახასიათებელი.

ო. რანქი და პ. ზახსი იხილავენ რიტმს, როგორც არსებით ესთეტიკურ ხერხსა თუ მეთოდს და მას ხელოვნებისთვის დამახასიათებელ უნივერსალურ, ზოგად თავისებურებად მიიჩნევენ. ავტორები აღნიშნავენ, რომ ტრადიციულად რიტმი შრომის შესამსუბუქებლად და სიამოვნების მისაღებად გამოიყენებოდა. რიტმული მოქმედებით (რიტმული მოძრაობებით, რომელთაც თან ახლდა შეძახილები და მუსიკა) იოლდებოდა მძიმე სამუშაოს შესრულება; შრომა ცეკვისა და სიმღერის თავისებურებებს იძენდა. ამავე დროს იოლდებოდა მშრომელთა ჯუუფის მოქმედების სინქრონიზაციაც. ავტორები მიიჩნევენ, რომ რიტმულ მოქმედებათა შედარებითი სიადვილე და მასთან დაკავშირებული სიამოვნება, თავისი ბუნებით, ს ე ქ ს უ ა ლ უ რ ი ა და სქესობრივი აქტის რიტმიკას უკავშირდება.

სახითი ხელოვნების ბაზისად ავტორები ჭვრეტის ინსტინქტსა (სექსუალური ობიექტის თვალიერების ინსტინქტს) და თვალიერებასთან დაკავშირებულ სიამოვნებას წარმოადგენნ. აღნიშნული მოსახურების არგუმენტად სახელდება ის ფაქტი, რომ ხელოვნების ინტერესის მთავარ ობიექტს ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანის შიშველი სხეული. თუმცა თვით პეზაჟის ხელოვნებაც არაა თავისუფალი ეროტიკისგან; ბუნების „ნეიტრალური“ სურათის ასახვა არაცნობიერ ძალთა ტრანსფორმაციას, ცნობიერი ფსიქიკისთვის მისაღები ფორმით მათ გარდაქმნას უკავშირდება. ამ მეტამორფოზას ადამიანის შიდა-ფსიქიკური თავდაცვითი მექანიზმი – ე. წ. ცენზური, ახორციელებს.

რანქი და ზახსი შემოქმედის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შორის აღნიშნავენ ფსიქიკურ დისტალანსასა (სულიერი ჰარმონიის რღვევასა) და ფსიქოლოგიურ პრობლემათა განსაკუთრებულ სიმწვავეს. ლომბროზოს მსგავსად ავტორები მიიჩნევენ, რომ შემოქმედს ბევრი აქვს საერთო ნევროზით დაავადებულ ადამიანთან. მათი საერთო ნიშნებია: სოციალური ადაპტაციის სირთულეები, არაპრაქტიკულობა, ინფანტილობა, ხასიათის ცვალებადობა, ემოციური მაქსიმალიზმი. აღნიშნულ თავისებურებათა მიზეზად ავტორები არაცნობიერ ძალთა ზემოქმედების სიძლიერეს მიიჩნევენ. სახეზეა არაცნობიერის „ჯანყი“ და, შესაბამისად, ფსიქიკის მაღალი აგზებადობა და მგრძნობელობა.

ავტორები მიუთითებენ, რომ ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკა მთელი კაცობრიობის წარსულს იტევს და ინახავს. არაცნობიერი ფსიქიკით ადამიანი მთელს ზოგად ადამიანურ გამოცდილებას უკავშირდება. შესაბამისად, რაც უფრო იზრდება არაცნობიერის როლი, მით უფრო იზრდება ადამიანის მხატვრული გარდასახვის (არტისტული მეტამორფოზის) უნარიც; რაც უფრო „ლიაა“ ადამიანი არაცნობიერის მიმართ, მით უფრო მძლავრ სტიმულს იღებს მისი ფანტაზია და შემოქმედებითი ძალები(41).

ხელოვანი არაცნობიერისადმი განსაკუთრებული „ლიაობით“ ხასიათდება. „შექსპირი მთელი სისახსით წევდებოდა ბრძენისა და სულელის, წმინდანისა და დამნაშავის სულს. მაგრამ იგი არა მხოლოდ არაცნობიერად მოიცავდა ამ ყოველივეს, არამედ, ამასთან ერთად, ფლობდა კიდევ ერთ გამორჩეულ უნარსაც, როგორსაც საკუთარი არაცნობიერის „ხედვისა“ და მისგან დამოუკიდებელი ხატ-წარმოდგენების აგების უნარი წარმოადგენს. მხატვრული ხატი – პოეტის არაცნობიერია, რომელიც პოეტმ მისგან განთავისუფლების მიზნით გარეთ გამოიტანა ან მოახდინა პროეცირება.“ (თარგმანი ჩემია – რ. მ.) (45. გვ. 131).

ავტორთა გაგებით, ნებისმიერი ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკა საერთო, ზოგად საკაცობრიო გამოცდილებასაც მოიცავს. ხელოვანს ამ საკაცობრიო გამოცდილების წვდომისა და მხატვრულ სახეებად გარდაქმნის განსაკუთერული ნიჭი გამოარჩევს. (როგორც ნაშრომის შემდგომი თავებიდან გახდება ნათელი, აღნიშნული შეხედულება კ-იუნგის ხელოვნების ფსიქოლოგიის ფუნდამენტს შეადგენს).

ო. რანქს ეკუთვნის ნაშრომი, რომელშიც გმირის ფენომენი

ოთიდი პოს-კომპლექსთან კავშირდება. რანკი მიიჩნევს, რომ გმირის არს ს მამასთან (ბიოლოგიურ მამასთან, ავტორიტეტთან, უფროს თაობასთან) შეპირისპირება და შებრძოლება შეადგენს. მამის (როგორც მოძველებული ავტორიტეტს) ადგილის მოპოვება, ძველის შეცვლა, სტერულტი პებისა და სტანდარტების მსხვრევა, ახლის დამკვიდრება და ნოვაცია – ასეთია ჰეროიკული შემართვების რაობა! საგუთარი შეხედულებების საარგუმენტოდ რანკს უხვად მოყავს მაგალითები მითოლოგიდან. იგი იხილავს ოთიდი პოსის, პარისის, პერსესის, რომელის, ჰერაკლეს, ზარატუსტრას, ზიგფრიდის, ლორნგრინის და ა. შ. მაგალითებს. გმირები უპირისპირდებინ მამათა ავტორიტეტს, რათა საკუთარი, ასალი სამყარო აგონ მოძველებულისა და მოყირჭებულის ფუნდამენტზე!

ჰ. მარკუზები ფრითიდის ფსიქოლოგიური თეორია ფილოსოფიურ განზოგადებამდე აიყვნა; ფსიქოანალიზი ფილოსოფიურ თეორიად ჩამოყალიბდა (46,76,77,78,79,80,82,88).

მარკუზეს ამოსავალია შეხედულება, რომ ცივილიზაციასა და კულტურას საფუძვლად ინსტრუქტორი მოთოვება და ლიბიდოს შეწირვა ედება; ცივილური, კულტურული ადამიანი მასში არსებული ბიოლოგიური ძალების (სექსუალობისა და აგრესიის) მოთოვებასა და დათრგუნვას მიმართავს. ასეთ მსხვერპლს ადამიანისგან მისი სოციო-კულტურული გარემო მოითხოვს. ამ მხრივ სრულიად გამორჩეულია ხელოვნების ფენომენის როლი და დანიშნულება; ხელოვნება სიამოვნების, გრძნობიერების, სხეულებრივი შეგრძნებებისა და თავისუფლების სამყაროა!

ხელოვნებას „ეროსისა და ცივილიზაციის“ ავტორი რეალობისა და სიამოვნების პრინციპთა (ან რეალურად შეურიგებელ ძალთა, ვინაიდან რეალობა გამორიცხავს სიამოვნებასა და თავისუფლებას) შერიგებისა და მათი გამოთლიანების ასპარეზზა მიიჩნევს. ესთეტიკა ინსტინქტებსა და იმპულსებთან პირდაპირ კავშირში განიხილება, ხოლო ესთეტიკურ ფუნქციას იმპულსურ-ინსტინქტური ბუნება მიეწერება. ფრონდის ტერმინოლოგით, ხელოვნება და მსატვრული შემოქმედება სექსუალური და აგრესიული ინსტინქტების სუბლიმირების ასპარეზია. (იხ. II თავი).

მარკუზე აღნიშნავს, რომ ტრადიციული უტოპიური იდეალი – გრძნობებისა და გონების შერიგება („გული გონიერი“) მხოლოდ თამაშის ფენომენით მიიღწევა. თამაშისა, რომელიც ხელოვნებისა

და მსატვრული შემოქმედების საფუძველში ძეგს. ადამიანისთვის დამახსასიათებელი, ერთმანეთისადმი პოლარული სწრაფვები (სწრაფვა გრძნობებისკენ და სწრაფვა აზროვნებისკენ) მესამე ფუნდამენტური სწრაფვით, თამაში ს კენ ს წ რ ა ფ ვ ი თ მოლიანდება. თამაშის იმპულსი თავისუფლების მომტკინა; მისი მიზანი თავისუფლებაა და მშვენიერება! თამაშის გზით ადამიანი სცილდება ბიოლოგიური საჭიროების ფარგლებს და თავისუფლდება იმ იძულებისგან, რომელ შიც ავტორი ადამიანის საკუთარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მხრიდან (ფრონდის ტერმინებით, ეროსისა და თანატონისებან მომდინარე) იძულებას გულისხმობს.

იძულება რეალური სამყაროს არსებითი თავისუფლებაა და ამიტომაც თავისუფლება სწორედ რეალობისგან თავისუფლებას გულისხმობს. „მხოლოდ მოთამაშე ადამიანია თავისუფლალი!“ – წერს მარკუზე. ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა თ ა მ ა შ ი ს ფ ო რ მ ა ა, რომელიც შებოჭილ ვნებებსა თუ გრძნობებს ათავისუფლებს და ამით სიამოვნებისა და რეალობის პრინციპთა შორის ანტაგონიზმის ძლევას ახერხებს! ხელოვნების ნაწარმოები ამბივალენტურია; იგი პროტესტია და ამავე დროს – შერიგება. მისი ბიპოლარობა ან ორპოლუსიანობა სიამოვნებისა და რეალობის პრინციპთა (ანუ შეუთავსებელთა და გამორიცხავთა) გამოლიანებას უკავშირდება. მარკუზეს ეკუთვნის „დ ი დ ი უ ა რ ი ს“ იდეა, რომელთან მიმართებაშიც განიხილება ფანტაზიისა და მსატვრული შემოქმედების ფენომენები. ხელოვნება და შემოქმედება დათრგუნვის (ბიოლოგიურ ძალთა და სტიმულთა დათრგუნვის) მიმართ პროტესტია და ბრძოლაა საბოლოო თავისუფლებისთვის!

მარკუზე ერთმანეთს უპირისპირებს პრომეთესა და ნარცისს (ორფეოსს). პრომეთე – მძიმე შრომის გმირია; იმ პროგრესის სიმბოლო, რომელიც წარმოებისა და დათრგუნვის გზით მიიღწევა. (მითის თანაბმად, პრომეთემ ადამიანებს მრავალნაირი ხელობა ასწავლა და ცეცხლით, პროგრესის ამ ჭეშმარიტი სიმბოლოთ, დაასაჩუქრა).

ნარცისი და ორფეოსი ესთეტიკურ ჭვრეტასთან კავშირდებიან. მითოლოგის ეს ორი პერსონაჟი ღროისგან თავისუფლებასა და აბსოლუტთან – მშვენიერებასთან, როგორც უზენაეს კატეგორიასთან, შერწყმას გულისხმობს. (მითში ნარცისი საკუთარი შევენიერებით ტკბება, ხოლო ორფეოსი მუსიკით ხიბლავს არა მხოლოდ ადამიანებს,

არამედ ცხოველებსაც კი!). ნარცისი და ორფეოსი პრაქტიკული, პრაგმატული ქმედებისგან განრიდებითა და მისი უარყოფით „პასიურად“ ჭვრეტენ მშვენიერებას და ბუნებასა და სამყაროსთან პარმონიულ მთლიანობაში არსებობენ. მარკუზეს გაგებით, ეს შემოქმედთა მითოსური სახეებია, რომლებშიც შერიგებულია ეროსი და თანატოსი (სიყვარული და სიკვდილი), დამყარებულია „ნირვანის პრინციპი“, ანუ სიმშვიდის, წონასწორობის, პარმონის („ნეტარი გარინდების“) მდგომარეობა. მარკუზესთვის ნარცისიზმი, ფრონიდისგან განსხვავებით, არა საკუთარ თავზე ფიქსირებისა და ეგოცენტრულობის ნევროტული სიმბომია, არამედ სამყაროსთან ერთიანობისა და გამთლიანების (ე. წ. „ოკანური გრძნობის“) საფუძველი.

ორფიკო-ნარცისული სახეები კავშირში არიან „დიდ უართან“, გამოსატავენ რა სექსუალური სფეროს დათრგუნვისა და ნებისმიერი წესრიგის, წესების მიმართ პროტესტს. მათი მიზანი ახალი რეალობის დამკიდრებაა. ორფიკული ეროსი სპობს სიხისტეს; მისი ენა სიმბოლურია, ხოლო შრომა – თამაში. ნარცისის ცხოვრების არსი კი მშენიერების ჭვრეტაა. შესაბამისად, ამ მითოსურ სახეთა რეალობა – ესთეტიკური რეალობაა. ის რეალობა, რომელშიც იძლევა იძულება და ადამიანს მორალური თუ ფიზიკური თავისუფლება ენიჭება. შემოქმედებითი წარმოსახვის „თავისუფალი თამაში“ ესთეტიკურ ფორმათა აგება-დაშლას გულისხმობს, გრძნობათა სანქციონირებას ახდენს და რეალობის პრინციპისგან განთავისუფლებას შესაძლებელს ხდის. მარკუზე შილერის სახელგანთქმულ ფრაზას მიმართავს: „თამაშის იმპულსი – თავისუფლების მომნიჭებელი!“ ამ სიტყვებში იგულისხმება როგორც გარეგანი იძულებისა და კანონებისგან, ასევე შინაგანი იძულების, ანუ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათაგან, თავისუფლებაც!

მარკუზეს შეხედულებას ეხმიანება გ. ბალის მოსაზრება, რომ თავისუფლება, უპირველესად, ინსტინქტებისგან განთავისუფლებაში მდგომარეობს და რომ საკუთარი ინტი ინტი ქ ტ ე ბ ი თ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ა ნ ი პ უ ლ ი რ ე ბ ა მხოლოდ თამაშის ფენომენით მიიღწევა. ინსტინქტებით მანიპულირებას კი საბოლოოდ ჯულტურამდე მივყავართ.

უნდა ითქვას მარკუზესული უტოპიის შესახებაც; ეს არარეპრესირებადი ცივილიზაციაა, რომელშიც თავისუფლებასა და

წესრიგს (ადამიანის ბიოლოგიურ და სოციო-კულტურულ მსარეებს) შორის პარმონიაა მიღწეული. მაგრამ ეს მხოლოდ უტოპიაა ან მიუღწეველი იდეალი და დაპირისპირებულ მაღთა პარმონიზაციას რეალურად მხოლოდ ხელოვნება და ხელოვნებისეული თამაში ახდენს!

## თავი V

## პარლ გუსტავი იუნგის ხელოვნების თეორია

კარლ გუსტავი იუნგი ფრთხილის მსგავსიად, ქარიზმატული პიროვნებაა ფსიქოლოგის ისტორიაში. მასზე იწერება წიგნები, იძეჭდება შარავანდელით ან მზის დისკორი დამშვენებული პორტრეტები, მსჯელობები მისი ბიოგრაფიის მიუკვლეველსა და „იდუმალ“ ასპექტებზე. დღიძე დაობენ, თუ მაინც ვინ იყო იგი, დიდი თეორეტიკოსი და თერაპევტი, თუ მაგი-შამანისა და პოეტის უცნაური ნაზავი(56, 57).

იუნგის თეორიის ძირითად მისი ავტორის მისტიკით გატაცებას თვლიან; მიზნევნ, რომ იუნგმა გაარღვია მეცნიერებისა და პარაქტიკული მედიცინის საზღვრები და იმ სფეროში გადაინაცვლა, სადაც კანონსა და წესებს მისტიკა და პოეზია ცვლის. ასეა თუ ისე, იუნგის ხელოვნების თეორია ფრთხილის თეორიის შემდგომ ყველაზე გავრცელებულ თეორიად ჩება. ასევე, იუნგის მნიშვნელოვანი გავლენა ცხადად იგრძნობა თანამედროვე ფსიქოთერაპიასა და განსაკუთრებით არტ-თერაპიაზე (72,73,74,75,76,77,78,79,80,81). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თანამედროვე ხელოვნების თეორიასა და კულტუროლოგიაზე კ. იუნგის შეხედულებათა განსაკუთრებული ზეგავლენის შესახებ. საგულისხმოა, რომ იუნგი ესთეტიკას გამოიყენებით ფსიქოლოგიის დარგად მიიჩნევდა. როგორც არაერთი ავტორი აღიარებს, ხელოვნების ფსიქოლოგიაში რეალურად მხოლოდ ორი, ფრთხილისა და იუნგის, ერთმანეთის შემავსებელი თეორია არსებობს(47,48,51,88).

კ. იუნგის ზოგად-ფსიქოლოგიური თეორიის საფუძველია შეხედულება ორი ტიპის არაცნობიერის: პიროვნული და კოლექტიური არაცნობის შესახებ.

პიროვნული არაცნობიერი კონკრეტული პიროვნების კუთვნილებაა და, შესაბამისად, პიროვნულ ბიოგრაფიასთან, კომპლექსებსა თუ ფობიებთან, მოთხოვნილებებსა თუ შიდა-ფსიქიკური ცენტორის აქტივობასთან კავშირდება. ეს „ფრთხილის“ არაცნობიერა, რომელიც იყვნია და შესწავლა ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა.

კ. იუნგის თეორიის თანახმად, ადამიანის ფსიქიკა არ ამოიწურება

მხოლოდ პიროვნული არაცნობიერით და მასში ასევე კოლექტიური (ზეპიროვნული, საერთო საკაცობრიო, უნივერსალური) არაცნობიერი სფეროც არსებობს. იუნგის სიტყვებით: „ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერების უძრავი „დანართს“ ან „სანაგვე ჟუს“ როდი წარმოადგენს. მას ავტორიმიური ფსიქიკური სისტემა გააჩნია, რომელიც ცნობიერების ცალმხრივობისა და დარღვევების ფუნქციონალურ კომპენსირებას ახდენს. არაცნობიერი არ ამოიწურება ინსტინქტურ-რეფლექსური პროცესებით და საკუთარი სიმბოლოებით ცნობიერ პროცესთა წინმსწრებია.“ (თარგმანი ჩემია – რ. მ.)(47. გვ. 159)

კოლექტური არაცნობიერი თავისი წარმომავლობით არსობრივად განსხვავდება პიროვნული არაცნობიერისგან – იგი არ კავშირდება კონკრეტული ადამიანის ბიოგრაფიასთან და მთელ საკაცობრიო ფსიქიკურ გამოკლილებასთანაა მიმართებაში. მისი ჩამოყალიბების პროცესში მოელი კაცობრიობა მონაწილეობს და საერთო ფსიქიკურ ნამოღვაწარს თაობებს გადასცემს. შესაბამისად, ყოველი ცალკეული პიროვნება საკაცობრიოს არა მხოლოდ მატარებელ-მფლობელი, არამედ მისი შემოქმედიც ხდება. პიროვნება შემქვიდრეობით იღებს კოლექტურ არაცნობიერს და თავადაც იღებს მონაწილეობას მისი შემდგომი „შენების“ პროცესში. ფსიქიკის აღნიშნული ასპექტი მუდმივი ქმნადობის, კვლავ-წარმოქმნის მდგომარეობაშია და ამთ უზრუნველყოფს ადამიანთა შორის მენტალური, უწყვეტი კავშირის დამყარებასა და შენარჩუნებას(48,53).

არის შეხედულება, რომ კოლექტური არაცნობიერის ტერმინით კ. იუნგმა კულტურის ფენომენი აღნიშნა; კულტურისა, რომელსაც კაცობრიობა ქმნის და თაობებს გადასცემს; კულტურისა, რომელიც მუდმივად ცვლადი, დინამიურია და „ცოცხალი“. კოლექტური არაცნობიერის ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა, დასამეცნიერო, თუარ გათვალისწინებულ იქნა მისი უმთავრესი ნიშანი – რეალური ქმედითი ძალის სახით ჩართულობა ადამიანის მენტალურ სტრუქტურაში!

კოლექტურ არაცნობიერს თვითაქტივაციის უნარი გამოარჩევს. მას საკუთარი ენერგეტიკა, ადამიანზე ზემოქმედებისა და თვითგამოვლენის უნიკალური რესურსები გააჩნია. შესაბამისად, კოლექტურ არაცნობიერში შეიძლება ვიგულისხმოთ აქტიური, დინამიკური კულტურა, როგორც ფსიქიკაში არსებული და თვითგამოვლენისადმი (თვითაქტივაციისადმი) მიმართული საწყის.

კოლექტიურ არაცნობიერს ე. წ. „ნოოსფეროსონაც“ აკავშირებენ. აღნიშნული ტერმინით საკაცობრიო სულიერი გამოცდილების სავანე აღინიშნება, რომელიც, ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის მიხედვით, დედამიწის გარშემო არსებული, ერთ-ერთი სფეროს (ნოოსფერო ქართულად ითარგმნება, როგორც გონის სფერო) სახით არსებობს და თავს სპეციფიკური ნათების, ლუმენისცენციის სახით ავლენს. ნოოსფეროს – დედამიწის გარშემო არსებულ, ადამიანთა გონებრივ-ფიქციური მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებულ სფეროს – კაცობრიობის სულიერი აქტივობის პროდუქტად და საკაცობრიო მენტალურ საცავად მიიჩნევნ.

პ. ოწების თეორიაში კოლექტიური ასუცნობიერი ფსიქიკის სიღრმეში არსებული ფენაა, რომელიც განსხვავებული ეროვნებისა თუ განვითარების დონეზე მყოფი ადამიანებისათვის თანაბრადაა დამასასიათებელი. კოლექტიური არაცნობიერის უნივერსალობა, დროით და სივრცით მახსასიათებლების ცვალებადობის მიუხედვად, მის თვისობრივ უცვლელობასა და იგივეობას გულისხმობს. ფსიქიკის აღნიშნული სფერო არსობრივად არ იცვლება, არამედ მდიდრდება, ღრმავდება და ახალ მნიშვნელობებს იკრებს.

კოლექტიური არაცნობიერის არსობრივი უცვლელობის (ან უფრო სწორედ, უნივერსალობის) გამო ის ადამიანთა შორის კომუნიკაციისა და კავშირის პირობად იქცევა არსებული გენეტიკური, ეთნიკური თუ კულტურული სხვობების მოუწედვად. ასე მგალითად, თანამედროვე ადამიანს „ესმის“ ჰომეროსის ან კონფუცის ენა, წვდება ძველ ეგვიპტელთა არქეიტექტურასა და შუმერთა ეპონს. რა თქმა უნდა, გაგბა და წვდომა ყოველთვის ფარდობითია, მაგრამ თუკი აღმქმედი არ რჩება გულგრილი, თუკი შორეული წარსულიდან მიღებული კულტურული გზავნილი იწვევს ემოციებსა და აზრებს, თუკი ხდება კულტურული ინფორმაციის ინტერპრეტირება და გაახლება – მათინ კონტაქტი ეპოქებსა და ადამიანებს შორის შემდგარად უნდა ვიგულისხმოთ!

მარადიული კულტურული კავშირის საფუძვლად კ. იუნგს კოლექტიური არაცნობიერი ესახება, რომელიც იმანენტურად, ცნობიერების ჩარევის გარეშე ახდენს მყისიერ გაგებას, „წვდომასა“ და ამით, ადამიანთა შორის კავშირის დამყარებას. შემდგომ ეტაპებზე ცნობიერი ფუნქციები (ძირითადში აზროვნება) ჩაერთვის, რის საფუძველზეც მიღებული ინფორმაციის ინტელექტუალური გადამუშავება ხდება.

კოლექტიური არაცნობიერის, როგორც ფსიქიკაში არსებული რეალური და ქმედითი ძალის, არგუმენტად იუნგი იმ მარადიულ წარმოდგნებს, თვალსაჩინოებებსა თუ ხატებს (სიმბოლოებს) შეგვასენებს, რომლებიც პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული ყოველ ეპოქაში იჩენენ თავს და დღემდე არ კარგავნ აქტუალობას. ასეთია მაგალითად, ჯ ვ ა რ ი, რომლის გამოსახულებებს კლდის ფერწერაშიც ვხვდებით, რომელიც ეპოქათა მანძილებზე ახალი შინაარსით, მნიშვნელობით იტვირთებოდა და სრულიად განსხვავებულ კულტურებსა და ცივილიზაციებში ვლინდებოდა. ნებისმიერი ქვეყნისა და ეპოქისთვის ჯვრის გამოსახულება თითქმის ერთნაირადაა დამასასათებელი. გაგისხენოთ თურდაც ძველ ეგვიპტური ჯვრები – ისიდას გასაღები და მარყეფი ასევე არქაულ ქართული ბორჯდალი („ბრუნვადი ჯვარი“). საინტერესოა, რომ კლდის ფერწერამ შემოგვინახა არა მხოლოდ გარკვეული და ცალსახა მნიშვნელობის მქონე გამოსახულებები, არამედ ბუნდოვანი, „აბსტრაქტული“ ნიშანი-სიმბოლოებიც, რომელთა შორისაც ჯვარს განსაკუთრებული ადგილი ენიჭება.

ასეთივე მარადიული, უნივერსალური სიმბოლოებია: წრე, სამკუთხედი, კვადრატი. თავისი სიმბოლიკა აქვს ფერებს, სტიქიებსა და კონკრეტულ სავნებსაც. თუმცა, ცხადია, არსებობს განსაკუთრებული ნიმუშები, რომლებსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა გამოარჩევს. მაგალითად, სტიქები: ცეცხლი და წყალი, როგორც მარადიული სიმბოლური ანტიპოდები, ყველა კულტურასა და ცივილიზაციაში თითქმის ერთგვაროვანი შინაარსით იტვირთება. რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოება სულაც არ გამორიცხავს მათ სიმბოლურ პოლისემანტიკას.

წყალი ისევე, როგორც ცეცხლი სიკვდილ-სიცოცხლის და, აქედან გამომდინარე, განახლებისა და აღორიძინების სიმბოლოა, რომლის სემანტიკური სიღრმე და გამორჩეული ინფორმატიულობა თითქმის ერთნაირადაა „გასაგები“ როგორც განვითარების დაბალ დონეზე მყოფი პრიმიტივისთვის, ასევე მაღალგანვითარებული ინტელექტუალისთვისაც. სიტყვა „გაგებაში“ იგულისხმება არა სააზროვნო ოპერაციებით შევნებული მნიშულირება, არამედ უშუალო, მყისიერი წვდომა, ინტუიცია ან ინსათო, დაკავშირებული არაცნობიერი ფსიქიკურის მოქმედებასთან. უშუალო წვდომის საფუძველს კოლექტიურ არაცნობიერში შენახული უნივერსალური სიმბოლოები

და არქეტიპები შეადგენენ, რომლებიც არა მხოლოდ იმთავითვე, ინტელექტუალური ოპერაციებისგან დამოუკიდებლად გასაგებს (უფრო ზუსტად, მისაღებს) ხდიან ხატოვან გამოსახულებებს, არამედ ასევე შემოქმედებით მუხტსა და სტიმულსაც იძლევიან.

კოლექტიური არაცნობიერის შინაარსს უნივერსალური სიმბოლოები და არქეტიპები შეადგენენ. სიტყვა „არქეტიპი“ ითარგმნება როგორც პირველხატი, ძველი ანაბეჭდი ან ძველი კვალი. არქეტიპი ფსიქიკაში არსებული ზეპიროვნული, ანუ კონკრეტულ პიროვნებაზე დაუყვანელი წარმონაქმნია, რომელიც უნივერსალურ სიმბოლოებთან ერთად კოლექტიური არაცნობიერის შინაარს შეადგენს. შესაბამისად, პიროვნება სიმბოლოებს კი არ „გამოიმუშავებს“ ან „ხელოვნურად ქმნის“, არამედ მათ საკუთარსავე ფსიქიკაში მოიძიებს და შემდგომ გარე საკუთარში მათ ობიექტივაციასა და გასაგნებას (გარეთ გატანას) ახდენს. პიროვნებას, რომელიც თავისი არსით შემოქმედია, სიმბოლოთა მნიშვნელობის გამდიდრების, მათში ახალი სიღრმეების წვდომის და უკვე არსებულ, მოძველებულ მნიშვნელობაზე ახლის ზედდების უნარი გამოარჩევს(51,53,54).

სიმბოლო და არქეტიპი ამოუწურავია, მათი წვდომა კი – უსასრულო. სიმბოლოსა და არქეტიპთან დაკავშირებული ენტრეტენა სწორედ მათი პოლისიემანტიკიდან მომდინარეობს. სიმბოლო უსასრულობის, დროისა და სივრცის მიღმა არსებულის ნიშანია. მარადიულობის ნიშნები იუნგმა ყოველი ადამიანის ფსიქიკაში მოიძია, ნიშნები, რომლებსაც ადამიანი პიროვნულის (კერძო და კონკრეტული ინდივიდის) ფარგლებიდან გაჰყავთ; პიროვნულში აქ კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფია, მისი მოთხოვნილებები და სურვილები, კომპლექსები და მოლოდინები იგულისხმება.

სიმბოლოს მრავალმნიშვნელოვნება (პოლისემნტიკა) მისი დაუსრულებელი ინტერპრეტაციების საჭალებას იძლევა. ყოველ აღმქმელს მასში საკუთარი ხედვის, რაკურსის დაფიქსირება ძალუშეს. სიმბოლოს გაგება და ხედვა ინტირპერსონალურ სხვაობებს უკავშირდება და, შესაბამისად, მისი ყოველი ცალკეული ინტირპეტაცია თავად აღმქმელის პიროვნულ თავისებურებებს უკავშირდება. პიროვნებას საკუთარი, პიროვნული ზედვა შეაქვს სიმბოლოს გაგებისა და ინტერპეტირების შემთხვევაში.

სიმბოლოს ინტერპეტაციული რესურსები ამოუწურავია.

აქტიური, დინამიური ბუნების გამო სიმბოლო კოლექტიური არაცნობიერის არა პასიური სათავსოსა თუ მარაგის შემადგენელია, არამედ ენერგეტიკით დამუხტული ხატი-წარმოდგენა, რომელიც მნიშვნელოვნება განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას.

როგორც ვხედავთ, ფრთიდისგან განსხვავებით, იუნგი ფარული, ტაბუადებული ბიოლოგიური ლტოლვების გვერდით არაცნობიერი სიმბოლოებისა და არქეტიპების არსებობასაც უშვებს და, შესაბამისად, არაცნობიერის შინაარსს აფართოებს და აღმრმავებს. შემოქმედების (საზოგადოდ, ადამიანის მოქმედების) იმპულსთა რიგში ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა გვერდით სიმბოლოები და არქეტიპები ჩაერთვის. ეს ემოციურად (აფექტურად) დამუხტული ხატი-ნიშნები მოული კაცობრიობის ფსიქიკური აქტივობის შედეგად დაგროვილ უსაზღვრო ინფორმაციას შეიცავენ.

ფრთიდის თეორიაში პიროვნული გამოცდილების პროცესში შექნილი კომპლექსი მხატვრული შემოქმედების მირითად სტიმულად და მის შინაარსად მიიჩნევა. კომპლექსი ემოციურ-აფექტურად დამუხტულ წარმოდგენათა სისტემა, მაგრამ ეს სისტემა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებასა და მის ფსიქიკას უკავშირდება. კომპლექსი მოცემული პიროვნების ფსიქო-ბიოგრაფიის შემადგენელია და ინფორმაციას სწორედ აღნიშნული პიროვნების შესახებ იძლევა. სრულიად განსხვავებული ბუნება აქვს სიმბოლოსა თუ არქეტიპს; ეს უკანასკნელი კოლექტიური (საერთო საკაცობრიო ფსიქიკის) ანარეკლებია და წარმომადგენელი.

ფრთიდის თეორიისგან განსხვავებით, იუნგის თეორიის ბაზისს შეადგენს არა კონფლიქტი ცნობიერსა და არაცნობიერს (როგორც ანტიგონისტურ ძალებს) შორის, არამედ მათი ურთიერთდაბალანსება და გაწონასწორება. ცნობიერი და არაცნობიერი ისევე აწონასწორებენ ერთმნებოს, როგორც ჩინური სიმბოლოები ინი და ინი. იუნგის მიხედვით, ფსიქიკური ჯანმრთელობა სწორედ ამ ორი, ანტიპოდური საწყისის (ცნობიერისა და არაცნობიერის, რომლებსაც პირობითად გონება და გრძნობა შეიძლება ეწოდოს) მშვიდობიან თანაარსებობასა და ბალანსს ეფუძნება.

ადამიანისა და მისი ფსიქიკის შესწავლის პროცესში იუნგი სოციო-კულტურული გარემოს და კერძოდ, ღირებულებათა, იდეათა და განწყობათა სისტემების გათვალისწინების საჭიროებაზე მიუთითებდა. იუნგი მიიჩნევდა, რომ ადამიანისა და მისი ფსიქიკის

რაობის გაგება მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი. აღნიშნული პოზიციით იუნგის თეორია კიდევ ერთხელ ემიჯნება ფროიდის შეხედულებებს (48, 50, 55).

იუნგის თეორიაში ხაზგამშულია სხვაობა სიმბოლოსა და არქეტიპს შორის. არქეტიპი პირველადი და შეუნიღბავი სახით მხოლოდ ცნობიერი კონტროლის შესუსტებისას „ეძლევა“ ადამიანს; ეს ხდება სიზარში და ასევე პალუცინაციებისა და მისტიკური ჭკვრების შემთხვევაში. ასეთ დროს არქეტიპი (როგორც არაცნობიერი პირველხატი) დიფუზური, ბელი, სამიში და უცხო ხატ-წარმოდგენის სახეს იძენს, რომლის აღმა ძლიერ განცდებთან (შიშის, თრთოლის და, ამავე დროს მოწიწებისა და რიდის განცდებთან) კავშირდება.

არქეტიპები მხოლოდ ამგვარი „ექსტრემალური“ სახით ან პირველადი შემზარაობით როდი ვლინდებიან. მითოლოგია და ხელოვნება ცნობიერებისთვის მისაღება პრინციპებისა და კანონების გათვალისწინებით ამ ბელი და საშიში ხატების დახვეწას ახდენს. არქეტიპი კარგავს პირვანდელ „უცხო“, ცნობიერებისათვის მოყლებელ სახეს; არქეტიპი სიმბოლოდ იქცევა! შესაბამისად, ყოველი სიმბოლოს მიღმა არქეტიპი იგულისხმება. სიმბოლო არქეტიპს ეფუძნება.

არქეტიპული ხატ-წარმოდგენების ცნობიერი დამუშავებისა თუ დახვეწის თავდაპირველ სახეს მითოლოგია წარმოადგენს. მითოლოგიაში ყველაზე ცხადად, საწყისი, პირველადი სახით ვლინდება კოლექტიური არაცნობიერი და მისი არქეტიპები. სწორედ ამოტომაც განუზომელია მითოლოგიის მიმართ კ. იუნგის „ანალიზური ფსიქოლოგიის“ ინტერესი.

შემდგომ ეტაპებზე მითოლოგიური თემებისა და სიმბოლოების დამუშავებას ხელოვნების დარგები მიმართავნ. არაცნობიერი არქეტიპი კიდევ უფრო მეტად მოღის შესაბამისობაში ცნობიერ ან შეგნებულ ფსიქიკურთან. ხელოვნება მითოლოგიას ეფუძნება; იმულს იგი სწორედ მითოლოგიი ასახული არქეტიპული ხატებითა და სიმბოლოებიდან იღებს.

ცნობიერების განვითარებასთან ერთად ადამიანსა და მისივე არაცნობიერს შორის არსებული უფსკრული თანდათან ღრმავდება. ადამიანი კარგავს საკუთარივე ასპექტისა თუ სფეროს წვდომისა და განცდის უნარს, რაც ფსიქოლოგიური დისბალანსისა და, შესაბამისად, მენტალური პრობლების მიზეზი ხდება. ადამიანის

გამზიგვნას საკუთარივე არაცნობიერისგან იუნგი ბუნებისგან გამიჯდნად მიიჩნევს; ბუნებასთან თავდაპირველი მთლიანობისა და ერთიანობის რღვევას ავტორი „პირველცოდვას“ უწოდებს. დაკარგული პარმონიის აღდგენას მაგა, მითები და რიტუალები ემსახურება და ასევე – მათი უშეალო იმპულსით შებილი შესატვრული შემოქმედება და ხელოვნება!

კოლექტიური არაცნობიერის სრული განთავისუფლება და ცნობიერების ზედაპირზე „ამოჭრა“ იწვევს არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ ფსიქოზებსაც, კერძოდ, სოციალურ ქარტეხილებსა და ომებს. იუნგის გაგებით, სოციო-პოლიტიკური მოვლენების მიზეზი ფსიქიკში და კერძოდ, არაცნობიერ ძალებშიც უნდა ვეძიოთ. რაც შეეხება პიროვნებას, მისი სულიერი ბალანსი სწორედ ცნობიერი და არაცნობიერი ძალების პარმონიზირებაში მდგომარეობს. თუკი ცნობიერება ინტელექტუალური ნებისყოფას ეფუძნება, არაცნობიერი, ერთი მხრივ, ბიოლოგიური და მეორე მხრივ, სიმბოლურ-არქეტიპული ძალების კრებულია. სწორედ ამ პოლუსთა თანხმობაში მოყვანა ქმნის ყოველი ცალკეული პიროვნების მოლიანობისა და ჯანმრთელობის საფუძველს.

კოლექტიური არაცნობიერის კვლევის კერძო მეთოდი სიზმრის ანალიზია. სიზმრის შინაარსი პიროვნული არაცნობიერითა და მოცმული პიროვნების ფსიქობიორაფიით არ ამოიწურება. სიზმრებში ასევე წარმოდგენილია მითოლოგიური სიუჟეტებიც, რომელთა ახსნა და გაგება მხოლოდ მოცემული პიროვნების გამოცდილების გათვალისწინებით შეუძლებელი ხდება. საჭიროა მოელი საკაცობრიო ისტორიისა და გამოცდილების განხილვა და მხედველობაში მიღება.

კოლექტიური არაცნობიერი არ ქაულ - მითოლოგიური ხასიათისაა; თითოეული არქეტიპი გარკვეულ მითოლოგიურ წარმოდგენასთან ან მითოლოგიურ პერსონაჟთან შეიძლება გავაიგივოთ. მაგალითად, ზესი, აფროდიტე, ამური, ათენა, დიონისე, არქესი თუ პერმესი არაცნობიერ არქეტიპთა ანარეკლებია და მათი შეცნობით, არაცნობიერი ფსიქიკის თავისებურებანიც შეიმუცნება.

იუნგი რამდენიმე სიმბოლოსა და არქეტიპს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერს. ეს ის ბაზისური კოლექტიური წარმოდგენებია, რომელთა დაუსრულებელ ვარირებასაც ეფუძნება კულტურა და ხელოვნება; მირითად არქეტიპთა შორის იუნგი გამოყოფს ანიმა-ანიმუსს, პერსონას, სელფსა და აჩრდილს.

პიროვნება, როგორც არქეტიპთა მატარებელი, შეიძლება რამდენიმე ქვეპიროვნების ერთიანობად განიხილოს. „ჩვენში ბრბოა!“ – ეს სახელგანთქმული ფრაზა მკაფიოდ გამოხატავს იუნგის დამოკდებულებას პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის მიმართ. პიროვნება ქვეპიროვნებათა ერთიანობაა, რადგანაც თითოეული არქეტიპი დასრულებულ „პიროვნებად“ შეიძლება იქნეს განხილული(53).

პერსონა – ასე უწოდა იუნგმა არქეტიპს, რომელიც პიროვნების ერთგვარი „გარეგანი“, საზოგადოებისთვის მისაღები და სოციალურად განსაზღვრული ასპექტია თუ მხარე ანდა ქვეპიროვნებაა, რომლის მიზანსაც სოციალური ადაპტაცია შეადგენს. საგულისხმოა, რომ ძველ საბერძნეთში ტერმინით „პერსონა“ მსახიობის ნიღბით აღინიშნებოდა, თუატრალური თამაშის ის ატრიბუტი, რომლითაც გარკვეული როლის შემსრულებელი მსახიობი აუდიტორიის წინაშე წარდგება.

იუნგი მიიჩნევს, რომ ყოველი პიროვნების სტრუქტურაში გამოიყოფა ერთი ასპექტი ან მხარე, რომლითაც პიროვნება შესაბამისობაში მოდის საზოგადოებასთან და რომელიც პიროვნების გარკვეულ სოციალურ როლს უკავშირდება. პერსონა-ნიღბი პიროვნების სოციალური ასპექტია, რომლითაც, რა თქმა უნდა, მთელი პიროვნება არ ამოიწურება. პიროვნება გაცილებით მეტია, ვიდრე როლი, რომელსაც იგი საზოგადოებაში ასრულებს. პერსონა-ნიღბით ადამიანი ხშირად ატყუებს არა მხოლოდ სოციუმს, არამედ საკუთარ თავსაც. პერსონასთან სრული გაიგივებით კი ადამიანი ივიწყებს საკუთარი პიროვნების დანარჩენ მხარეებს, რაც საბოლოო ჯამში, სერიოზული ფსიქიკური (და არა მხოლოდ ფსიქიკური) პრობლემების მიზანად იცევა.

ანიმა (ანიმუსი) – ძველი ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „სული“. ამ სახელებით აღნიშნა იუნგმა არქეტიპი, რომელიც პიროვნების გარეგან ასპექტს (მის პერსონას) ავსებს და აბალანსებს. ეს პიროვნების გარეგანი „მე“ – ს გამაწონასწორებელი შინაგანი „მე“ – ა. არაცნობიერი ანიმა-ანიმუსი ცნობიერი „მე“ – ს მიმართ საპირისპიროა და მისი პოლარული; ცნობიერისა და არაცნობიერის პოლარობა პიროვნების მთლიანობისა და პარმონიის პირობად იქცევა.

მამაკაცის „შინაგან“, არაცნობიერ ასპექტს ან არქეტიპს იუნგმა

ანიმა უწოდა, ხოლო ქალისას – ანიმუსი. მამაკაცის არაცნობიერი საწყისი ფემინურია, ხოლო ქალისა – მასკულინური. პიროვნება ფსიქოლოგიურად ორივე სქესისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს შეიცავს.

იუნგის ფსიქოლოგიურ სკოლაში შემოთავაზებულია ანიმა-ანიმუსების შესაძლო ვარიანტების ერთგვარი ნუსხა(54). ეს ფსიქიკაში „შენაზღული“ და „დაცული“ წარმოდგნებია, რომლებიც ბევრით განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას და მნიშვნელოვან ზეგავლენას ანდენენ მხატვრულ მემოქედებასა და ხელოვნებაზეც. არქეტიპთა ვარიაციების სახელდებას აითლებს მათი ასახვა და დამტმავება ხელოვნებასა და კულტურაში. ასე მაგალითად, ანიმს შესაძლო სახეებს შეიძლება ეწოდოს: „დიდი დედა“, „მზეუნახავა“, „კარმენი“, „როკაპი ქალი“ და სხვა.

„დიდი დედას“ არქეტიპის ძირითად თავისებურებას პიროვნებისთვის დაცულობისა თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეადგენს. ის პირველყოფილ, საწყის პარმონიასთან ან, სხვა სიტყვებით, დედასთან დაბრუნების პირობებს ქმნის და ზრდასრულ ადამიანს სიყვარულის მომლოდინე ბავშვად აქცევს.

როგორც ნათელი ხდება, ანიმას აღნიშნული ვარიანტი განსაკუთრებული გავრცელებით გამოირჩევა, რაც სულაც არაა შემთხვევითი. არაცნობიერი „დიდი დედა ფემინუსა“ (ან ადამიანის ფსიქიკაში არსებული დედის განზოგადებული სახე) პიროვნების ფსიქოლოგიური სტაბილობის გარანტად იქცევა. მეორე მხრივ, „დიდი დედა“ პიროვნების ინფანტილიზაციას, მის „მუდმივ ბავშვად“ ქცევას უწყის ხელს, რაც პიროვნების პასიურობისა და გარეშე ძალებზე მიჯაჭვულობის მიზეზიც ხდება.

„დიდი დედას“ არქეტიპი ხელოვნებისთვის განსაკუთრებულ სტიმულს წარმოადგენს. აღნიშნული არქეტიპის პირველადი, მითოლოგიური ასახვის ნიმუშები მრავალფეროვანია; ყოველი ხალხის მითოლოგიურ აზროვნებაში განსაკუთრებული ადგილი დედა-ქალღმერთებს ეთმობა. მაგალითად, ასეთი არიან პირველყოფილი ქალი-კერპები, რომლებსაც ნაყოფიერება და დედობა უკავშირდებოდა. ასეთია ძველ ეგვიპტური ისიდა, რომელსაც მითოსი ყრმით (პოროსით) გამოსახავდა. ასეთია ბერძენთა პერსა, ადამიანებისა და ღმერთების დედა. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანდა, რადგანაც ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობა სწორებ დედით იწყება; იგია ადამიანის

არა მხოლოდ გარე სამყაროსთან, არამედ საკუთარ თავთან მიმართების შეუძლებელიც.

ანიმა, რომელსაც პირობითად „მზეთუნახავი“ შეიძლება ეწოდოს, „დიდი დედისაგან“ განსხვავებით, უკიდურესი პასურობითა და „მომღლოდნე ქალურობით“ გამოირჩევა. ეს ანიმას სახეა, რომელიც გააქტიურებას (ხსნას, გაცოცხლებას) გარედან ელის და განსაკუთრებული „მიზიდვის ძალით“ – მიზიდველობითა და ხიბლით გამოირჩევა. ეს მითებიდან და ზღაპრებიდან ყველასთვის კარგად ცნობილი, კოშკი გამოწყვდებული მზეთუნახავია, რომელიც თავის მხსნელსა და მიჯნურს მოელის; მზეჭაბუქს, რომელიც მას ასე სუსტსა და უმწეოს, თავის ენერგიას გაუნაწილებს და ბოროტი ძალების ტყვეობიდან დაიხსნის.

მზეთუნახავის არქეტიპის „უკიდურის“, ექსტრემალური ფორმაა მძინარე ან მკვდარი ასულები, რომელთა სახეებითაც ასე მდიდარია ფოლკლორი. მზეთუნახავისთვის დამახასიათებელი პასურობა აქ კულმინაციას აღწევს! თუმცა მაღალ, მიუვალ კოშკი ან ცხრაკლიტულს მიღმა ჩაკეტილი და სამყაროსგან იზოლირებული მზეთუნახავიც, ასე ვთქვათ, სანახევროდაა ცოცხალი და მის არს პასური, მთვლემარე მოლოდინი შეადგენს. ქართულ მთოსში ყამარის კოშკი ცაზე ჯაჭვით კიდია; აღნიშული მეტაფორა ყამარის (ცის კამარას) ქალწულებრივ სიწმინდესა და ხელშეუხებლობას (მიწისიგან მოწყვეტას) და ასევე სრულ პასურობას ასახავს. თოვლივით თეთრი და თოვლივით ციფი ასულები – შეუბლალავი სიწმინდისა და ემოციური სიმრალის (ფაქტობრივად, სიკვდილის) სიმბოლოებია მაშინ, როდესაც მზეჭაბუქს, მზის ვაჟს ანდა თავად მზეს – საპირისპიროდ, აქტიური, ქმედითი, „სიცოცხლის მომნიჭებული“ ბუნება (ძალა და ენერგია) გამოირჩევს.

მზეთუნახავის ან მომღლოდინე ქალურობის არქეტიპი ამავე დროს მოქმედებაში მოყვანი, დინამიური საწყისის მატარებელია. მზეთუნახავი მოქმედებისკენ სტიმულსა და ბიძგს იძლევა. საუკუნოდ მძინარე ასულებს, მათი მხსნელი უფლისწულის გამოჩნამდე, მაგიური არსებანი, ფერიები და ჯუჯები იცავენ. ასე ელის მკვდრად ქცეული ქალურობა აქტიურ მასკულინურ საწყისს.

ანიმას სახესა და მის ვარიაციას წარმოადგენს „საბედისწერო ქალის“ არქეტიპი, რომელიც იერთიანებს ეროტულობასა და აგრესის, სიცოცხლესა და სიკვდილს. მისი განსაკუთრებული ხიბლი სწორედ

ეროტიკისა და აგრესის ნაზავით აიხსნება. საპირისპირო სქესთან მიმართება აქ შეპირისპირებასა და ჭიდილს გულისხმობს; „საბედისწერო ქალისთვის“ სიყვარული ბრძოლის ველია, სიყვარულის ობიექტი კი – მოქაშპე! იგი მუდმივად დაექტებს შსხვერბლს, რათა დამინგრეველი სექსუალობა გამოავლინოს. ანტიკურ მითოლოგიაში აღნიშული არქეტიპი პის ნიმუშია ამორმალი, მეომარი ქალი, რომელსაც სისხლი სწყურია და რომლისთვისაც სამყარო დაუსრულებელი ბრძოლის ველია.

„როგაპი დედაკაცის“ („კუდიანი დედაბერის“) არქეტიპი ამორმალივით მტრულადაა განწყობილი, მაგრამ, მისგან განსხვავებით, სრულიად მოკლებულია ქალურ ხიბლის. იგი აგრესიულია და მისტიკურ შიშს, ზოგჯერ კი ზიზღსაც იწვევს. ეს „კუდიანი დედაბერია“, რომელსაც დიდი ხიფათი უკავშირდება და რომლის მიზანსაც სწორედაც რომ ხიფათის მინიჭება შეადგნს. ეს, ფაქტობრივად, ურჩეულია, ნახევრად-ქალი და ნახევრად-მხეცი, რომლის მოთვინიერება შეუძლებელია, ხოლო მოტყუება და გულის მოგება დიდ სირთულეს წარმოადგენს. ფოლკლორი აღსავსეა ასეთი სახეებით, როგორიცაა კუდიანი და როგაპი-დედაკაცი, გრაიები, ჰარპიები... მართლაცდა, შემზარავ ქალთა გაღერება!

„როგაპი დედაკაცის“ შერბილებილ ვარიანტს ალი (სირინოზი ანტიკურ მითოლოგიაში) წარმოადგენს. ის საშიში არსებაა, მაგრამ ამავე დროს, მომხიბლავიც. ალთან თვით ბუნების ხიბლია დაკავშირებული. შევნიერი ოქროს თმით იგი იზიდავს მამაკაცებს, რათა ადამიანთა სამყაროსთან კავშირი გააწყვეტინოს და საკუთარ ანდა ბუნების სამყაროში დაგანხის.

რა თქმა უნდა, არსებობს ანიმას განსხვავებული (ფაქტობრივად, ამოუწურავი) ვარიაციები, მაგრამ ყოველი მათგანი ჩვენ მიერ მითოთებულ მირითად ტიპებსა და სახეობებს ეფუძნება.

ანიმუსის შესაძლო ვარიაციები, ასევე მრავალფეროვანია და მათი მატარებელი პიროვნების თავის ებურებებს უკავშირდება. ანიმუსის ძირითად სახეებს შორის შეიძლება გამოიყოს: „მოხუცი ბრძენის“, „ყრმა“, „უბრალო ჭაბუკი“, „ძლევამოსილი მმაკაცი“. რა თქმა უნდა, თითოეული ტიპის გამოვლენისა და ვარიაციის შესაძლებლობები ამოუწურავის.

„მოხუცი ბრძენის“ არქეტიპს ოუნგის სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი საყოველთაო სიბრძნის, უსაზღვრო სიკეთისა

და ძლევამოსილების მატარებელია. იუნგი მას ღმერთის არქეტიპსაც უწოდებს! ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში არსებულ შინაგან ღმერთს, როგორც გონიერებისა და ძალის შინაგან წყაროს. (არის შეხედულებაც, რომ „მოზუცი ბრძენი“ ანიმუსის არქეტიპს არ განკუთვნება და სუვერენული არსებობა ახასიათებს).

ყრმის არქეტიპი უმწეობისა და გამორჩეული სიწმინდის მატარებელია და გარეშე ძალისხმევის (ზრუნვის, მოვლის) სტიმულის მომცემი. ამავე დროს ყრმა იდუმალი, მეტაფიზიკური სიბრძნის მფლობელია. ასეთია, მაგალითად, ვიშნუ ინდურ მითოლოგიაში; ეს უზენაესი ღვთაება ადამიანებს მოთამაშე ყრმის სახით ევლინება, რათა ამცნოს, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ ყრმის მიერ შეიცნობა. „იყავით ვითარება ყრმანი!“ – ამ მოწოდებით ცხადდება არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ უნივერსალური იდეალიც.

მიამიტი ჭაბუკი (მწყემსი ბიჭუნა) ბევრით ჰგავს ყრმის არქეტიპს; იგი უშუალო და ბუნებრივი, თითქვის მედიტაციურ გარინდებაში მყოფი. მისი გარემო – ბუნებაა, რომელთანაც იგი სრულ ჰარმონიასა და ერთობაშიც არსებობს. იგი ჰასიურია იმდენად, რამდენადაც აქტიურ ქმედებას სრულიად გამორიცხავს გარე სამყაროსთან ჰარმონიული ერთობა. მისი აქტივობა ისევ და ისევ ბუნებას უკავშირდება – ესაა ზრუნვა ბუნებრივ გარემოზე, რომლის განადგურებითაც თავად ჭაბუკიც ნადგურდება.

აღნიშნულ არქეტიპს ბევრი აქვს საერთო ყრმის არქეტიპთან, მაგრამ მისგან განსხვავებით თავისებური, ბუნებრივი ან, უფრო სწორედ, ბუნებისმიერი ხიბლი გამორჩევს. ეს თავად ბუნების ხიბლია. ჭაბუკის ერთტიკა მას ყრმის არქეტიპისგან მკვეთრად მიჯნავს. ანტიკურ მითოლოგიაში მრავლადაა ამგვარი არსებობი: მწყემსები, გულიბრყვილო ვაჟები, ტყისა და ველების სულები. მათი სრულიად იდილიური ბუნების მიღმა ფარული ვნებები გმოკრთის; მწყემსები ოლად გარდასახებიან სატირებად და ფავნებად, თხისა და ადამიანის საშიშ და საფრთხილო ნაზავად!

ძლევამოსილი მამაკაცის (გმირის) არქეტიპის გამოვლინებად უნდა ჩაითვალის ისეთი მითოსურ-მხატვრული სახეები, როგორაცაა: ჰერაკლე, თეზევსი, ამირანი და ა. შ. აღნიშნული პერსონაჟები მითოლოგიასა და ფოლკლორის პროტაგონისტებს წარმოადგენს; მათში ქმედით-შემოქმედებითი საწყისია კუმულირებული და,

შესაბამისად, ფაბულაც მათ გარშემო იგება. აღნიშნული არქეტიპის ძირითად მახასიათებელს აქტიური წება, ჰეროიკა შეადგენს; სიძნელეთა გადალახვით ისინი მიზანს უცილობლად აღწევენ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ეს ის „მზეპბუკება“, რომელთაც მოელინ დატყვევებული (საკუთარივე უმწერუბით დატყვევებული) მზეთუნახავები და რომელთა ქმედებაზეცაა დამოკიდებული საყოველთაო კეთილდღეობა. ეს მაჟორული, ოპტიმიზმით აღსავს სახეები განსაკუთრებულ სიმპათიასა და სიყვარულს იწვევს და, შესაბამისად, მათი ასახვა გამორჩეულად ხშირია და გავრელებული ხელოვნების ყველა დარგში. აქ მხოლოდ ერთი მაგალითით შემოვიფრგლები; ასეთა მიქელონჯელოს „დავითი“, როგორც გმირის ან საკაცობრიო ენერგიისა და ოპტიმისტური შემართების განზოგადებული სახე.

არქეტიპი „ა ჩ რ დ ი ლ ი“ შემთხვევით როდია ასე სახელდებული. იგი ადამიანის „ჩრდილოვანი“ ან „ბნელი“ მხარეების ამსახველია. ეს ადამიანის ასპექტია, რომლის დამალვა ცნობიერი ფსიქიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს; ადამიანის რცხვენია და ეშინია კოლექტიური არაცნობიერის იმ ასპექტისა, რომელსაც იუნგმა აჩრდილი უწოდა. სირცხვილსა და შიშს იწვევს აჩრდილის „ცხოველური“ ან პირველყოფილი და ველური ბუნება. ის, ფაქტობრივად, ადამიანის ფსიქიკაში არსებული „შეულამაზებელი“ ბუნება ან „ინსტინქტთა კონაა“, მნელად სამართავი და, ფაქტობრივად, მოუთვინიერებელი.

იუნგის მიხედვით, აჩრდილი არა მხოლოდ ნეგატიური დატვირთვის მატარებელია; მასში ამავე დროს პოეტურ-უშუალო ხედვის საწყისიც იგულისხმება. იუნგი თვლიდა, რომ ადამიანის ოვითშემცნება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს „შეხვედრასაც“ საკუთარ აჩრდილობი. ამ შეხვედრას ტრადიციულად გულისხმობს ხელოვნება, რომელიც ცნობიერი და არაცნობიერი ძალების შეპირისპირების არენას წარმოადგენს. აჩრდილი, ჩვეულებრივ, ურჩეულის, დრაკონის, მხეცის სახით აისახება მითოლოგიაში, ფოლკლორსა და ხელოვნებაში. ასეთია, მაგალითად, აჩრდილის ხორცშესხმა ზღაპარში „მზეთუნახავი და ურჩეული“, რომელიც სიყვარულის ზემოქმედებით მხეციდან ადამიანად გარდაისახება.

არქეტიპი, რომელსაც იუნგმა თვითონბა (ან თავდომა) უწოდა, ცნობიერისა და არცნობიერის გამოლიანებას, ანუ პიროვნების მიერ

საკუთარი ფსიქიკური სიღრმეების წვდომასა და პიროვნებაში არსებულ დაპირისპირებულ ძალთა შერიგებას, უკავშირდება. თვითობა ცნობიერი ფსიქიკურის არაცნობიერით გამდიდრებასა და გაღრმავებას გულისხმობს; პიროვნება ალარ ებრძევის საკუთარ არაცნობიერს და ცნობიერისადმი მის მაკომპენსირებელ (დამაბალანსებელ) ბუნაბას წვდება; თუკი ცნობიერი ინტელექტსა და ნებელობას ეფუძნება, არაცნობიერი, როგორც მისი შემაგებელი, არქაულ, მითოსურ წარმოდგენებს ექვემდებარება. (არაცნობიერში აქ, რა თქმა უნდა, კოლექტიური არაცნობიერი და მისი არქეტიკები იგულისხმება).

თვითობა იუნგის თეორიაში იდეალური ფსიქოლოგიური მდგომარეობის არქეტიპად გველონება; ჰარმონის, წესრიგის, მთლიანობის იმ მდგომარეობისა, რომელიც ადამიანის უმაღლესი და სრულყოფილი გამოვლინებაა. თვითობა ტრადიციული და მანდალის ან წრის (მზის) სიმბოლიკით გამოიხატება. მანდალა სანსკრიტის ენაზე წრეს ნიშნავს; ეს მაგიური წრეა – ფსიქიკური მთლიანობის სიმბოლო. ლამაზიმსა და იოგაში მანდალა ჭვრეტის ობიექტია, ე.წ. იანტრა, რომელიც ღმერთების სამყოფელს გამოხატავს.

პ. იუნგის ხელოვნების თეორია ფსიქოანალიზის ცალმხრივობის დაძლევას გულისხმობს; აქ არაა უარყოფილი პიროვნული და თავისი ბუნებით ბიოლოგიური, არაცნობიერის (ფრონდის ეროსი და თანატრისი) ხემოქმედება მხატვრულ შემოქმედებასა და ხელოვნებაზე. მაგრამ, ამასთან ერთად, ხაზგასმით მითითებულია კოლექტიური არაცნობიერის სიმბოლოებისა და არქეტიკების მნიშვნელოვანზეც (48,50,51,52,55).

იუნგის გაგებით, უნდა ერთმანეთისგან გამოიყოს შემოქმედებისა და ხელოვნების ორი ძირითადი ტიპი თუ სახე; თუკი პირველი – ე.წ. „ფსიქოლოგიური შემოქმედება“ პიროვნულ ან ბიოლოგისტურ არაცნობიერს (რომლის შესახებაც საუბარი იყო წიგნის წინა თავში და რომელსაც შეიძლება პირობითად „ფრითადისეული“ არაცნობიერი ეწოდოს) ეფუძნება, მეორე სახის ე. წ. „ვიზიონერული“ ან ხილვისმეტერი შემოქმედება კოლექტიური არაცნობიერის სიმბოლოებსა და არქეტიკებს უკავშირდება. იუნგის შეხედულებათა მიხედვით, ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც დროის მდინარებას უძლებენ და არასოდეს კარგავენ ზემოქმედების უნარს, სწორედ კოლექტიური არაცნობიერის აქტივობასთან კავშირდებიან (49).

არქეტიკებისა და უნივერსალური სიმბოლოების ამსახველი

ხელოვნება არა მხოლოდ მის საფუძვლად არსებულ ძალთა მსგავსად ზედროვლია, არამედ – ზეპირობულიც; კოლექტიური არაცნობიერი პიროვნულის ჩარჩობიდან გასვლას და პიროვნული ფსიქიკის ფარგლებში საკაცობრიო-უნივერსალურის ჩართვას გულისხმობს. თუკი პირად კომბლექსებსა და მოთხოვნილებებზე „აგებული“ ხელოვნების ნიმუში ამ უკანასკნელთა ასახვაა და ანარეკლი, კოლექტიური არაცნობიერის არქეტიკებსა და სიმბოლოებს დაფუძნებული ხელოვნება, მართლაცა, „ხილვად“ იქცევა; პიროვნების (და საერთოდ, კონკრეტულ პიროვნებათა) გარეშე არსებული იმ სამყაროს ხილვად, რომელიც კონკრეტულ მოთხოვნილებებსა თუ სურვილებით არ კავშირდება!

შემოქმედების მეორე ტიპს, რომელსაც იუნგის, როგორც მკვლევარის, ინტერესი უკავშირდება, შემთხვევით როდი ეწოდა „ვიზიონერული“, ხოლო მის შემოქმედს – ვიზიონერი. იუნგის თეორიის თანახმად, კოლექტიური ან უნივერსალური არაცნობიერის ძალებს (არქეტიკებსა და სიმბოლოებს) თვითაქტივირების უნარი ახასიათებთ; ისინი იმპულსურად მოდიან რა მოქმედებაში, ცნობიერების ზედაპირზე „ამოისვრიან“ ცნობიერებისთვის უცხო (ზოგჯერ მიუღებელ და შემზარავ) ხატ-წარმოდგენებს. ეს შორეული წარსულიდან, საკაცობრიო არქივიდან „ამოსული“ შინაარსებია, რომლებიც, მათი ასაკის მიუხედავად, არასოდეს კარგავენ აქტუალობასა და მნიშვნელობას.

არქეტიკებითა და სიმბოლოებით საერთო საკაცობრიო ფსიქიკა მეტყველებს, რომლის ენაც შემთხვევით როდია ხატოვნ-სიმბოლური. იუნგის გაგებით, სწორედ სიმბოლური ხატებით ხდება შესაძლებელი განსაკუთრებული სიდრომის, ტევადობისა და მნიშვნელობის ინფორმაციის გადმოცემა. ლოგიკური აზროვნება უძლურია ასახოს გრანდიოზული, მარადიული იდეები. ამიტომაც ფსიქიკა მათ გამოსათქმელად არაცნობიერ სიმბოლოებსა და არქეტიკებს მიმართავს.

იუნგი თვლიდა, რომ „ვიზიონერულ“ შემოქმედებასა და ხელოვნებას, რეალურად, არც ჰყავს კონკრეტული ავტორი ან კონკრეტული პიროვნება-ავტორი. მას ქმნის პიროვნებაში არსებული „ზეპიროვნული“, საერთო საკაცობრიო საწყისი. შესაბამისად, ხელოვნების აღნიშვნულ სახეს სრულიად გამოიჩინელი, უნივერსალური დანიშნულება და ფუნქცია აკისრია. მის მიერ წარმოდგენილ სიმბოლოში ცხადდება

ინფორმაცია, რომლის ლოგიკური აპარატით „დაშლა“ თუ „დაღლაგება“ ამოწურავ პროცესს წარმოადგენს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „მონა-ლიზა“ (კოკონდა); სიმბოლოდ ქცეული ქალის ღიმილი ათასობით ნაწერი ფურცლის მიზეზად იქცა, მაგრამ მისი „გაგება“ თუ „ამოწურვა“ მაინც მოუღწეველ მიზნად დარჩა.

როგორც თუნგი აღნიშნავს, კოლექტიური არაცნობიერის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ბოლომდე ახსნასა და გაგებას არ ექვემდებარება. ასეთი სახისაა, მისი აზრით, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფუასტი“, ნიცშეს „დიონისე“, ჰოფმანის „ოქროს ქოთანი“, ვაგნერის ოპერები, იაკობ ბოემეს ფილოსოფია. (ყოველი მათგანი ძირითადში სწორედ კოლექტიური არაცნობიერის მოქმედების შედეგს წარმოადგენს).

თუნგის ხელოვნების თეორიის არსეს ნათლად ასახავს თუნგიანელი მხატვარ-აპსტრაქციონისტების (რომელიც ფერწერის ენით ცდილობდა იუნგის იდეების გადმოცემას), „ამერიკული ფერწერის მამის“, ე. წ. „წვეთოვანი ფერწერის“ ფუმედებლის, ჯექსონ პოლოკის, სიტყვები: „ნახატის შექმნისას სრულებით არ ვფიქრობ მასზე, რასაც ვაკეთობ. ის, რაც დაიხატა, ჩემთვის გასაგები მხოლოდ მოგვიანებით ხდება; მე თითქოს თავიდან ვეცნობი საკუთარ ქმნილებას. ამასთან ერთად, შესწორებების შეტანის და ფორმების კორექციის არ მეშინა, რადგანაც ამას თავად ნახატი მკარნახობს. ნახატი, რომელსაც საკუთარი, ჩემგან დამოუკიდებელი ცხოვრება აქვს. მე მასთან კონტაქტის შენარჩუნებას ვცდილობ და ვეხმარები გამოავლინოს თვისი არსი. თუ ვერ ვახერხებ კონტაქტის შენარჩუნებას, ტილოზე ქარის ჩნდება. და თუკი მე და ჩემი ქმნილება კარგად ვუგებთ ერთმანეთს, მაშინ ტილოს ელექტრებს შორის ჰარმონია მყარდება, რომლის მიღმაც გამოკრთის ნახატის ფარული აზრი და მნიშვნელობა.“ (თარგმანი ჩემია – რ. მ.) («Полюк. Удожественна გалексы», 66,2005, ст. 24-25).

ფროიდის გაგებით, შემოქმედი საკუთარი ინტიმური, პირადული განცდის სიმბოლოზირებას ახდენს; სიმბოლო შემოქმედის იმ განცდის ინტენსიურობაზე მეტყველებს, რომლის დასათრუნადაც გამოიყენება სიმბოლიზაცია. (სიმბოლო, როგორც შემოქმედის განცდის შენიღბვა და ვუაღლირება). ფანტაზიის ამოქმედების მიღმა ფროიდი სავსებით კონკრეტულ პიროვნულ განცდებს ხედავდა (სიყვარულს, შიშს, აგრესიას და ა. შ.). აღნიშნულ მოსაზრებას თუნგი ვიზიონერობის

„მეცნიერული“ ახსნის ნიმუშად მიიჩნევს. იგი სიტყვა „მეცნიერულს“ ბრჭყალებში სვამს, რათა ამით კიდევ ერთხელ ნათელი გახადოს საკუთარი უნდობლობა და ირონია „ფსიქოანალიზის“ (ან ფროიდიზმული „ფსიქოალიზის“) შეხედულებათა მიმართ.

იუნგის მიხედვით, შემოქმედი დუალური ბუნებისაა და არსებით შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს; ერთი მხრივ, იგი კონკრეტული ადამიანია პირადი ცხოვრებით, ხოლო, მეორე მხრივ – უპიროვნო შემოქმედებითი პროცესების მატარებელი. ხელოვნება თანდაყოლილი სისტემის სახეა, რომელიც ფლობს შემოქმედის პიროვნებას (იგულისხმება, რომ არა შემოქმედი ფლობს შემოქმედებით უნარებს, არამედ პირიქით, ეს უნარები ფლობენ მას) და აქცევს მას საკუთარ ინსტრუმენტად. „ ს ე ლ ო ვ ა ნ ი – კ ო ლ ო ე ქ ტ ი ი უ რ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ა ! “ – აცხადებს თუნგი, რაშიც გულისხმობს შემოქმედის მიერ საკუთარი კერძო პიროვნული ჩარჩოებიდან გასვლასა და კოლექტიური არაცნობიერის არქეტიკებთან ზიარებას (შეადარე: „ლექსს მე არ ვწერ, ლექსი თვითონ მწერს!“).

შემოქმედებას, იუნგის გაგებით, ფერი ნური (ქალური) თავისებურებები გამოარჩევს, რადგანაც საწყისს იგი არაცნობიერის ფერინურ სფეროში იღებს. (ამ შეხედულებით აშკარავდება შემოქმედების წარმოდგენილი გაგების კავშირი პატრიარქალურ დოგმებთან; რადგანაც შემოქმედი მამაკაცია (და მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს შემოქმედი), ამიტომაც შემოქმედების იმპულსი მის ფერინურ არაცნობიერს ან ანიმას უკავშირდება. თუკი ვძლევთ პატრიარქალურ დოგმებს და ვაღიარებთ, რომ შემოქმედი შესაძლოა ქალიც იყოს, მაშინ შემოქმედებითი იმპულსი მის მასკულინურ არაცნობიერში ან ანიმუსში უნდა ვეძოთ. – რ. მ.).

თუნგი წერს ე. წ. ვიზიონული განცდის შესახებ, რომლის დაგვანაც პირად გამოცდილებას თუ ანომლია-დარღვევაზე მის უბრალო სიმბტომად ქცევას და ამით მისი სპეციფიკური შინაარსის დაკარგვას იწვევს. ვიზიონული (ან კოლექტიური არაცნობიერის) სფერო უფრო ღრმა და ძლიერი განცდების შემცველია, ვიღრე ვეღლა ადამიანური განცდა ერთად აღებული! ვიზიონურის იუნგი პირველ-განცდასა და პირველ-სიმბოლოს უწოდებს და კოლექტიური არაცნობიერის არქეტიკებთან აკავშირებს.

ჯერ კიდევ პირველყოფილ ხელოვნებაში, კლილის ფერწერის ნიმუშებში წარმოდგენილია უჩვეულო, უცნაური ნახატები. ასეთია,

მაგალითად, წრეში ჩახატული რვაწვერა ჯვარი. აღნიშნულმა სიმბოლომ ყველა კულტურა და ცივილიზაცია მოიარა. არსებობს მისი „ამოკითხების“ თუ „გაშიფვრის“ მრავალი ვარიანტი, რომელთა შორისაც უძველესა მისი, როგორც „მზის ეტლას“, გაგება. იუნგის შეხედულებით, არაცნობიერის სიღრმეებიდან ამოსულმა სიმბოლურმა წარმოდგენამ ადამიანს ბორბლის იდეის სტიმული მისცა; პირველი ტექნიკური მონაპოვარი არაცნობიერი ფსიქიკის სწორედ აღნიშნულ არქეტიპს უკავშირდება!

შემოქმედებითი აქტის რაობა იუნგს კოლექტიური არაცნობიერის ცნობიერების ზედაპირზე ამოსულისა და ცნობიერ განცდაში აღბეჭდებოს სახით ესმის. შემოქმედებით აქტს ავტორი არაცნობიერის ცნობიერთან ქორწინებას უწოდებს და მიიჩნევს, რომ შემოქმედებითად დაჯილდოებული ადამიანები არაცნობიერისადმი გამორჩეული „ღიაობთა“ და „გახსნილობით“ ხასიათდებიან. შესაბამისად, ნიჭის ფენომენი შინაგან თვისუფლებასთან კავშირდება, რომელშიც, უწინარეს ყოვლისა, არაცნობიერი ძალების თვითგამოვლენის თავისუფლება იგულისხმება. ნიჭირი ხელოვანი შინაგანი ცენტურისა თუ ცნობიერი კონტროლის შესუსტებასა და არაცნობიერის სიღრმეებში ჩაღწევას ითლად ახერხებს მაშინ, როდესაც „ჩვეულებრივი მოკვდავი“, ფაქტობრივად, შინაგანი ცენტორისა და ცნობიერების კონტროლის მონად და მსხვერპლადაც იქცევა; იგი იძენად თრგუნავს არაცნობიერ ძალებს, რომ სრულიად კარგავს მათთან კონტაქტის უნარს და ამით კი – შემოქმედებითი იმპულსის აღმოცენების შესაძლებლობასაც.

იუნგის გაგებით, ხელოვნების ნიმუში სიზმარს შეიძლება შევადაროთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მასში პირადი მოთხოვნილებებისა და სურვილების ანარეკლები მოიძება. ფრონდისგან განსხვავდით, იუნგი მიიჩნევს, რომ სიზმარსა და ხელოვნებაში კოლექტიური არაცნობიერის მრავალმნიშვნელოვანი არქეტიპი და სიმბოლოებიც ცხადდება. არც ერთი სიზმარი არ ამბობს: „შენ უნდა“ ან „ასეთია ჭეშმარიტება“. იგი იძლევა ხატს ისევე უშუალოდ, როგორც ბუნება – ნაყოფს და ამ ხატიდან დასკვნების გამოტანა უკვე შემდგომ იქცევა ადამიანის ამოცნად, – წერს ავტორი.

იუნგი შხატვრული შემოქმედების პროდუქტებს არაცნობიერი ფსიქიკურის თვითასახვად და თვითგამოვლენად მიიჩნევს. ამგვარ

„პროდუქტთა“ ორი ძირითადი სახე გამოირჩევა:

1. ფანტაზიები (სიზმრების ჩათვლით), რომელთაც პერსონალური ხასიათი აქვს და რომელებიც ცნობიერებიდან განდევნილ და პიროვნულად მნიშვნელოვან (პირად) განცდებს უკავშირდება (რომელებიც შეიძლება პიროვნების პირადი ფსიქოლოგიური თავისებურებებით იქნეს ახსნილი.) მაგალითად, ასეთად შეიძლება იქცეს გაუზიარებელი ან ცალმხრივი სიყვარული, რომელიც ტრადიციულად მხატვრული შემოქმედების მძლავრ სტიმულატორს წარმოადგენდა და შეკავებული, „დაგუბებული“ აგრესია, რომლითაც ასე „მდიდარია“ სიზმარი და მსოფლიო ხელოვნების ისტორია.

2. ფანტაზიები (სიზმრების ჩათვლით), რომელთაც იმპერსონალური (უპიროვნო) ხასიათი აქვთ, არ კავშირდებიან ინდივიდუალურ განცდებთან და რომელთა ახსნა პირადი (პიროვნული) ფსიქიკით ვერ ხერხდება. ფსიქიკის ამ „კოლექტიური შრის“ მხოლოდ აღწერა ან ინტერაქტიურებაა შესაძლებელი და არა მისი ახსნა. სიზმრებსა და შემოქმედებაში შესაძლებელია ისეთი ხატისა თუ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც შორს სცილდება მისი „ავტორის“ ფსიქიკურ გამოცდილებას. მაგალითად, შესაძლოა ურთულებისა, ლრმა საზრისის, პოლისიქმანტიკურ სიმბოლოთა მოძიება მცირებლოვან ბავშვთა სიზმრებში. (მაგალითის სახით იუნგი გვთავს სკოლამდელი ასაკის გოგონას სიზმარს, რომელშიც, შესაბამისი სიმბოლოების საფუძველზე, რწმენის, სიკვდილისა და აღდგომის იდეებია ასახული). ასევე არსებობს „მოარული“, განმეორებადი ან უნივერსალური სიუჟეტები, სიმბოლური თემები, რომელებითაც აღსაგესა ნებისმიერი (განვითარების დონის, ეროვნებისა და ეპოქის მიუხედავად) ადამიანის სიზმარი და მსოფლიო ხელოვნების ისტორია. მაგალითად, მთის მწვერვალის დაპყრობა, დედმიწის სიღრმეებში ჩასვლა, გვირჩში მოძრაობა, ზღვის გადაცურვა, ფრენა – აღნიშნული სიუჟეტები კოლექტიური არაცნობიერის თვითმოქმედების, თვითაქტივაციის შედეგია და გარკვეული ინფორმაციის სიმბოლურ-ხატოვან გადმოცემას გულისხმობს.

იუნგის თეორიის მიხედვით, შემოქმედი და ხელოვნება მყარად არიან შეკავშირებულნი, მაგრამ ისინი ერთმანეთს ვერ ხსნან! ასე მაგალითად, ოპერა „ნებელუნგების ბეჭედის“ სამუალებით ვერ მოვიდებთ მისი ავტორის, რიპარდ ვაგნერის პიროვნულ თავისებურებებს. ხელოვანის პირადი ფსიქოლოგია, ცხადია, ბევრს

ხსნის მის ნაწარმოებში, მაგრამ ვერ ზნის თავად ნაწარმოებს!<sup>48</sup> წმინდა მიზეზობრივი კავშირების, კონკრეტული მიზეზებისა და შედეგების დაღენას ფსიქოლოგია მხოლოდ ინსტინქტთა და რეფლექსთა სფეროში ახდენს. ხოლო იქ, სადაც ნამდვილად იწყება სულის ცხოვრება (მაგალითად, კომპლექსთა სფეროში), ფსიქოლოგია ფენომენთა მხოლოდ აღწერით კმაყოფილდება. იუნგი აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი საწყისი ირაციონალურია, რაც მის რაციონალიზაციას, აზრობრივ განსჯასა და მეცნიერულ შესწავლას შეუძლებელს ხდის.

უნდა ერთმანეთისგან გაიმიჯონს მხატვრული ნაწარმოების ფსიქოლოგია და პოეტის (როგორც კონკრეტული პიროვნების) ფსიქოლოგია; ნაწარმოების ფსიქოლოგიის პიროვნების ფსიქოლოგიამდე დაყვანას იუნგი დიდ შეცდომად მიიჩნევს.

„ანალიზური ფსიქოლოგიის“ ავტორი მიუთითებს სპეციფიკურ შიშხე – ვიზიონერული სამყაროსადმი შიშხე, რომელიც, ფაქტობრივად, პირველქმნილი ქაოსის შიშია. შესაბამისად, ვიზიონერობისა და კოლექტიური არაცნობიერის კონკრეტულ და პიროვნულ კომპლექსებამდე დაყვანას საფუძვლად ქაოსის ილუზორული მოწესრიგების უინი ედება.

„ფსიქიკა და კარია“ – წერს იუნგი, რომელშიც უცხო, არა პიროვნული სამყაროდან ზოგჯერ რაღაც უცნობი და უჩვეული შემოიჭრება, რათა ადამიანები ადამიანურობის ჩვეულ და სავსებით გასაგებ სფეროს „გამოსტაცოს“. სასიყვარულო განცდა (ეროსი), უბრალოდ, ხელს უწყობს მასზე მნიშვნელოვანი ძალების გათავისუფლებასა და აქტივირებას. კერძო პირადულ-ადამიანური ერთგვარი უცერტურაა, წინმსწრები იმპულსია, რათა გათამაშებეს მარადიული „დეტაქტორივ კომედია“. ისე, როგორც დანტესთვის ბერტრიჩ დათაებრივ, უზნაესს კანონებსა და წესებთან ზარუბის სტიმულად იქცა!

იუნგი უპირისისირდება ფროიდის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შემოქმედება სულიერი აშლილობის, ნევროზის გამოვლინებაა, ხოლო შემოქმედის სპეციფიკურ თავისებურებას მისი ინფანტილურ-აუტოროტული ბუნება შეაღენს. იუნგის გავებით, ასეთი დახასიათება შეიძლება ხელოვანს, როგორც პიროვნებას შეეხოს და არა როგორც შემოქმედს. შემოქმედი არც აუტოროტულია და არც პეტეროროტული; ის სცილდება რა

კერძო პიროვნულის ფარგლებს, ობიექტურია და არა სუბიექტური. ხელოვანი ერთი მხრივ, პირადული ადამიანია (კომპლექსებითა და პიროვნულ განცდათა სპექტრით), ხოლო, მეორე მხრივ, ზეპიროვნული. საკუთარი შეხედულების საილუსტრაციოდ იუნგი ასეთ ფრაზას გვთავაზობს: „არა გოთე ქმნის „ფაუსტს“, არამედ „ფაუსტი“ – გოთეს“(48). (შეადარე, „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“).

იუნგის ხელოვნების თეორიის ამოსავაღლია შეხედულება, რომ მხატვრული შემოქმედება და ხელოვნება ადამიასთვის თავისუფლების მომნიჭებელია; იგი ადამიანს მიწიერის ბორკილებისგან ათავისუფლების და მოთამაშის მდგრადი ამაღლებს. თამაშის ფენომენში ავტორი ფსიქიკურ ძალთა თავისუფალ თვითგამოვლენას, მათ მერ მხატვრულ ფორმათა შეუზღუდავ აგება-წარმოქმნას გულისხმობს. (შეადარე: ჰ. ჰესეს რომენშა „ტრამალის მგელი“ „მოთამაშისა“ და „მაგის“ მხატვრული სახეები, როგორც უმაღლესი სრულყოფილების სიმბოლოები. აქვე დავძენ, რომ ჰესე იუნგიანელი მწერალია – რ. მ.).

ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური შემოქმედებისთვის დამახასიათებელია პოლარობა ანუ ისეთი ანტიპოდების მკაცრად გამიჯვნა, როგორიცაა: სიკეთე და ბოროტება, სინათლე და სიბრუნვე, სილამაზე და სიმახნიჯე და ა. შ. ფსიქოლოგიური შემოქმედებისგან განსხვავებით, ვიზიონერულ შემოქმედებაში ანტიპოდთა დაპირისპირები ფიქციად იქცევა და არენაზე პარადოქსული მთლიანობა გამოდის; გამომრიცხავი, ანტიპოდური ძალები ერთმანეთს უკავშირდება იმ ვიზიონერული სფეროს შესაბამისად, რომლისთვისაც მთლიანობა და ერთიანობა დამახასიათებელი.

ჯერ კიდევ „დაუბადებელი“ მხატვრული ქმნილება მხატვრის ფსიქიკური თავისებური ძალის სახით არსებობს. ეს ძალაა, რომელიც გამოვლენას ერთგვარი ტრიანული ძლევამოსილებით ესწრაფვის. მისი თვითგამოვლენის შედეგად მხატვრული ნაწარმოები უკვე მზა და დასრულებული სახით ეძლევა ცნობიერებას ქალღმერთ ათენას მსგავსად, რომელიც ზევსის თავიდან ზრდასრული, აბჯარასხმული დაიბადა. იუნგის გაგებით, ავტორი მიჰყვება (მედიუმის მსგავსად) შინაგან, მაგრამ მაინც უცხო შემოქმედებით იმპულსს და მისი ძალით ახერხებს იმის გამოთქმასაც კი, რის შესახებაც არაფერი უწყის!

შემოქმედებითი პროცესი ადამიანის ფსიქიკაში ჩართული „ცოცხალი არსებაა“, რომელსაც იუნგი ავტონომიურ კომპლექსს უწოდებს. აღნიშნული კომპლექსი საკუთარი ენერგეტიკული მუხტის შესაბამსად, შეიძლება ვლინდებოდეს, როგორც ცნობიერი აქტივობის უბრალო აშლილობა ანდა როგორც ის „ზეავტორიტეტი“, რომელსაც შემოქმედის დამორჩილება და მართვა შეუძლია; ეს ერთგვარი არაცნობიერი იმპერატივია, იძულება, რომელსაც პი პნოტური შთაგონების ძალა გამოაჩევს.

ავტონომიურ კომპლექსს შეიძლება ანტიკურ ფილოსოფისთა მსგავსად დათაებრივი შეშლილობა ვუწოდოთ. იგი, მართლაც, ახლოა პათოლოგიურ მდგომარეობასთან; თვითგამოვლენის გახშირებისას ის დაავადების სიმპტომადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ავტონომიური კომპლექსის აღმოცენებას – მიუთითებს იუნგი – წინ უსწრებს არაცნობიერში აქტივობის ზრდა; ამისთვის საჭირო ენერგია კი ცნობიერიდან მიიღება. ცნობიერი ფსიქიკურიდან ენერგიის დაკარგვას შეიძლება, პ. უანეს სიტყვებით, ინტელექტუალური პლატოს ვარდნა ეწოდოს; ადგილი აქვს ცნობიერი აქტივობისა და ინტერესთა სფეროს შესუსტებას, რასაც ზოგჯერ აპათიაც (უარყოფითი ემოციური ფონი) უკავშირდება. ინსტინქტური სფერო დომინირებას იწყებს ეთიკურ სფეროზე, ინფანტილური – მოწიფულზე, არაადაპტური – ადაპტურზე. ასე რომ, ავტონომიური კომპლექსი პიროვნების ცნობიერი კონტროლისთვის განკუთვნილი ენერგიის ხარჯზე ვითარდება.

მხატვრული ნაწარმოების ფუნდამენტში, იუნგის ხელოვნების თეორიის თანახმად, უნდა ვიგულისხმოთ არა იმდენად პოეტის პირადი არაცნობიერი, რამდენადაც არ აც ნ ო ბ ი ე რ ი მით ოლოგია ს სუერო, რომლის პირველყოფილი ხატები სურთო საცავობრიო, უნივერსალური ბუნების ქრისტიანული ესტების შეხედულებას ეხმანება ვერპარდ პაულტმანის სიტყვები: „პოეზია სიტყვებში აცოცხლებს პირველყოფილი სამყაროს ექოს!“ რაც შეეხება პიროვნულ (პირადულ) არაცნობიერთან დაკავშირებულ ხელოვნებას, იუნგი მას კვლევისთვის ფრონიდის თეორიას – „ფსიქიანალიზს“, დანანების გარეშე უტოვებს.

იუნგი წერს პირველყოფილი ხატის იმ უძველესი ორიგინალის ან არქეტიპის შესახებ, რომელიც ფანტაზიის ყოველი თავისუფალი

გამოვლენისას მუდმივ აღორძინებას და განახლებას ახდენს. „არქეტიპი მითოლოგიური ფიგურაა“. იგი მრავალგზის განმეორებად და ერთგვაროვან განცდათა ფსიქიკური კვალია ან ნარჩენი, ერთისა და იმავე განცდის მრავალგზის გამორჩების შედეგი. როგორცაც პირველყოფილი ხატი ცხადდება და თავს „მითოლოგიური სიტუაცია“ ავლენს, ადამიანი სრულიად გამორჩეულ ემოციურ სისაკეც განიცდის. ასეთ დროს ადამიანი აღარა მხოლოდ კერძო ინდივიდი; ადამიანი მთელ თემად ან გვარად იქცევა და მასში მთელი კაცობრიობის ხმა იწყებს აუდრებას! არქეტიპის ზემოქმედების განსაკუთრებულობა იმთაც აიხსნება, რომ მისით მეტყველი ხმა ფელა კონკრეტული ადამიანის ხმაზე ძლიერია; არქეტიპი ათასი ხმით (საკაცობრიო ხმით) ღალადებს! ხელოვნების უმთავრეს ამოცანას არაცნობიერის სიღრმეებში არსებული არქეტიპების დამუშავება და ცნობიერისთვის „მორგება“ შეადგენს; ამით არქეტიპი კონკრეტულ ეპოქასა და კონკრეტულ სოციუმისადმი შესაბამისობაში მოდის(50).

კ. იუნგს ეკუთვნის ემპათიის ფიგური ფინმენის განხილვაც(47,48). იგი იზიარებს ლიპსის შესედულებას, რომ ესთეტიკური განცდის საფუძველი ემპათიის ფინმენში უნდა ვეძიოთ; მშვენიერების განცდა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მიერ საკუთარივე „მე-იდეალის“ განცდა გარეშე ობიექტებში. შესაბამისად, ფორმა, რომელთანაც შეუძლებელია ემპათირება, მანინჯად განიცდება. არსებობს ემპათიის განწყობა, რომელიც ნიმუშის მშვენიერება-სიმახინჯის განსაზღვრას ახდენს. ემპათიას ლიპსი თავად სიცოცხლესთან აკავშირებდა, ხოლო ვორინგერი წერდა ხელოვნებისადმი ნების ან ემპათიისადმი მოთხოვნილების შესახებ. იუნგი აღნიშნავს, რომ ემპათიისას ადამიანი საკუთარს, პიროვნულს უმატებს ობიექტს, საკუთარი თავი შეაქვს მასში და ამით, ფაქტობრივად, თვითშეცნობას ახდენს(47,48).

ინტერესს იმსახურებს იუნგის მიერ შემოთავაზებული ცალკეულ შემოქმედთა ფსიქოლოგიური ანალიზის ნიმუშები. ასე მაგალითად, ნარკვეს „პიკასო“ იუნგი საკუთარი პროფესიის მითითებით იწყებს; იგი ფსიქიატრია და ცდილობს სწორე „ფსიქიატრიული“ რაკურსიდან დაინახოს მხატვრის შემოქმედების თავისებურებანი, მთ უფრო, რომ პიკასოს ფსიქიოლოგიური პრობლემები ფსიქიატრიულ პაციენტთა პრობლემების ანალოგიურია (შეადარე: ჩეზარე ლომბრიზოს „ხელოვნების ფსიქიატრიული თეორია“).

თუნგი მიიჩნევს, რომ პიკასო და მისი გამოფენა ისევე, როგორც 28 თასი დამთვალიერებელი – დროის ნიშანია და გამოხატვა (იგულისხმება პიკასოს 460 ნამუშევრის გამოფენა ციურისში, 1932 წ.). პიკასოს შემოქმედების (ისევე, როგორც საზოგადო თანამედროვე ხელოვნების) თავისებურებად იუნგს არაცნობიერში არა მხოლოდ „მთასელა-ჩაძირვა“, არამედ არაცნობიერთან გაიგივება მიაჩნია! პიკასოს მთავარი პერსონაჟი, ავტორისვე აღტერ-ეგო – არლეკინი, ერთგვარი არქაული, ქონიური ღვთაებაა; ის არაცნობიერის „ანტონი“ რანდა, გმირია, რომელმაც ჰადესი, „ფიქტიკის მიწისქვეშოთი“, უნდა გაიაროს. მაგრამ თუნგი აქვე სვამს კითხვას, თუ რამდენად ძალუებს არა მხოლოდ პიკასოს პერსონაჟს, არამედ მთელ თანამედროვე ხელოვნებას ამ როული, მართლაცდა, პერიოკული მისიის შესრულება?

პიკასოს არლეკინმა, გმირმა-მასხარამ სრულად დაამსხვრია თავისი გარე საფარველი, ნაჭუჭი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გონება, ინტელექტი, საღი აზრი და, საზოგადოდ, სამყაროსადმი ცნობიერი, ვონებისმიერი მიმართების უნარი. ასე გამოვლინდა ხელოვნების ენით თანამედროვე ადამიანის უმწვავესი პრობლემა – ინტელექტისა და ცნობიერების კრიზისი!

ჰესიმისტური პათოსითაა გამსჭვალული იუნგის ნარკევერი „ულისეს მონოლოგი“. თუნგი იხილავს რა ჯეიშს ჯოისის „ულისეს“, მასში არა მხოლოდ ავტორის მწვავე ფიქტოლოგიურ პრობლემებს, არამედ მთელი ეპოქის თავისებურებებსაც ხედავს.

ჯოისის „ულისეს“, მისი ძეველბერძნი სეხნიასგან განსხვავებით, უკიდურესად პასიური ცნობიერების, სამყაროსადმი პასიური დამოკიდებულების გამოხატულებაა; ეს, ერთგვარად, თვალია, რომელსაც წარომეული აქვს არჩევნის უნარი და რომელიც ქაოტურ ზემოქმედებათა მორჩილი ტყვება. მთელი წიგნი (735 გვერდი) მოგვითხრობს ერთადერთ უსახურ დღეზე, რომლის განმავლობაშიც არაფერი ხდება. ეს სრულიად უიმედო სიცარიელეა! ჯოისის ნაწარმოებს იუნგმა მონსტრი უწოდა და მასში, ამ ლიტერატურულ სიურეალიზმში, არა მხოლოდ „ავადმყოფური ლუდლუდი“, არამედ ირონია და სარკაზმი დაინახა. სახეზეა არა მხოლოდ აზროვნების ატრიფიაც. უფრო მეტიც, იუნგი პარალელს ავლებს „ულისესა“ და შიზოფრენიულ აზროვნებას შორის და მიიჩნევს, რომ ჯოისის

წიგნი ყველაზე პათოლოგიური მოვლენაა თანამედროვე მოდერნისტულ ხელოვნებაში! ჯოისის რომანში, როგორც ჩვენი დროის კოლექტიურ მანიფესტში, გაცხადდა თანამედროვე ადამიანის პიროვნული რღვევა და ფრაგმენტირება, სხვა სიტყვებით, მასობრივი შიზოფრენია!

თანამედროვე ხელოვნება შემოქმედებასთან არსებითად აკავშირებს ნგრევას, რაც, თუნგის გაგებით, თანამედროვე კაცობრიობის სერიოზულ პრობლემათა ანარეკლია და გამოვლინება. ამ პრობლემათა შესაბამისად, „ულისეს“ წმინდა უარყოფაა, შემოქმედებითი ნგრევაა, უარის თქმაა მშვენიერებასა და საღ აზრზე.

კულტურული აპოკალიფსის მიზეზად თუნგი ტრადიციული იდეალების განხისტებასა (იდეალი, როგორც კანონი და იმპერატივი) და მათ მიერ ადამიანის სრულ გაკონტროლება- დამორჩილებას ხედავს. ტრადიციული იდეალები (ჭეშმარიტება, მშვენიერება, ზნეობა) დოგმატურობისა და იმპერატივულობის მიზეზით თანამედროვე ადამიანის ბორკილებად, ერთგვარ „მეტაფიზიკურ პოლიციად“ იქცა. ამიტომაც ცნობიერების (აზროვნებისა და ზნეობრივ-სოციალური კანონების) მკეთრი შუქით დაბრმავებულ თანამედროვე ადამიანს მხსნელად არაცნობიერის, ირაციონალურის (რომელიც სიცხადისა და კანონთაგან განდგომასაც გულისხმობს) სიბნელე ევლინება; ჯოისის „ულისეს“ ადამიანს ტრადიციულ ღირებულებათაგან (რომლებზედაც აქამდე იდგა ევროპული ცივილიზაცია) ან სულიერი ბორკილებისგან ათავისუფლებს. იუნგი დასძენს, რომ ავტორის სავსებით შეგნებული პროტესტისა და მიზანმიმართული მოქმედების გამო „ულისეს“ სრულიად არა იმ ბოლო ური ქმნილებაა! შესაბამისად, იგია ცნობიერების წინააღმდეგ გაბრძოლება ცნობიერებისავე მეთოდებით! ჯოისი რეალობისადმი ცნობიერ, შემეცნებით თუ ცხად დამოკიდებულებას ისევ და ისევ ცნობიერისათვის დამახასიათებელი ხერხებით უპირისპირდება და ამით კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს თანამედროვე ადამიანსა და მისავე არაცნობიერ ფიქტიკას შორის. ჯოისის მხატვრული არჩევანი ხელს უწყობს რეალობის ხატოვან-სიმბოლური ან მხატვრული აღქმის უნარის დაკარგვას.

კ. იუნგის თეორიამ მნიშვნელოვნი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე, არამედ ასევე – თანამედროვე ხელოვნებაზეც. იუნგის მიმდევარ ხელოვანთა შორის უნდა

დასახელდნენ პერმან პესე, თომას მანი, ფედერიკო ფელინი, ინგმარ ბერგმანი, ჯექსონ პოლოკი და სხვანი; ისინი, ვინც ქმნიდნენ XX საუკუნის ხელოვნებას.

## თავი VI

### ს ელოვების თეორია იუნის ფიქტოლოგიურ საოლაში

პ. ოუნგის იდეები მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა განავითარეს. განსაკუთრებით პროლუქტიული იუნგის სიმბოლოს გაგება აღმოჩნდა. ერთ ნოიმანი მიიჩნევს, რომ ხელოვნება სიმბოლურ ენასთან იმანენტურ, საწყისეულ კავშირში იმყოფება. ჯერ კიდევ კლდის ფერწერაში ბიზონის გამოსახულება მხოლოდ ერთი შეხედვითაა რეალისტური. ბიზონის „რეალისტური“ გამოსახულება ასახვს არა იმდენად კონკრეტულ ცხოველს, რამდენადაც „ბიზონთა მამას“, ბიზონის იდეას და რიტუალის ობიექტს. ამავე დროს, ნოიმანი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს არაცნობიერი შემოქმედებითი ფუნქციის სპონტანურობასა და მის თვით-გამოვლენის (თვით-აქტუალიზაციის) უნარს (58).

ერთ ნოიმანის შეხედულებით სიმბოლო, ცნობიერ და ლოგიკურ კონცეპციათაგან განსხვავებით, უფრო რთული რეალობის ასახვას ემსახურება. არაცნობიერის მოქმედება თანამედროვე „ცნობიერების ცივილიზაციას“ აბალანსებს და ავსებს. აღნიშნული ბალანსის რღვევა და არაცნობიერი ძალების ატრიფია ცნობიერების როლის გაზვიადებას იწვევს. კერძოდ, ცნობიერი დოგმატური და ფანატური, თვითგმარი და გარეშესაგან იზოლირებული ხდება. ამგვარი დისბალანსი „არაცნობიერი რელიგიების“ სტიმულირების მიზეზადაც იქცევა, როგორიცაა ფროიდის „ფსიქოანალიზი“ ან, უფრო დიდი მაშტაბით, ნაციზმი და კომუნიზმი. ამ დოგმათა ძირები არქეტიპულ ხატებში ძევს. შესაბამისად, ცნობიერება შეუმჩნევლად ითრგუნება იმ ძალების მიერვე, რომელსაც უარყოფს და განდვენის, რასაც საბოლოო ჯამში, ცნობიერების რეგრესა და რღვევამდე მივყავართ; არაცნობიერი ძალების უარყოფით ცნობიერი ამ ძალთა მსხვერპლად იქცევა! (58,59).

როგორც ვხედავთ, ნოიმანის ნაშრომში არაცნობიერის „რეაბილიტაციას“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. შესაბამისად, ავტორი არაცნობიერისთვის დამახასიათებელი სიმბოლური ენის რეაბილიტაციასაც ცდილობს. სიმბოლო მნიშვნელობით დამუხტული ხატია, რომელიც რეალობის პირველადსა და

მთლიანობით განცდას იძლევა. იმ განცდას, რომელსაც სრულიად მოკლებულია თანამედროვე ადამიანის განმანაწევრებელი ცნობიერება. სიმბოლო ერთიანი რეალობის განცდის საფუძველია, რომელშიც ჯერ არაა ერთმანეთისგან გადიფერენცირებული გარებანი და შინაგანი, ობიექტური და სუბიექტური.

სიმბოლოთა სამყარო მუდმივი ტრანსფორმაციისა და ქმნადობის სამყაროა, რომლის აღმის უნარით შემოქმედი (ან ქრეატული) პიროვნებები ხასიათდებიან. საინტერსოა, რომ მუდმივი ქმნადობის, ქრეატულობის ან ფსიქოლოგიური ღიაობის სტატუსს ავტორი ფემინურობასთან ან ანიმასთან აკავშირებს. ანიმა ტრანსფორმაციის მოტივია. შემოქმედებათი უნარები (ტრანსფორმაციის ნება) ადაპტაციურ სირთულეებს, ფიზიკურ თუ სოციალურ გარემოსთან შეგუების პრობლემებს უკავშირდება და არაცნობიერი ქალურობიდან მომდინარეობს.

იუნგიანელი ავტორი, ხელოვნების მეცნიერებარი ანიელა იაფე ხაზს უსვამს სიმბოლოს უნივერსალობას და აღნიშნავს, რომ სიმბოლურია არა მთლიან ხელოვნება (რომელიც როგორც ხილულ, ცხად, ასევე ფარულსა და არაცნობიერ ასპექტებს შეიცავს), არამედ მთლიან სამყაროც, „მთელი კოსმოსი პოტენციური სიმბოლოა!“

ადამიანს სიმბოლოთა შექმნის სპეციფიური მიდრეკილება გამოარჩევს; ეს ადამიანისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა. ფორმების, საგნებისა და მოვლენების სიმბოლოებად გარდაქცევით, ადამიანი ზრდის მათ ფსიქოლოგიურ მუხტს, რათა შემდგომ ეს უკანასკნელი რელიგიასა და ხელოვნებაში ჩართოს(60).

ავტორი იხილავს სამ სიმბოლოს: ქვას, ცხროველსა და წრეს. ასე მაგალითად, ქვა ოდითგანვე სულების ადგილსამყოფლად და რელიგიური თაყვანისცემის ობიექტად მიზნებიდა. ასეთია „წმინდა ქვები“ (ჩურინგბი) პირველყოფილ ხელოვნებაში, ასეთივეა წარმართული კერპები. ქვისადმის ფორმის მინიჭებით ადამიანი ცდილობდა გამოეხატა ის, რასაც ქვის „სულად“ მიზნევდა. სწორედ ეს გარემოება იქცა, იაფეს გაგებით, სკულპტურის ხელოვნების აღმოცენების პირობად.

ხელოვნების დარგები აქტიურად მიმართავენ სიმბოლოებს და მათ დამუშავებას ახდენენ. მაგალითად, არქიტექტურაში აქტიურად გამოიყენება წრის, ჯვრისა და სამკუთხევის სიმბოლიკა; არქიტექტურა ფაქტობრივად, ეფუძნება და ეყრდნობა აღნიშნულ სიმბოლოებს.

მაგალითად, ქრისტიანული ტაძრების სიმბოლურ და რელიგიურ საფუძველს ჯვარი შეადგენს (ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები), რომელიც არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ საზოგადო, უნივერსალური სიმბოლო.

პლუტარქეს მიხედვით, რომის აშენებას წინ უსწრებდა სიმბოლოებთან დაკავშირებული რთული რელიგიური რიტუალი. რომელმა ამოათხრევინა მრგვალი ორმო, რომელშიც შესაწირი – ხეთა ნაყოფი – მოათავსეს. შემდეგ თითოეული ადამიანი მასში მუჭა მიწას ყრიდა. ორმოს ეწოდა „მუნდუსი“, ანუ კოსმოსი, რომლის გარშემოც რომელმა გუთით (რომელშიც შეაბა ხარი და ძროხა) წრე, ქალაქის მისტიური საზღვარი შემოხაზა. რომის, მსოფლიო ცენტრის, დაგეგმარება, როგორც ვხდავთ, არქეტიპებსა (ძირითადში წრის არქეტიპს) და მათგან გამომდინარე მისტერიებს უკავშირდება(60).

იაფე აღნიშნავს, რომ ქალაქთა უმტესობა მანდალის პრინციპზე იგბოდა. ამით ქალაქი მოწესრიგბობულ კოსმოსად, წმინდა ალაგად „გარდაიქნებოდა“ და თავისი ცენტრით იმქვეყნიურ, მარადიულ სამყაროსთან კავშირდებოდა.

ავტორი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც გეგმის მიხედვით მანდალას (ღვთაებრივ წრეს) წარმოადგენს, არქეტიპულად ადამიანის ფსიქიკას ასახეს. ქალაქი, ციხესიმაგრე და ტაძარი – ფსიქური მთლიანობის სიმბოლოებია და სწორედ ამიტომაც ახდენენ ასეთ ძლიერ ზემოქმედებას ადამიანზე. იაფე ხაზს უსვამს, რომ არქეტიპული პრინციპით (არქეტიპთა გამოყენებით) ნაგებობათა და მთლიანად ქალაქების დაგეგმარება ძირითადში არქეტიპთა მიერ თვითგამოვლენისა და თვითაქტივუციის ძალით წარმოებს.

იაფე საგანგებოდ ჩერდება ქრისტიანული ხელოვნების მთავარ სიმბოლოზე. ჯვარი და ჯვარცმა დიდი ხნის მანძილზე (კაროლინგების ეპოქამდე) ევროპულ ხელოვნებაში ე.წ. ბერძნული ჯვრის ან ტოლვერდა ჯვრის (ასეთ ჯვარში ცენტრიდან გამავალი ფერდები ერთმანეთის ტოლია) სახეს ატარებდა. ჯვრის აღნიშნული სახე, მისი ფორმიდან გამომდინარე, პარმონიის, შინაგანი გაწონასწორების სიმბოლო.

მოგვიანებით ხელოვნება მიმართავს განსხვავებული სახის, პერძოდ, ე.წ. ლათინურ ჯვარს, რომლის ცენტრიც ზევითკენაა აწეული და ქვედა ფერდი სიგრძით დანარჩენ ფერდებს საგრძნობლად

აღნებატება, ახლა ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო ადამიანის მიწისან მიწყვეტასა და სულიერებისაკენ სწრაფვას გამოხატავდა. ამ სწრაფვამ აპოგეას შეუ საუკუნეებში მიაღწია, რისი გამოხატულებაცა გოთური ტაძრების სიმაღლეში მატება, ლტოლვა ზეცისკენ და მიწიერისადმი ზურგის შექცევა. გოთური ტაძრების არქიტექტურა ეფუძნება ლათინურ, „წაგრძელებულ“ ჯვარს და ამით ეპოქის ასკეტური სულისკვეთების ამსახველია.

რენესანსის ეპოქაში ადამიანი მიწას უბრუნდება, ხელახლა ახდენს ბუნებისა და სხეულის სილამაზის აღმოჩენას და იარაღდება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნით. შესაბამისად, ხელოვნება რეალისტური და გრძნობიერი ხდება. იაფეს შეხედულებით, აღორძინების ეპოქის ჰარმონიული ადამიანის მსოფლშეგრძნების ასახვა ამ პერიოდში აგებული მრგვალი ტაძრები (როტონდები). ავტორისთვის საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სწორედ აღორძინების ეპოქაში ხდება ქრისტიანული არქიტექტურისთვის უპრეცენდენტო მოვლენა – საკურთხევლის ტაძრის ცენტრში განთავსება (და არა ტაძრის ერთ-ერთ კედელთან); ასეთია ბრამბლტესა და მიქელანჯელოს მიერ აგებული სახელგათხმებული „წმინდა პეტრეს ტაძარი“, რომელიც მთელი აღორძინების ეპოქის კულმინაციად, მის გვირგვინად მიიჩნევა. საგულისხმოა, რომ სწორედ აღნიშნული ტაძარია მთელი კაოლიკური სამყაროს ცენტრი.

თანამედროვე ხელოვნების არსად წრისა და, საზოგადოდ, არქეტიპული ფორმების შეგნებული დეფორმირება და ასიმეტრია იქცა. კლასიკურ ფორმათა, არქეტიპთა და სიმბოლოთა რღვევა – ასეთია თანამედროვე ხელოვნების პრინციპი! ნგრევის ამ იმპულსს იაფე თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების ანარეკლად და გამოვლინებად მიიჩნევს.

კ. იუნგის სკოლის პოზიციას და მის განსხვავებას ფრონდის შეხედულებებისაგან ნათლად ასახვს ერიკ ნოიმანის ნარკვევი “ლეონარდო და ვინჩი და დედის არქეტიპი”. ზ. ფრონდი ლეონარდოს ფენომენის გასაღებს თავად ლეონარდოს პირადი გამოცდილების, მისი ფსიქოლოგიური ბიოგრაფიის, ოჯახური კავშირების თავისებურებებში ხდავდა. ასე მაგალითად, მონა ლიზას ღიმილი ფრონდის ლეონარდოს დედის, კატარინას ღიმილს და ადრეული ბავშვობის მოგონებებს დაუკავშირა; მან შედევრი აღიქვა, როგორც დედა-შვილობის განდიდება. ფრონდის პოზიციისგან განსხვავებით,

კ. იუნგის სკოლა ამოსავალ წერტილად არქეტიპებს, კოლექტიური არაცნობიერის უნივერსალურ, ზეპიროვნულსა და ზედროულ კომპონენტებს მიიჩნევს. ლეონარდოს შემოქმედების ანალიზისას ნოიმანი არა კონკრეტულად ლეონარდის დედის სატიო, არმედ ზოგადად დედის არქეტიპით ხელმძღვანელობს. ე. ნოიმანის აზრით, “ქალური პრინციპი” განსაკუთრებული უნიკალობით სწორედ “მონა ლიზას” შემთხვევაში ვლინდება, რომელიც აქ აისახება არა როგორც ქალღმერთი, არამედ როგორც აღამიანის სული ან როგორც ზეციური და მიწიერი საწყისების ახალი მთლიანობა; ეს ანიმა, მარადიული ქალური საწყისი. სწორედ ამ ახალ მთლიანობასა და მის იდუმალ ღიმილს უკავშირებს ნოიმანი ეროსის ახალ და უმაღლეს განცდას.

კ.იუნგის ხელოვნების ფსიქოლოგიის ამოსავალია შეხედულება, რომ შემოქმედებით ადამიანში არქეტიპები განსაკუთრებულ ძალასა და მნიშვნელობას იძენენ. შემოქმედში არქეტიპული ფაქტორი მის პირად შეგრძნებებსა და განცდებზე ღიმინირებს. ამიტომაც კოლექტიურ არაცნობიერს შემოქმედებითი არაცნობიერის სახელითაც მოიხსენიებენ. არქეტიპულ სამყარისთან განსაკუთრებული კავშირის გამო, შემოქმედი ამ სამყაროს ობიექტად, მის ინსტრუმენტად იქცევა. ეს გარემოება სოციუმისაგან მის გაუცხოვებასა და საკუთარ ეგო-ზე ცენტრირებას იწვევს (რასაც ზ. ფორიდი ნარცისიზმის სახით მოიხსენიებს). ე. ნოიმანი მიუთითებს, რომ მამაკაცის ნორმალური განვითარების შემთხვევაში მისი “ქალური კომპონენტი” ითრგუნება და არაცნობიერის ქალურ საწყისს (ანიმას) უკავშირდება. ხოლო შემოქმედი პიროვნების შემთხვევაში ეს პირცესი არ სრულდება; შენარჩუნებული ქალური კომპონენტი მაღალი მგრძნობელობისა (სენსიტიურობისა) და ეწ. “მატრიარქალური ცნობიერების” სახით ვლონდება. შემოქმედი დუალური ბუნებისაა, მასში ქალური და მამაკაცური საწყისები ერთმანეთს ერწყმის. შემოქმედზე იძენად ძლიერია დედის არქეტიპის ზეგავლენა, რომ იგი ვერ თავისუფლდება ქალური საწყისისაგან და ვერ აზღვნს მის ჩართვას არაცნობიერში. არაშემოქმედებითი პიროვნება შემოქმედებით შესაძლებლობებს წირავს ადაპტაციის სანაცვლოდ და შემოქმედებითი პიტენციის დათრგუნვის ხარჯზე ადაპტირდება სოციუმიან. მისგან განსხვავებით, შემოქმედი არა სოციუმიან და რეალობასთან ახდენს ადაპტირებას, არამედ საკუთარსავე არაცნობიერთან, რის საზღაურადაც მისი მარტოობა იქცევა.

ე. ნოიმანი დედის არქეტიპთან მიმართებაში განიხილავს ლეონარდოს შედევრებს “მადონა მღვიმეში”, “წმინდა ანა ღვთისმშობელთან და ყრმა იესოსთან ერთად”, “მონა ლიზა”. თუკი ზ. ფროიდ ლეონარდოს ქმნილებას “წმინდა ანა ღვთისმშობელთან და ყრმა იესოსთან ერთად” დედისა და დედობილის (ბიოლოგიური და გამზრდელი დედების) მიმართ მხატვრის დამოკიდებულებას უკავშირებს, ნოიმანი და საზოგადოდ, კ.იუნგის სკოლა ამ შემთხვევაშიც არქეტიპებზე და სახელდობრ, დედის არქეტიპზე და მის ვარიაციაზე მსჯელობს. საგულისხმოა ე. ნოიმანის მოსაზრებები შედევრთან “მადონა მღვიმეში” დაკავშირებით. როგორც ავტორი აღნიშნავს, აქ პირველადაა ასახული მადონა მიწისქეშა მღვიმეში, სიბნელეში, “პანისა და ნიმუშების თავშესაფარში”; ღვთისმშობელი აქ დედა-მიწის ან დედა-ბუნების წიაღშია წარმოდგენილი. შესაბამისად, დედის არქეტიპი ზეცისა და მიწის გამოლიანებულ სიმბოლოდ, “მარად მქმნად ქალღმერთად” იქცევა.

## თავი VII

### სელოვების საკითხებთან დაკავშირებული კვლევები განვითარების ფილოგრაფიის შემთხვევაში

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასთან კავშირდება, რომელიც დღესაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას მისი დამარცხებლის იდეებისა და შეხედულებების შემდგომი განვითარებისა და ემპირიულ-ექსპერიმენტული განმტკიცების მიმართულებით(61,62,63,64).

დ. უზნაძე საკუთარ შეხედულებას ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით აყალიბებს ნაშრომშიც “ბაგჟვის ფისიქოლოგია”, რომელსაც ქცევის ფორმებისა და ეწ-ფუნქციონალური მოთხოვნილების მოძღვრებასთან მიმართებაში წარმოადგენს.

ქცევის მრავალფეროვან ფორმებს განწყობის ფსიქოლოგიის ავტორი ორ მირითად კატეგორიად, ექსტეროგენურ და ინტროგენურ ქცევის ფორმებად, აჯგუფებს.

ექსტეროგენური ქცევა გარეგან სტიმულზე ან ობიექტზეა მიმართული. ის კონკრეტული საგნობრივი მოთხოვნილებით აღიძვრის და მოთხოვნილებისადმი რელევანტური, შესაბამისი ობიექტისადმი (ობიექტისადმი) მიიმართება. ექსტეროგენურ ქცევას საფუძვლად ედება მოთხოვნილება, რომლის რეალიზება-დაკმაყოფილება გარკვეულ ობიექტთან (ობიექტებთან) კავშირდება. ასეთი კატეგორიის ქცევა მოთხოვნილების დაგმაყოფილებისთანავე ან რელევანტური ობიექტის მოპოვებისთანავე წყდება. მაგალითად, შიმშილით აღმრული ქცევა ექსტეროგენურია, საკვების მოპოვება-მიღებასა და შიმშილის დაკმაყოფილებაზეა მიმართული. აღნიშნული ქცევა აღნიშნული მოთხოვნილების რეალიზების შემდეგ წყდება და სრულდება.

დ. უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით, ექსტეროგენურ ქცევებს მიეკუთვნება: ა.მოხმარება – ქცევა, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. მაგალითად, საკვების მიღება შიმშილის დროს. ბ. მოვლა და მომსახურება (საკუთარი თავის თუ სხვა ადამიანის) – ქცევა, რომელიც არაპირდაპირი სახით აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მაგალითად, საკვები პროდუქტების ჰიგიენური დამუშავება

კვების მოთხოვნილების არაპირდაპირ დაკმაყოფილებას ემსახურება. გ. შრომა და საქმე (ფიზიკური და გონებრივი) – სუბიექტის სიტუაციური, აქტუალური მოთხოვნილების გარეშე მიმდინარეობს. შესაბამის, შრომის პროდუქტი სცილდება სუბიექტური ღირებულების ფარგლებს და “ობიექტურ მნიშვნელობას” იძენს. შრომა, როგორც ქცევის წმინდა ადამიანური ფორმა მოთხოვნილების იდეასთან ან სამომავლო, პერსპექტულ მოთხოვნილებასთან (და არა აქტუალურ, სიტუაციურ მოთხოვნილებასთან) კავშირდება.

ინტროგენური ქცევის ფენომენში რამდენიმე ძირითადი ნიშანი გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, ინტროგენური ქცევა აქტუალურ საგნობრივ მოთხოვნილებისა და კონკრეტულ ობიექტზე ცალსახა ინტენცია – მიმართულების ფარგლებს სცილდება. ის “შინაგან-პიროვნული” წარმომავლობის ქცევას და კავშირდება არა საგნობრივ მოთხოვნილებასთან, არამედ უნივერსალურ ფუნქციონალურ ტენდენციასთან. ინტროგენური ქცევის სტიმულირებას ფუნქციონალური ტენდენცია ან აქტივობის, ფუნქციონირების მოთხოვნილება ახდენს.

ყველაზე სრულად ფუნქციონალური ტენდენცია თავს თამაშის დროს ავლენს. საგულისხმოა, რომ ფუნქციონალური ტენდენციის თეორიას დ. უზნაძე თამაშის თეორიების კრიტიკული ანალიზისა და საკუთარი თამაშის თეორიის კონტექსტში აყალიბებს. თამაშის, როგორც ადამიანის ძალთა სპონტანურ, თავისუფალ მოქმედებას (“უსარგებლო” და “უაზრო” მოქმედებას) ინტროგენურ ქცევათა ჩამონათვალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; აღნიშნული კატეგორიის ქცევების სპეციფიკას თამაში განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ ასახავს. “თამაშის პროცესში ადამიანის შინაგანი ძალები რაიმე შინაარსეული მოთხოვნილების აქტუალური ზეგავლენით როდი აღიძგრიან სამოქმედოდ, არამედ საკუთარი შინაგანი იმპულსით.” (გვ.430). დ. უზნაძის თამაშის თეორიის მიხედვით, თამაში ბიოლოგიურად არა აქტუალური შესაძლებლობების ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივაციაა.

ამავე დროს, თამაში ქცევის ყველაზე გენერალური, ზოგადი სახეა; მასში ქცევის ყველა შესაძლო ფორმის ინტერფენქციონალური კომპლექსები ჩაერთვის. თამაშის სახით ქცევის ყველა სხვა დანარჩენმა ფორმამ (მოხმარება, მოშააბურება, მოვლა შრომა) შეიძლება იჩინოს თავი; ქცევის ნებისმიერი ფორმა “თამაშდება”.

მაგალითად, ბავშვება შეიძლება ესა თუ ის პროფესიული საქმიანობა (ექიმის, მძღოლის, პედაგოგის და სხვ.) გაითამაშოს.

თამაში, როგორც ქცევის საეციფიკური ფორმა, მხოლოდ ბავშვობის პერიოდთან როდი კავშირდება. ქცევის ინტროგენური ფორმები ადამიანის განვითარების ნებისმიერი ეტაპისთვის არის დამახასიათებელი. “მარტო ექსტროგენური აქტივობის ამარა ადამიანის ძალთა განვითარება უფრო ცალმხრივად წარიმართებოდა: ძალთა თავისუფალი თამაში აბსოლუტურად აუცილებელია ადამიანისათვის” (431). აქტუალური საგნობრივი მოთხოვნილებებისაგან თავისუფალ ზრდასრულ ადამიანს “ძალთა თავისუფალი გამოვლენა” მხოლოდ თამაშის სახით არ ეძლევა. თუმცა, ფუნქციონალური ტენდენციის მიერ სტიმულირებულ ნებისმიერ ინტროგენურ ქცევას პირობითად თამაში შეიძლება ეწოდოს. ძირითად ინტროგენურ ქცევებს შორის გამოიყოფა: თამაში, მხატვრული შემოქმედება, ესთეტიკური ტებობა, სპორტი, გარობა. უზნაძის შეხედულებიდან გამომდინარე, ინტროგენური ქცევის ნებისმიერ სახეს, მათ შორის მხატვრულ შემოქმედებასა და ესთეტიკურ ტებობას, თამაში შეიძლება ეწოდოს.

დ. უზნაძე აღიფერენცირებს და აანალიზებს თამაშის განსხვავებულ სახეებსა და ფორმებს. განწყობის ფსიქოლოგიის ავტორის მიხედვით, “ნაძვილი თამაში” ყოველთვის იღუზის თამაშია და ფანტაზია-წარმოსახვასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, თამაში თავისით, ბუნებრივად გადადის მხატვრულ შემოქმედებაში. იღუზის თამაში აღსანიშნ – აღმნიშვნელის კომბლექსსა და სიმბოლოს ფენომენს ეფუძნება. აქ სიმბოლოდ იქცევა არა მხოლოდ ობიექტები, არამედ მოქმედი პირები და თავად მოქმედებაც. მაგალითად, “მანქანობანას” დროს სკამი – ავტომობილია, ბურთი – საჭე, სათამაშო დათვი – მგზავრი და სხვა. იღუზის თამაშის ფორმებისგან დ. უზნაძე აღიფერენცირებს ე.წ. როლურ თამაშს, რომელშიც მთავარი ყურადღება მე-ს ცვლილებებზეა მიმართული; მოთამაშე სხვადასხვა (დედის, შვილის, ამხანაგის, მეზობლის დას ხვ) როლებს ასრულებს. თამაშის განსხვავებული სახეებისადმი მიმართვით ბავშვი აქტივურად ავითარებს საკუთარ ფსიქო-ფიზიკურ რესურსებსა და შესაძლებლობებს. ბავშვობის ასაჭი თამაშის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ადგილის გამო უზნაძე თამაშის განწყობის

ფერნომერზე მიუთითებს, რომელსაც სინამდვილის (რეალობის) განწყობას უპირისპირებს. იგი აღნიშნავს, რომ ასაკის მატებასთან ერთად თამაშის განწყობის სინამდვილის განწყობით ჩანაცვლება ხდება.

მიუხედვად იმისა, რომ მხატვრული შემოქმედების პროდუქტი ობიექტური ღირებულებისაა, აღნიშნული ქცევის სტიმულს უზნააქ მაინც პიროვნების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში და კერძოდ, ფუნქციონალურ ტენდენციაში ხდავს. ხელოვნება არა ობიექტურად არსებული რეალობის აღექვატურ გამოსახვას ემსახურება, არამედ თავად ხელოვანის პიროვნულ განწყობათა გამოხატვის მიზანს. “ხელოვნება შინაგანის განსახიერების ფორმა” (438). ხელოვნება არ იძლევა სინამდვილის ფოტოგრაფიულ სურათს და ეს არც წარმოადგნს მის ამოცანას. ხელოვნება სინამდვილის ახალ ფორმებს ქმნის, როგორც ხელოვანის განწყობათა ობიექტივაციას. მხატვრული შემოქმედების მიპული ხელოვანის განწყობათა განსახიერებისადმი, მათ დასრულებასა და რეალიზაციისადმი მისწრაფებაში უნდა ვეძიოთ. “შემოქმედება მხატვრის განწყობათა აღექვატური განსახიერებისათვის ბრძოლაში მდგომარეობს” (438).

მხატვრული შემოქმედება სხვა ინტროგენური ქცევებისაგან რიგი ნიშნებით განსხვავდება, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მხატვრული პროდუქტის მნიშვნელობა იძენს. ხელივანის ფუნქციონალური ტენდენციის რეალიზება სწორედ მხატვრული პროდუქტის თვისობრივ მახასიათებლებთან და მათ სუბიექტურ ასახვასთან კავშირდება. კერძოდ, იმასთან, თუ როგორ აღიქმება და ფასდება მხატვრული პროდუქტი და თავად შემოქმედებითი პროცესი შემოქმედის მიერ.

დორეულ, ფილოსოფიურ შრომებში დ. უზნააქ ესთეტიკის საკითხებს არაერთგზის მიმართავს (62). დ. უზნაას მიხედვით, ფილოსოფიასა და ხელოვნებას საფუძვლად საერთო დეტრმინანტი ეღვა, რომელსაც ავტორი ადამიანისა და სამყაროს ამოცანის ან სამყაროს პრობლემის იდუმლებას (რომელიც წმინდა ეჭვისტენციალური პრობლემაა, ადამიანის რაობასთან, სამყაროში მის ადგილთან დაკავშირებული) უწოდებს. ფილოსოფია და ხელოვნება აღნიშნული პრობლემითაა „დაავადებული“, რაც უნივერსალური ამოცანა-პრობლემის გამძლეობულ შეგრძებასა და მისი გადაწყვეტისკენ სწრაფვას გულისხმობს. თუკი ფილოსოფია ამ მზნით ლოგიკურ აზროვნებას მიმართავს, ხელოვნების იარაღად თვალსაჩინო ხატები და წარმოდგენები იქცევა.

დ. უზნააქ მიიჩნევს, რომ მხატვრული შემოქმედების შეფასებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს მასში „მსოფლიო ფარული ამოცანის“ (ან მსოფლიო საზრისის, სამყაროს უნივერსალური აზრის) განცდის სიძლიერე; ადამიანს პოეტად სწორედ ეს უნიკალური განცდა აქცევს.

როგორც ფილოსოფია, ასევე ხელოვნებაც არ შემოიფარგლება სამყაროს მხოლოდ თვალსაჩინო, გარეგანი ასევე ტით და მის წიაღში არსებული, ფარული აზრის გახსნისადმია მიმართული. ორივე მათგანი სამყაროს შემცირებას (მსოფლიო ამოცანის ამოხსნას) მხოლოდ მათვის დამახასიათებელი და უნიკალური ხერხითა თუ მეთოდებით ახდენს; ხელოვანი „მსოფლიო ფარულ არსს“ წვდება ლოგიკის დაუხმარებლად, უშაულო წვდომის, ინტუიციისა და განცდის დახმარებით. შესაბამისად, მხატვრულ ქმნილებაში უნდა ვეძიოთ ხელოვანის გარკვეული მსოფლშეგრძნება, როგორც ამ ქმნილების შინაარსი, გამოვლენილი გარკვეული მხატვრული ფორმის დახმარებით.

ნარკვევში „არათაშვილის ლირის მოტივები“ დ. უზნააქ ადამიანში არსებულ ორ, ერთმანეთისადმი ანტიპოდურ საწყისზე წერს. პირველი აქტიური ბუნებისაა, გონებასა და ნებელობასთან დაკავშირებული ქმედითი ძალაა, რომელიც ადამიანის არსებით თავისებურებას წარმოადგენს და მას მკვირად მიჯნავს ცხოველთა სამყაროსგან. მეორე საწყისი პასიურია და საერთო ბიოლოგიურ გრძნობიერებას (ხორციელებას) და შესაბამისად, შეზღუდულობას, უძლურებასა და დროულობას უკავშირდება. ორ ძალას (გონით-სულიერსა და ბიოლოგიურ საწყისებს) შორის მუდმივი ბრძოლაა და შეპირისპირება, რაც ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნების არსებითსა და დრამატულ თავისებურებას ასახავს. ადამიანში აქტიურ (შემოქმედებით) და პასიურ (მატერიალურ) ძალათა დაპირისპირება მსოფლიო ისტორიული განვითარების საფუძვლად იქცევა. აღნიშნული დაპირისპირება განსაკუთრებულ სიმძაფრეს გენიალური ადამიანის ფსიქიკაში იძენს და ვლინდება, როგორც არარაობის გრძნობისა და მარადისობისგან ლტოლვის ანტაგონიზმი (62,67). (შეადარე. ფროიდის გაგებით, გენიოსის ფსიქიკაში ერთმანეთს ცნობიერი და არაცნობიერი ძალები, ინსტინქტი და ინტელექტი უპირისპირდება).

ტრადიციული შეხედულება, რომ „გმირი – სულის მაქსიმუმია!“ შეიძლება მიეწეროს შემოქმედ, ხელოვან ადამიანსაც, რადგანაც

სწორედ მის ფსიქიკაში იძენს განსაკუთრებულ ინტენსივობასა და ძალას საერთო საკაცობრიო განცდები თუ იღები.

ბარათაშვილის „მერანს“ უზნაძეს „გრძნეულ გრძნობათა“ ან მიწიერი (ბიოლოგიური) საწყისის ძლევის სახით წარმოგვიდგენს; მერნის ჭენება ადამიანის შემოქმედებითი, აქტიური საწყისის განთავისუფლების სიმბოლოა! („შენს ჭენებას არა აქვს სამძღვარი“). ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“ ხორციელი ამაოების დათრგუნვა არა მისგან აქტიური გაქცევით და არა შემოქმედებით, არამედ ესთეტიკური ტებობით მიიღწევა. („ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთა შვება არა იპოვნოს და არ დახსნას გულს ვაება“).

ესთეტიკური ტებობა განწყობის ფსიქოლოგიის ავტორს წუთისოფელზე, ყოფაზე, ამაოებაზე ამაღლებისა და განუსაზღვრულთან (უნივერსუმთან) ზიარების სახით წარმოუდგება. ესთეტიკური ტებობა თავისი არსით შემოქმედებაა და ესთეტიკური აღქმა კრეატულია; შემოქმედების პროცესში აქტიურადაა ჩართული არა მხოლოდ კრეატორი, არამედ მისი აღქმელი – რეციპიენტიც. უზნაძე ესთეტიკური ტებობის პლატონისულ განმარტებას გვთვავაზობს და აღნიშნავს, რომ ის, უწინარესად, „გრძნეულ გრძნობათაგან“ ან ბიოლოგიურ ვნებათაგან (ხორციელისგან) განთავისუფლებაში მდგომარეობს(62).

დ. უზნაძე იხილავს შემოქმედებით ძალთა სტიმულირების საკითხსაც. მისი აზრით, შემოქმედების იმპულსი და შემოქმედებითი ენერგიის წყარო ხელოვნების ნაწარმოებისა და მხატვრული სიმბოლოს ორმაგ ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ეს უკანასკნელი კონკრეტულიცა და აბსტრაქტულიც (ზოგადიც). მაგალითად, იღია ჭავჭავაძის განდევილი (როგორც მხატვრული სახე) არა იმდენად კონკრეტული ადამიანია, რამდენადაც აბსტრაქტულ-ზოგადი და სიბოლოური. საზოგადოდ, მხატვრული ნაწარმოები ერთიანი სიმბოლოა, გარკვეული შინაგანი აზრისა და მნიშვნელობის მატარებელია და სწორედ ამიტომაც იწვევს შემოქმედებით ძალთა აქტივირებას; სიმბოლო – შემოქმედების იმპულსად, მის ძრავად იქცევა!

უზნაძის მოსაზრებით, მხატვრულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ესთეტიკური ეძოცა, თვეისი აქტიური ბუნებიდან გამომდინარე, იმთავოთვე შეიცავს აქტიურად კრეატულ, შემოქმედებით ასპექტებს და მხატვრული მოქმედების იმპულსად იქცევა; რეციპიენტი ერთიან

შემოქმედებით პროცესში ჩაერთვის და მის მონაწილედ იქცევა (68).

როგორც ვხედავთ, უზნაძის მოსაზრება იუნგის ფსიქოლოგიური სკოლის შეხედულებათა ანალოგიურია; როგორც კრეაციისა და აქტიური შემოქმედების, ასევე რეცეპციის, მსატვრული აღქმის შემთხვევაშიც სიმბოლოს აქტიური, მასტიმულირებელი ძალა ენიჭება! უფრო მეტიც, უზნაძის განმარტებით, მხატვრული აღქმა შემოქმედების აქტიურ პროცესებთან უნდა იქნეს დაკავშირებული, როგორც ამ უკანასკნელთა თავისისტური სახე და ფორმა.

უზნაძე ერთმანეთისგან გამოყოფს ხელოვნების ესთეტიკურსა და ფილოსოფიურ კრიტიკას. თუკი ესთეტიკური კრიტიკა ხელოვნების ნაწარმოებში მახვილს კონკრეტულსა და ფორმალურ მხარეებზე (მხატვრული ფორმისა და მეთოდების საკითხებზე) აკეთებს, ფილოსოფიური კრიტიკა ხელოვნების აბსტრაქტული ან მსოფლმხედველობითი პრობლემებითაა დაინტერესებული.

განწყობის თეორიის ავტორი იხილავს ი. ჭავჭავაძის „განდევილის“ მთავარ მოტივს – ადამიანის ხორციელ და სულიერ საწყისთა შეპირისპირებას. თუკი სულის არსებითი ნიშანი აქტივობაა, სხეულს პასიურობის ნიშანი გამოარჩევს, წერს უზნაძე. ადამიანის სულის არსი ნების ფენომენში, როგორც აქტიურ, ქმედით საწყისში კლინდება. ნებას კავშირი არა აქვს ადამიანის ფიზიკურსა და პასიურ (ან დროულსა და შეზღუდულ) მხარესთან და აზროვნებისა და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვის იმპულსს შეადგნს.

უზნაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის ნებას ესთეტიკური, ეთიკური და ინტელექტუალური (როგორიცაა: მშვინიერება, მორალი და ჭეშმარიტება) დირექტულებებისადმი დღოლვა გამოარჩევს. შესაბამისად, ადამიანის ნება (ნებელობა) ესთეტიკურ, ინტელექტუალურსა და სამართლის (ზნეობის) სფეროებში კლინდება. ამავე დროს უზნაძე მიუთითებს, რომ ღირებულება (ან იდგა) მხოლოდ შეგრძნებათა და გრძნობათა ერთგვარი სინთეზია. „მაგალითად, სიკეთე ჩვენი გრძნობების ერთგვარი განწყობილება და მეტი არაფერი.“ ხოლო გრძნობა პასიურია, – დასტენს უზნაძე. მასალის (მაღალ ღირებულებათა) ეს პასიურობა ბოჭავს ნების აქტივობას და მას მკაცრ ჩარჩოებში მოაქცევს. სწორედ ამიტომაც ნება თავისი აბსოლუტური აქტივობით დამთავრებულ სრულყოფილებას ვერ წვდება, რაც ადამიანის არსებაში ძირითადი წანააღმდეგობის აღმოცენების პირობად იქცევა.

დ. უზნაძეს ესთეტიკის პრობლემები საკუთრივ განწყობის

თეორიის პრიზმიდან არ უკვლევია. მაგრამ, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უზნაძის ნაშრომი „ძილი და სიზმარი“, რომელშიც ავტორი ფანტაზიისა და წარმოსახვის ფენომენთა გაშუქებას გვთავაზობს.

სიზმრის ბურების ანალიზისას უზნაძე გამორჩეულ მნიშვნელობას მის სუბიექტურსა და ემოციონალურ შინაარს ანიჭებს. „ჩვენ გვინახავს, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, ნამდვილი და არა მხოლოდ წარმოსახული ემოციური განცდები გვქონდეს. ... გრძნობა, ემოცია აქტუალური განცდის სახით შედის სიზმრის შინაარსში“ (64. გვ. 39-40).

უზნაძის განმარტებით, სიზმარში ემოცია იმთავითვეა კავშირში ფანტაზიასთან. უფრო მეტიც, სიზმარი ფსიქიკური ფუნქციებიდან მხოლოდ წარმოსახვისა და ემოციის მუშაობას გულისხმობს. სიზმრისას ფანტაზიისა და ემოციის დომინანტის მთავარი მიზეზი შემდგომშია: დანარჩენი (შემცნებითი) ფსიქიკური ფუნქციები გარე სინამდვილესთან, რეალობასთან კონტაქტს გულისხმობენ; აღქმა და აზროვნება რეალურსა და ობიექტურ სინამდვილეზეა დაძოვიდებული. მათი დანიშნულება ობიექტური რეალობის აღექატური ასახვა.

ფანტაზია განსაკუთრებული ინტენსივობით ადამიანის გარემოსთან კონტაქტის გაწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს. შესაბამისად, ძილი „თვალისაჩინოდ აცხოველებს“ ფანტაზიის მოქმედებას. უზნაძის შეხედულებით, ემოცია კი არ განსაზღვრავს წარმოდგენასა და წარმოსახვით ხატებს, არამედ, პირიქით, ფანტაზიის წარმოდგენები ემოციათა აღმოცენების მიზეზად იქცევა. შესაბამისად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხატვრული შემოქმედების ფუნდამენტი ფანტაზიისა და ემოციათა სფეროს აქტივირება და კონიტური, შემცნებითი პროცესების (აზროვნებისა და აღქმის) როლის შესუსტება აგებს და აყალიბებს! შესაბამისად, შემოქმედება არა მხოლოდ უკავშირდება არაცნობიერ ფენომენებს, არამედ სწორედ აღნიშნული ფენომენებით აისხნება!

უზნაძე ერთმანეთს უპირისპირებს ცხადსა და სიზმარს და აღნიშნავს, რომ ცხადში აღამანი გარე, ობიექტური რეალობისადმი მიიმართება, ხილო ძილში ფსიქიკა თავადვე ქმნის სუბიექტურ რეალობას. ძილში ფსიქიკა უმოქმედო მდგომარეობაში არ რჩება და „თავისით“ იწყებს მოქმედებას; თვითონ „აგებს“ თავის საგანს,

ემორჩილება რა ე. წ. ფუნქციონალური ტენდენციის ზეგავლენას. „სიზმარი ფსიქიკისთვის აუცილიბელი საგნის საკუთარი ძალებით შემოქმედებისა და ფსიქიკურ შესაძლებლობათა თავისუფალი რეალიზაციის პროცესი“ (64. გვ. 59).

დ. უზნაძის „განწყობის თეორიაში“ მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ფუნქციონალური (ან აქტივობის) ტენდენციის ფუნდომენტს, რომელიც ადამიანში არსებული თანდაყოლილი, იმანებტური და თვითგამოვლენისადმი მიმართული ძალის სახით მოიაზრება (63,64,69). ფუნქციობის ტენდენციის მიზეზით აღამიანი მოქმედებასა და აქტივობას გარეგანი სტიმულირებისა და შინაგანი მოთხოვნილების გარეშეც იწყებს. ასე მაგალითად, თამაშის იმპულსი უზნაძის თეორიაში სწორედ ფუნქციობის ტენდენციით იხსნება; თამაშს სხვა, გარეშე მოთხოვნილება არ უკავშირდება; აღამიანი თამაშობს თამაშისთვის! თამაშს საფუძვლად ფსიქიკისთვის დამასასიათებელი თვით გამოვლენისა და თვით აქტივაციის უნარის მქონე ფუნქციონალური ტენდენცია ედება; თამაში ფსიქიკის თავისუფალი (და არა იძულებითი, გარეგანი თუ შინაგანი საჭიროებით სტიმულირებული) თვით გამოვლენის ფორმა (63,64).

დ. უზნაძე მიუთითებს, რომ ფუნქციონალური ტენდენციის ამოქმედებას არარეალიზებული (გამოვლენის გარეშე დარჩენილი) ფსიქიკური ფუნქციების არსებობა განსაზღვრავს. (შეადარე „ფსიქოანალიზში“ სიზმრისა და მხატვრული შემოქმედების არარეალიზებულ მოთხოვნილებებთან დაკავშირება).

სიზმრისა და ფუნქციობის ტენდენციას შორის კავშირისა და მიმართების იდეა შესაძლებელია დავუკავშიროთ მხატვრულ შემოქმედებასა და ხელოვნებასაც; ფუნქციობის ტენდენცია შეიძლება მოვაზროთ მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების ფუნდამენტშიც და მასში ვცნოთ აღამიანის მხატვრული მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძველი.

უზნაძის შეხედულებით, სიზმრის განმსაზღვრელი არაცნობიერი შინაარსები (ფუნქციობის ან აქტივობის ტენდენციები) არსებობენ არა როგორც განცდები, აზრები, სურვილები ან აფექტები, არამედ როგორც ამ უკანასკნელთა აქტივაციის, მათი ამოქმედების მზაობები და განწყობები. ფუნქციობის ტენდენციაში გარკვეული მიმართულებით აქტივობისა და გარკვეული განცდისადმი მიღრეცილება (განწყობა ან მზაობა) იგულისხმება. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ტერმინი „ფუნქციობის ტენდენცია“ განწყობის ფსიქოლოგიაში მხოლობით რიცხვში გამოიყენება, როგორც ფსიქიკისთვის დამახასიათებელი იმ ზოგადი ტენდენციის ამსახველი ტერმინი, რომელსაც აკონკრეტებს და გარკვეულ მიმართულებას ესა თუ ის კონკრეტული განწყობა ანიჭებს.

„ძილში ფსიქიკა თავად ქმნის თავის საგანს, მაგრამ როგორს და რა მიმართულებით, ამას ჩვენი სუბიექტური განწყობა განსაზღვრავს. სიზმრის შინაარსი ჩვენი სუბიექტური განწყობის პირდაპირი ფუნქციაა. და ეს იმიტომ, რომ თუ რა ფსიქიკურ ძალებს ესაჭიროება საგანი, ე. ი. რა ძალები განიცდიან ფუნქციონალური ტენდენციის განსაკუთრებით ცხოველ გავლენას, აქტუალიზაციის მოთხოვნილებას, ეს ჩვენს ცხადში გამოუვლინებელ განწყობებზეა დამოკიდებული“ (64. გვ. 61).

დ. უზნაძე აკონკრეტებს, თუ რა მიზეზით მიუთითებს სწორედ განწყობებზე და არა, თანამედროვე ფსიქოლოგიური ლიტერატურის შესაბამისად, არაცნობიერ სურვილებზე, აფექტებსა თუ კომპლექსებზე. უზნაძის აზრით, არაცნობიერი სურვილი, არაცნობიერი აფექტი თუ კომპლექსი (ფრთიდის ტერმინები) უაღრესად ჰიპოთეტური ცნებებია, რომლებიც „განცდის ნიშანს მოკლებულ განცდებს“ ასახავენ. მათგან განსხვავებით განწყობა იმ არაცნობიერ ფენომენს ასახვს, რომელიც სრულიად განსხვავდება ცონიბიერი განცდებისაგნ; ის არც სურვილია, არც აფექტი და არც კომპლექსი. განწყობა ან მზაობა ის მთლიან-პიროვნული მდგომარეობაა, რომელიც წინ უსწრებს ცნობიერი ფსიქიკის, ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების (გრძნობების, აღჭმისა და აზროვნების) მუშაობას ან განცდათა ცხოვრებას და ფსიქიკის ფუნქციონალური ტენდენციის რეალიზაციას გარკვეულ მიმართულებას ანიჭებს.

შესაბამისად, სიზმრის შინაარსიც სწორედ განწყობის ნიადაგზე უნდა იქნეს გაგებული. სიზმარში ფსიქიკა იმ საგნებს ქნის, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში არსებული (და ჯერაც გამოუვლენელი, რეალიზების გარეშე დარჩენილი) განწყობის არსიდან გამომდინარე, ფსიქიკურ ფუნქციებს ესაჭიროებათ. შესაბამისად, მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების ფუნდამენტში არაცნობიერი განწყობის მიერ გარკვეული მიმართულებით წარმართული ფუნქციობის ტენდენცია იგულისხმება!

თითოეულ პიროვნებას თავისი განსაკუთრებული შინაარსის

სიზმრები ახასიათებს. პიროვნების სპეციფიკური ფსიქოფიზიკური სტრუქტურა თავისებურ პიროვნულ ან ძირითად განწყობას (პიროვნებისათვის ზოგად და ძირითად განწყობას) განსაზღვრავს. სიზმრებიც ამ ძირითადი განწყობის გამოვლენაა. საკუთარი შეხედულების საილუსტრაციოდ უზნაძეს დე სანქტისის სიტყვები მოჰყავს: „მიმაბებ შენი სიზმრები და მე გეტვი, ვინა ხარ შენ!“

ცხადში სუბიექტური განწყობა ობიექტური ვითარებით იზღუდება და თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას კარგავს, ხოლო ძილში დაბრკოლება მოხსნილია და სიზმრის შინაარსი არა თუ ეწინააღმდეგება სუბიექტურ განწყობას, არამედ ისეა შერჩეული, რომ მის სუბიექტურ ტენდენციებს მაქსიმალურად შეესაბამებოდეს. „სიზმარი ხომ სწორედ ამ მიზნისთვისაა შექმნილი!“ – დასძენს ავტორი (იქვე. გვ.62).

უზნაძე აღნიშნავს, რომ სიზმარი სუბიექტის ისტორიას, მის ბედს გვიხატავს. სუბიექტი სიზმართან არსებოთ კავშირში იმყოფება; სიზმრის სამყარო უკიდურესად სუბიექტური, შინაგანი, ინტერპიროვნული საყორებელი ცხადში კა ადამიანის ფსიქიკა ობიექტურ, მისგან გარეთ ან მის გარეშე არსებულ ვითარებასაც ასახავს. ძილის პროცესში ფსიქიკა ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით სუბიექტის რომელიმე აქტუალური განწყობის მიმართულებით იწყებს მუშაობას. სიზმარი სუბიექტის აქტუალური განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება და ფსიქიკის სპონტანური ამოქმედების შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, სიზმრის დანიშნულება ფსიქიკის ფუნქციონალური ტენდენციის დაძაბულობის მოხსნა ან განლებაა. ამ თვალსაზრისით, მოუთითებს უზნაძე, სიზმარს აქვს ფსიქიკის მარეგულირებელი ანდა „კათარტული“ მნიშვნელობა.

ადამიანის ფსიქიკაზე „კათარტული“ ან მაკათარზისებელი ზემოქმედება მხოლოდ სიზმრის თავისებურებას არ შეადგენს. შემთხვევითი არ უნდა იყოს უზნაძის მიერ სიზმრის კონტექსტში ტერმინ „კათარზისის“ გამოყენება, რომელიც ტრადიციულად ხელოვნების სფეროსთან ასოცირდება; სიზმარსა და მხატვრულ შემოქმედებას არაერთი საერთო ნიშანი გამოარჩევს, რომელთა საზღამისაც ნიშანდობლივია არა მხოლოდ „ფსიქოანალიზისთვის“, არამედ „განწყობის ფსიქოლოგიისთვისაც“.

არაცნობიერის ფსიქოლოგია, რომელსაც როგორც „ფსიქოანალიზი“, ასევე „განწყობის ფსიქოლოგიაც“ მიეკუთვნება,

ერთმანეთს უკავშირებს სიზმარსა და მხატვრულ შემოქმედებას. ამ შეკავშირების ძირითადი მიზეზი სიზმრისა და მხატვრული შემოქმედების პირდაპირი მიმართება ფანტაზიასთან, გრძნობათა სფეროსა და არაცნობირ ფენომენებთან.

უზნაძის ადრეულ ნაშრომში „ძილი და სიზმარი“ გარკვეულ ფრონიდანულ იღეათა მიღება და გაზიარებაც კი აისახა. მაგრამ თხზულებაში ასევე გამოიკვეთა ავტორის საკუთარი, განსხვავებული პოზიციაც; სიზმარს საფუძვლად არარეალიზტული განწყობები და ფუნქციონის ტენდენცია ედება. შესაბამისად, მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების ფსიქოლოგიურ ფუნდამენტშიც აღნიშნული ფენომენები უნდა დასახელდეს!

განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციიდან მხატვრული შემოქმედებისა და ხელოვნების კვლევის მაგალითს წარმოადგენს რევაზ ნათაძის ნაშრომი „სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური პრობლემა“, რომელიც კონკრეტულად ერთ საკითხს, სასცენო გარდასახვის პრობლემას უკავშირდება. ავტორმა საკითხი არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ექსპერიმენტულადაც იკვლია(65).

რ. ნათაძე აყალიბებს კვლევის საკითხს და მიუთებს, რომ ისტორიულად იგი ყოველთვის ღიად რჩებოდა; იგულისხმება სასცენო გარდასახვის პრობლემა, რომელიც „მსახიობის დუალური, ორმაგი ბუნების“ ანდა „მსახიობის პარადოქსის“ გამოვლენად მიიჩნეოდა.

მსახიობის სასცენო მოქმედებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ტრადიციული და ერთმანეთის საპირისპირო პოზიცია: „ემოციონალისტური თეორია“ და „ინტელექტუალისტური (იმიტაციის) თეორია“. ემოციონალისტური თეორია მიიჩნევს, რომ სასცენო გარდასახვას საფუძვლად როლის შესაბამის ემოციურ განცდათა გამოწვევა ედება. მაგალითად, თუკი მსახიობი შექსპირის ოტელოს განასხიერებს, მან ოტელის ემოციები უნდა გააცოცხლოს საგუთა ფსიქიკაში. „სხვისი ანთება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თვითონ სულის სიღრმეში არა არის ცივი“ (ფრანცისკ ლანგი).

ინტელექტუალისტური (იმიტაციის) თეორიის მიხედვით, სასცენო გარდასახვა მსახიობის გონების „ცივ“ მუშაობასა და პროფესიულ ოსტატობას უკავშირდება. „მსახიობის ცრემლები მისი ტვინიდან მომდინარეობენ“ (დენი დიდრო).

აღნიშნული თეორიების შესაბამისად, ტრადიციულად არსებობს ორი განსხვავებული ორიენტაციისა და „მსოფლმხედველობის“

თეატრი: განცდისა და წარმოდგენის თეატრები. ორივე ტიპის თეატრს თავისი წარმომადგენლები და თაყვანისმცემლები ჰყავს, რომელთა შორის დავა და კამათიც ჩვეულ ამბადაა ქცეული.

ნათაძის მიხედვით, სასცენო გარდასახვასა და მოქმედებას არა ჩვეულებრივი გრძნობები, არამედ სრულიად განსხვავებული ბუნების განცდები უკავშირდება. ამ თავისებურ განცდებს ავტორი „მფრინავ“ ან „არასერიოზულ“ გრძნობებს უწოდებს. „მფრინავი“ გრძნობა გარკვეული რელური მოქმედების გამოწვევის უნარს მოკლებულია და მხოლოდ სასცენო მოქმედების სივრცეში არსებობს. მსახიობი არა მხოლოდ „განიცდის“ სასცენო გმირის გრძნობებს (ოტელოს ეჭვებს), არამედ არ კარგავს რეალობის განცდასაც. მსახიობი მხოლოდ უკიდურეს და პათოლოგიურ შემთხვევებში შეიძლება სრულად გაიგივდეს თავის გმირთან და რეალობის მიმართ არა ადექვატური გახდეს. თეატრის ისტორიას მოეცოვება ასეთ შემთხვევათა რამდენიმე მაგალითი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული მაგალითებია.

ნათაძის შეხედულების მიხედვით, მსახიობის „მფრინავი“ გრძნობები გარკვეულ განწყობას უკავშირდება და მისგან მომდინარეობს. ავტორი იხილავს განწყობის ფენომენს, როგორც ქცევის უშუალო საფუძველსა და მექანიზმს. იმისათვის, რათა მსახიობი გარდაისახის, ცვლილება უნდა მოხდეს თვით მისი პიროვნების მთლიან შინაგან მდგრამარეობაში; პიროვნება უნდა „აეწყოს“, „მოიმართოს“ სხვაგვარად. ამ მობოლიზაციის მდგრამარეობას განწყობას უწოდებენ, – დასძენს ავტორი.

ნათაძე აღნიშნავს, რომ განწყობა შეიძლება აღმოცენდეს როგორც უნცბლივებ, იმპულსურად, არაცნობიერი მექანიზმების საფუძველზე, ასევე ნებისმიერულად, ადამიანის აქტოური, ცნობიერი ჩარევის გზითაც.

მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული განწყობა ქცევისა და ფსიქიკის არაცნობიერ ფუნდამენტად იქცევა და არაცნობიერად ახდენს ცნობიერების შინაარსებობას და ქცევის წარმართვას.

მსახიობი მომავალი, ჯერ მხოლოდ წარმოსახული ან გააზრებული სიტუაციის შესატყვევის განწყობას იმუშავებს. ესაა განწყობის შეგნებულად, ნებისმიერად (და არა თავისით, იმპულსურად, არაცნობიერად) შემუშავების ფორმა, რომელიც მსახიობის სასცენო მოქმედებისა და გარდასახვის ფსიქოლოგიურ მექანიზმად იქცევა. სასცენო როლის შესაბამისი განწყობის შემუშავებას თეატრალური

რეპეტიციები, სასცენო გმირის პასიტუსზე, მის ექსპრისიაზე, „სხეულის ენასა“ თუ განცდებზე მუშაობა ემსახურება. ნათაძემ ერთმანეთს დაუკავშირა განწყობის თეორია და ორლზე მუშაობის სტანდარტული სისტემა; როლზე მუშაობის ძირითად ამოცანად როლის შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება იქნა აღიარებული.

საკუთარი შეხედულების დასაბუთების მიზნით რ. ნათაძემ ჩაატარა ექსპერიმენტების სერია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესიონალმა მსახიობებმა, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა და თეატრისაგან გარეშე პირებმა. ნათაძემ ეგრეთ წილით „საგანწყობო ექსპერიმენტს“ მიმართა, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: ცდისპარი განწყობას არა რეალური ობიექტების (დიდი-პატარა ბურთების) საშუალებით შეიმუშავებდა, არამედ ამ რეალურ ობიექტთა მხოლოდ წარმო სახით (66).

კლასიკურ საგანწყობო ცდაში ცდისპარის განწყობას ობიექტთა (დიდი-პატარა ბურთების) მრავალგზის მიწოდებით უმუშავებენ; ერთ ხელში აწვდიან დიდ, ხოლო მეორეში – პატარა ბურთს.

განსხვავებული სიდიდის ობიექტთა მრავალჯერადი მიწოდების შედეგად, ცდისპარის განწყობა (ობიექტთა სიდიდესთან დაკავშირებული განწყობა, არატოლ საგანთა აღქმის განწყობა) უმუშავდება, რის გამოც და რის საფუძველზეც იგი ტოლი სიდიდის ობიექტებს (ბურთებს) არატოლად აღიქმას. არატოლი ობიექტების მრავალგზის მიწოდება ტოლი ობიექტების არატოლად აღქმას განაპირობებს; ტოლი ბურთები ადამიანს უტოლოდ „ეჩენება“.

რ. ნათაძის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ განწყობა შემუშავდება (ფიქსირდება) იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცდისპარის არა რეალური ობიექტები (დიდი და პატარა ზომის ბურთები) მიეწოდება, არამედ მაშინაც, როდესაც მას განსხვავებული სიდიდის ობიექტების წარმო და განწყობის ადამიანის განაპირობების მიზნით (ფიქსირდება) „გაცოცხლება“) ევალება! (65).

როგორც ექსპერიმენტებმა ცხადყო, პროფესიონალ მსახიობებს აღნიშნული უნარი (წარმოსახვით განწყობის ფიქსირების უნარი) უფრო მეტად და გამორჩეულად ახასიათებთ განსხვავებული პროფესიის ადამიანებთან შედარებით. ასევე დადგინდა, რომ წარმოსახვის ან ფანტაზიის საფუძველზე განწყობის შემუშავება განსაკუთრებულად ოლდება გამორჩეული სასცენო უნარებისა და ტალანტის შემთხვევაში. ნათაძის ცდისპართა შორის იყვნენ ქართული

სასცენო ხელოვნების კორიფეულიც: ვერიკო ანჯაფარიძე და სესილია თაყაიშვილი, რომლებმაც წარმოსახვით განწყობის შემუშავების განსაკუთრებული ძალა და უნარი გამოვლინეს.

ექსპერიმენტულმა შედეგებმა რ. ნათაძეს მისცა საფუძველი, რათა სასცენო გარდასახვის საფუძვლად მსახიობის მიერ წარმოსახვით, ფანტაზიით შემუშავებული განწყობა ელიარებინა. მსახიობი ახდენს სასცენო მოქმედების შესაბამისი განწყობის წარმოსახვით პლანში (სასცენო მოქმედების სიტუაციის შესაბამისად) შემუშავებას. სასცენო გარდასახვისა და სცენურ სახეთა შექმნის ფუნდამენტს წარმოსახვით შემუშავებული განწყობები ქმნიან. ხოლო მსახიობის ნიჭიერებას კი წარმოსახვით განწყობათა შემუშავების უნარი უკავშირდება.

## თავი VIII

### ლევ ვიგორტსკის ხელოვნების ფსიქოლოგია

ლევ ვიგორტსკის ნაშრომში „ხელოვნების ფსიქოლოგია“ წარმოდგენილია ავტორის შეხედულებები როგორც ხელოვნების თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით (ხელოვნების ფსიქოლოგიური თეორია), ასევე კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების ფსიქოლოგიური ანალიზის ნიმუშებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ვიგორტსკი ფსიქოლოგისთვის კვლევის საკმაოდ უჩვეულო გზას მიმათავს და ძრითადში გვევლინება, როგორც კულტურულოგი(70).

ავტორი ხელოვნების თეორიაში გამორჩეულ მნიშვნელობას ინტერპრეტაციულ თავისუფლებას ანიჭებს და „მაღალი კრიტიკის“ იმპულსად აღ და რთო ვა ნებას აღიარებს. ვიგორტსკის მიხედვით, კრიტიკის ამოცანას ნაწარმოების „ახსნა— ექსპლიკაცია“ არ უნდა შეადგნეს, რადგანაც ახსნა, ფაქტობრივად, ამოწურვას, ამოხსნას, გასავებად ქმნას ნიშნავს. ხელოვნების ექსპლიკაციისადმი დამოკიდებულებას ვიგორტსკი ოსკარ უალდის სიტყვებით გაძოხატავს: „არსებობს ხელოვნების არ-სიყვარულის ორი გზა: ერთი, უბრალოდ არ გიყვარდეს ხელოვნება და მეორე, გიყვარდეს რაციონალურად!“

ვიგორტსკი აღნიშნავს, რომ ხელოვნების ნებისმიერი თეორია იმ შეხედულებათა სისტემას უფრქნება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი სამ ფსიქიკურ ფუნქციას განეკუთვნება, როგორიცაა: აღქმა, გრძნობა და ფანტაზია-წარმოსახვა. ავტორი დასმენს, რომ აღნიშნული ფსიქიკური ფუნქციებიდან ხელოვნებასთან მიმართებით, სრულიად გამორჩეულია გრძნობათა სფეროსა და ფანტაზიის როლი. ხელოვნების ფსიქოლოგია „იგება“ სწორედ გრძნობისა და ფანტაზიის პრობლემათა კვითაზე. ამავე დროს გრძნობა და ფანტაზია ფსიქოლოგისთვის დღემდე ყველაზე „ბნელით მოსილ“, როულად შესასწავლ სფეროებად რჩება.

პრობლემურად ესახება ვიგორტსკის ხელოვნების ფსიქოლოგიისთვის ისეთი ფუნდამენტური საკითხის გადაწყვეტაც, როგორსაც გრძნობისა და ფსიქიკური ენერგიის მიმართების საკითხი წარმოადგენს; რა არის გრძნობა? — კითხვას სვამს ავტორი. გრძნობა ფსიქიკური ენერგიის ხარჯვაა თუ ამ ენერგიის ეკონომია? კითხვას ავტორი დაიდ ტოვებს.

ვიგორტსკის შეხედულებათა მიხედვით, ესთეტიკური გრძნობა ჩვეულებრივ გრძნობათაგან რიგი ნიშნებით განსხვავდება და გამოირჩევა. ესთეტიკური ემოციური რეაქცია კავშირშია ფანტაზიის უენომენთან; გრძნობა და ფანტაზია ერთან ფსიქიკურ მოვლენად იქცევა. ფანტაზია ავტორს ემოციის გამოხატვის სახედ და ფორმად ესმის. თავის მხრივ, ემოცია ფანტაზიის ამოქმედებით განმუხტება. ხელოვნება ემოციათა განმუხტებას ახდენს არა გარევან აქტივობა-მოქმედებათა გზით, არმედ ფანტაზიის სატემის საშუალებით.

ვიგორტსკის ხელოვნების თეორიის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოები აუცილებელ აუქეტურ-ემოციურ წინააღმდეგობას შეიცავს და ამიტომაც ურთიერთ საპირისპირო გრძნობების აღმდეგ ასკარული საპირისპირო გრძნობები (სიმოვნება უსამოვნება, დარღი — სიხარული, ტანჯვა — ნეტარება და ა. შ.). ერთმანეთს განმუხტავენ და სპობენ! ასეთია კათარზისის ვიგორტსკისეული განმარტება. ესთეტიკური აუქეტი ორი, ურთიერთ საპირისპირო მიმართულებით ვითარდება და საბოლოოდ პოლარულ გრძნობათა მიერ ურთიერთ გადაფარვის გზით ისპობა.

ვიგორტსკი აღნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების მიერ საპირისპირო ემოციების ერთდროული აღძვრა ესთეტიკური რეაქციის მთავარ პირობად იქცევა. ასე მაგალითად, ერთმანეთს „უპირისპირება“ მხატვრული ფორმა და შინაარსი; ფორმით ხელოვნი შინაარსის ძლევას ახდენს. რითმით გამოწვეული აფექტი (ემოცია) შინაარსით გამოწვეული აფექტის (ემოციის) საპირისპიროა და საწინააღმდეგო! შილერის სიტყვებით: „ხელოვნების ჭეშმარიტი საიდუმლო სხვა არაფერია, თუ არა ფორმით შინაარსის განადგურება!“

მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის და პირი ის პირებას ვიგორტსკი ხელოვნების ძირებული და არსებითი თავისებურების სახით ინილავს. ხელოვნება იმთავითებების შინაგან წინააღმდეგობასა და კოლიზიას, რომელიც ესთეტიკური რეაქციის უნიკალობის მთავარ მიზეზად იქცევა. მაგალითად, რით მალექსის შინაარსის „დეფორმირებასა“ და მისი გაგების გართულებას უკავშირდება.

კომედიის ხელოვნებაში „ორმაგ“ გრძნობას იწვევს დამკვიდრებული ნორმებისა და მათი დარღვევის ერთდროული განცდები. (იმავეს მიუთითებდა ფრონდიც: ენამახვილობა ორსახა იანუსია, რადგანაც აზრი ორი, ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მიჰყავს).

ვიგოტსკის აზრით, საპირისპირო გრძნობათა გამოწვევა მხატვრული ნაწარმოების ფაბულის განვითარებაშიც იგულისხმება, რაც, საბოლოოდ, ამ გრძნობათა ურთიერთ შეპირისპირებისა და კათარზისული ეფექტის პირობად იქცევა. მაგლიოთის სახით ავტორი იხილავს პუშკინის „ევგრი ონეგინს“, ბუნინის „მსუბუქ სუნთქვას“, ეზოპს, ლაფონტენის, კრილოვის იგავ-არაკებს და ბოლოს, შექსპირის „ჰამლეტს“. ასე მაგალითად, „ევგრი ონეგინს“ გმირები პოემის განმავლობაში სრულიად გარკვეულ და „ცალსახა“ გრძნობებს იწვევს მეთხველში; ონეგინი – ეგოისტი, ციგისსელიანი დენდის, ხოლო ტატიანა – ემოციური და გულუბრყვილო გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებს. პოემის ბოლო გვერდებზე სიტუაცია რადიკალურად იცვლება! გმირები ერთმანეთს უცვლიან როლებს! ტატიანა რაციონალური და ემოციურად „მშრალი“ ხდება, იგი, ფაქტობრივად, სასიკეთოდ იმეტებს შევარებულ ონეგინს! ემოციათა ეს მოულოდნელი და პარადოქსული „შეტრიალება“ შეადგენს, ვიგოტცის აზრით, არა მხოლოდ პუშკინის პოემის, არამედ ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების აგების ზოგად პრინციპს.

დიდროს სახელგანთქმული „მსახიობის პარადოქსი“ ვიგოტსკის ხელოვნების „ორმაგობას“ კერძო გამოვლინებად ესახება; მსახიობი ასახავს რა მისი გმირის განცდებს, ამავე დროს საკუთარ განცდათა გაკონტოლება-მართვასაც ახდენს. ამით მსახიობი გმირის გრძნობებს ესთეტიკურ ფორმაში მოაქცევს. დიდრო მსახიობის ხელოვნებას „პათეტიკურ გრიმასას“ უწოდებდა, რის მიზეზსაც ვიგოტცი ისევ მსახიობის ემოციის ორმაგობაში (განცდა და თან განცდის მართვა-კონტროლი) ხედავს!

ფერწერასა და გრაფიკაში ესთეტიკური რეაქციის „ორმაგობა“ უპირველეს ყოვლისა, სამგაზომილებიანი სივრცის ორგანზომილებიან სიბრტყეზე გადმოცემას უკავშირდება; რეალური სამყარო ტილოზე ან ფურცელზე აისახება, რაც შინაარსისა და ფორმის დაპირისპირებას იწვევს. მაგალითად, აივაზოვსკის ტილოზე ზღვა, რეალურად, მხოლოდ ტილოს პატარა ნაჭერზე „ბობოქრიბს და მძვინვარებს“.

ქანდაგების ხელოვნებაშიც შესაბამისად რეალური მოვლენების გადმოცემა სრულიად ირეალური ფორმებით ხდება; მაგალითად, „ლაოკონში“ ტანკვა მარმარილოს ფიგურაშია წარმოდგენილი. გმირის ტანკვას აქ მარმარილოს ქვის სიცივე „უპირისპირდება“ და „ანერტრალებს“.

ხელოვნება რეალური, ჩვეულებრივი გრძნობების გარდაქნას ახდენს, მათ „გაეთილშობილებას“ და „დაწერას“ მიმართავს. შესაბამისად, ხელოვნებას სრულიად თავისებური „საზოგადოებრივი“ და არა ინდივიდუალური გრძნობები უკავშირდება. (იხ. თუნგის „კოლექტიური არაცნობირის“ ტერმინი).

ხელოვნების არსებით თავისებურებად ვიგოტსკი გრძნობათა გადალახვას მიიჩნევს. შემოქმედებითი აქტი გრძნობის განმუხტვის ან გრძნობაზე გამარჯვების აქტია; კათარზისი საკუთარი გრძნობების გადალახვას გულისხმობს. შესაბამისად, კათარზისული სისარული საკუთარი გრძნობების მოთვე-დამორჩილებასთან დაკავშირებული სისარულია, რომელსაც ფისქიკურ ძალით „ფეოქტადი“ გამშებულებაც ახლავს.

ვიგოტსკი გვთავაზობს შექსპირის „ჰამლეტის“ ფიქილოგიურ ანალიზს და ცდილობს შექსპირის ტრაგედია მითის სახით გაიგოს.

ნარკვევის შესავალ ნაწილში ვიგოტსკი აღნიშნავს, რომ იდემალება ტრაგედიის არსი არსთავანია, მისი შინაგანი ცუნტრი, ხოლო მასში გმოყენებული მხატვრული სიმბოლოები მნიშვნელობით აძლევურავია და მრავალსახოვანი. „ჩვენ უძლური ვართ სიმბოლოთა „ბელი“ აზრის მიმართ!“ – წერს ავტორი.

ხელოვნების მეცნიერული კვლევა, ავტორის განმარტებით, გულისხმობს ფაბულის დაყანას მის პირველსაწყისმდე. შექსპირის ტრაგედიაში ასეთ პირველსაწყის შეადგნს მითი ჰამლეტის შესახებ, რომელსაც ავტორის სიტყვებით, პიპოტური შთაგონების ან ზემოქმედების ძალა აქვს. ამ მისტიური რეალობიდან ტრაგედია ხატავს სხვა დანარჩენს, როგორც მეორადს: მოქმედ პირთა სახეებს, ფაბულას, დიალოგებს და ა. შ. აქ ყოველივე ძირითადს, მითს – ექვემდებარება!

ვიგოტსკის მიხედვით, შექსპირის ტრაგედიას საფუძვლად რელიგიური ჰეშმარიტების მომცველი მითი ედება. რიპარდ ვაგნერის სიტყვებთ, „ტრაგედია (მუსიკა) იდეა სამყაროს შესახებ და ის, ვინც შესძლებს ტრაგედიის (მუსიკის) სრულად გადმოცემას ცნებებში, ამავე დროს წარმოადგენს ფილოსოფიასაც სამყაროს შესახებ“. მაგრამ ტრაგედიის ისევე, როგორც მუსიკის გადმოცემა ცნებებში მის მოსპობას, „მოკლას“ ნიშნავს. ასე რომ, მსატვრული ნაწარმოების მეცნიერულ ცნებებში გამოიქმისა და ჩამოყალიბების საკითხი ღიად რჩება.

ავტორი ერთმანეთისგან ასხვავებს ორი სახის გამოუთქმელობას: პირველი („დუმილი“) თვით „ჰამლეტის“ იდეის გამოუთქმელობაა. ტრაგედიის, ისევე როგორც სამყაროს იდეა მარადიულ საიდუმლოს წარმოადგენს. შესაბამისად, შესაძლებელია ტრაგედიის არა ინტელექტუალური ახსნა, არამედ მისი აფექტურ-ემოციური განცდა და წვდომა. მეორე სახის გამოუთქმელობაში ვიგორსკი საკუთარ შთაბეჭდილებათა გამოუთქმელობას, ცნებებში მათი ფორმულირების შეუძლებლობას გულისხმობს («Мысли изложены – есть ложь!», – ТУТЕВ).

მხატვრული ნაწარმოების აღქმის პროცესი შეიძლება სიზმრის ხილვას შევადაროთ, – წერს ვიგორსკი. მაგრამ ხელოვნების თეორეტიკოსს აქვს უნარი, სხვებსაც განაცდევინოს ის, რასაც თავად განიცდის და დამუხტოს სხვანი საკუთარი განწყობილებით!

თუკი მხატვრულ შთაბეჭდილებათა გამოუთქმელობა ნაკლია და გონების დასაძლევი სისუსტე, თვით ნაწარმოების იდეის გამოუთქმელობა, მისი „დუმილი“ – სიჭარბეა, სისავსე და „საიდუმლო“!

ვიგორსკი იზიარებს ოსკარ უაილდის შეხედულებას, რომ კრიტიკა ყოველთვის ავტობიოგრაფიულია და რეალურად კრიტიკოსი საკუთარი განცდებისა და წარმოდგენების პროცესირებას ახდენს მხატვრულ ნაწარმოებზე.

ნარკვევის მეორე ნაწილი საკმაოდ ორიგინალურად იწყება. ავტორი ცდილობს გადმოგვცეს ის ზოგიერთი „სულიერი განწყობლება“, რომელიც ტრაგედიაზ მასში გამოიწვია. იგი ცდილობს გადმოსცეს ტრაგედიის პირველადი, ზოგადი განცდის როგორობა და მას მეტაფორულად რიერაჟს ადარებს, როდესაც ერთდროულად სახეზეა დღეცა და დამეც. ეს მისტიური წამებია, – წერს ავტორი, – იდუმალებითა და სევდით აღსავსე. „ჰამლეტი“ ასევე სევდითა და იდუმალებით მოცული ტრაგედიაა!

„ჰამლეტისთვის“ ორმაგობა (დღისა და ღამის მისტიური შეყრა) განსაკუთრებითაა დამახასიათებელი. თუკი ტრაგედიის ერთი ასპექტი ხილულია და ცხადი, მეორე – უჩვეულოა და ღრმა. (პორაციო: „ო. დღე და ღამე! აი, საოცრება!“) აქ მოქმედება ერთდროულად ორ სამყაროში მიმდინარეობს; ერთი მატერიალური და დროული სამყაროა და მეორე კი, მიღმისეული, მეტაფიზიკური სამყარო,

საიდანაც განისაზღვრება და იმართება ამქვეყნიური მოვლენები. ტრაგედია სწორედ ამ ორი სამყაროს ზღვარზე თამაშდება!

ვიგორსკის ესთეტიკურ მოსაზრებებს ბევრი აქვს საერთო პირნგის ხელოვნების თეორიასთან, ხოლო კათარზისის მისეული გაგება ბევრით უახლოვდება კათარზისის სამედიცინო (კათარზისი, როგორც განმუხტვა, აბრეაქცია) გაგებას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ავტორის ორიგინალური შეხედულება ხელოვნებს „დუალურობასა“ და ესთეტიკური ემოციის „ორმაგობასთან“ დაკავშირებით.

## თავი IX

### ვასილი კანდინსკი, როგორც ხელოვნების ფიქოლოგი

შემოქმედთა შორის ხელოვნების თეორიული საკითხებით დაინტერესება იშვიათობას არ წარმოადგენს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თანამედროვე ხელოვნებისთვის გახდა დამახასიათებელი. მხატვრული მიმდინარეობები საკუთარ ორიგინალურ პოზიციას „შესაბამისი „ოფიციალური დოკუმენტებით““ თუ მნიშვესტებების სახით აფორმებნ, რომლებმიც გარკვეული ადგილი ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტების (კრეატული თუ რეცეპტული თვალსაზრისით) გაშუქებასაც ეთმობა. მაგრამ ამ მხრივ, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აბსტრაქტული, უსაგნო ხელოვნების მამის, ვასილი კანდინსკის თეორიული ნაშრომი. კანდინსკის წერილი „სულიერის შესახებ ხელოვნებაში“ (71) შეიძლება განხილულ იქნეს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმალისტური ხელოვნების კრედოდ, არამედ ასევე თანამედროვე ხელოვნების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან მონაცოვრადაც, რადგანაც ყურადღების ფოკუსში ავტორმა ხელოვნების საკუთრივ ფსიქოლოგიური ასპექტები მოაქცია. კანდინსკის წერილი მით უფრო საგულისხმოა, რომ მასში წარმოდგენილია საზოგადოდ თამანედროვე ხელოვნების სპეციფიკის ფსიქოლოგიური ანალიზი. ავტორი არა ერთგზის მიუთითებს „დროის სულის“ ან, სხვა სიტყვებით, ეპოქალურ განწყობათა სისტემის შესახებ, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებზე ზემოქმედ უძლიერეს ფაქტორად მიიჩნევს.

კანდინსკის თეორიის მიხედვით, მხატვრული შემოქმედების სტიმულს მხატვრისთვის (ხელოვნისთვის) დამახასიათებელი, შინაგანი აუცილებლობის პრინციპი წარმოადგენს. შინაგანი (შიდა ფსიქოლოგიური) აუცილებლობა (ან, სხვა სიტყვებით, შიდა იძულება, შინაგანი იმპერატივი) თავის მხრივ, სამი აუცილებელი ელემენტისა თუ ძალისგან მომდინარეობს, როგორიცა:

1. ინდივიდუალური ელემენტი, რომელიც ხელოვნის პიროვნულ, ფსიქოლოგიურ თავისებურებებს უკავშირდება. ამ ელემენტის

ზეგავლენით მხატვრულ ნაწარმოებში ხელოვანისთვის დამახასიათებელი პიროვნული ნიშნები აისახება (აღნიშნულ ელემენტსა თუ ძალას შეიძლება შემოქმედების სუბიექტური ფაქტორი ვუწოდოს ელემენტით).

2. სტილის ელემენტი, რომელიც მოცემული, კონკრეტული ეპოქისა და ქვეყნის (იმ დროისა და სივრცის მონაცემის, რომელშიც ცხოვრობს და მოვაწეობს ხელოვანი) ასახვას გულისხმობს. მხატვარი გარკვეული ერისა და ეპოქის შვილია, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს შემოქმედებაზე და, უპირველეს ყოვლისა კი, მის სტილურ, ფორმალურ თავისებურებებზე; შეიძლება ითქვას, რომ შეირჩევის მხატვრული ენა, რომელიც მოცემული ეპოქისა და ქვეყნის განწყობათა სისტემის შესაბამისია (ამ ელემენტსა და ძალას შეიძლება შემოქმედების სიტუაციური ან ობიექტური ფაქტორი ვუწოდოთ).

3. მხატვრული (ზეპიროვნული და ზედროული) ელემენტი, რომელიც არ კავშირდება კონკრეტულ პიროვნებასა და კონკრეტულ ეპოქასთან. კანდინსკის გაგებით, ეს ხელოვნების უმთავრესი, „ძარადიული“ ელემენტია, დამოუკიდებელი როგორც დროისა და სივრცისგან, ასევე ხელოვანის სუბიექტური, პიროვნული შეზღუდულობისგანც (მესამე ელემენტსა თუ ძალას შეიძლება შემოქმედების ესთეტიკური ფაქტორი ეწოდოს).

კანდინსკის შეხედულებათა შესაბამისად, რაც უფრო მეტად ითვალიწინებს თანამედროვე მხატვრული ნიმუში პირველ ორ (სუბიექტურსა და სიტუაციურ) ფაქტორებს, მით უფრო იოლად იწვევს იგი გამოძახილს თანამედროვე ადამიანში (ან მით უფრო პოპულარული ხდება იგი) და რაც უფრო მეტია მესამე (ესთეტიკური) ფაქტორის წილი, მით უფრო აუცილებელი ხდება დროის ინტერვალი მისი სათანადო აღქმისა და შეფასებისთვის. ავტორი დასმენს, რომ მესამე ელემენტი (ესთეტიკური ფაქტორი) ხელოვნების უმთავრეს ფაქტორსა და ასპექტს წარმოადგენს და მისი სიჭარე მხატვრული ნიმუშის „სიღიადის“ (მისი უკვდავების) მანიშნებელია.

კანდინსკის მოსაზრება შემოქმედებითი სტიმულისა და მისი რაობის შესახებ ბევრითაა საინტერესო და საგულისხმო. ე. წ. შინაგანი აუცილებლობა, როგორც ჩანს, თავად შემოქმედ-კრეატორის თავისებური შინაგანი მდგომარეობა, რომელიც

ერთდროულად სამი ფაქტორის (სუბიექტური, სიტუაციურ-ობიექტური და ესთეტიკური ფაქტორების) ზემოქმედებით ყალიბდება.

„შინაგანი აუცილებლობის“ ტერმინი დ. უზნაძის განწყობის ფენომენის ასოციაციას იწვევს; განწყობა, როგორც ქცევის ფუნდამენტი (მისი სტიმული და მოქმედებაში მომყვანი) – სუბიექტური (სუბიექტის მოთხოვნილება) და ობიექტური (კონკრეტული სიტუაცია) ფაქტორების ზემოქმედების შედევია.

კანდინსკის თეორიაში ესთეტიკური მოქმედების (შემოქმედების) სტიმულს, სუბიექტურ და ობიექტურ-სიტუაციურ ფაქტორებთან ერთად, საკუთრივ ესთეტიკური ფაქტორიც აფორიმირებს, რომლის შესახებაც ავტორი საკმაოდ ცალმხრივ, არასრულ ინფორმაციას იძლევა. კანდინსკისთვის ცხადია, რომ მხოლოდ ვიწრო სუბიექტური და კონკრეტულ- სიტუაციური ფაქტორებით შეუძლებელია მხატვრული მოქმედების სტიმულის მოაზრება. შემოქმედების მასტიმულირებელი „მესამე ელემენტი“ ან „ესთეტიკური ფაქტორი“, სამწუხაროდ, მხოლოდ თეორიული მონახაზის სახითა წარმოდგენილი. თუმცა რიგი ნიშნებით „ესთეტიკური ფაქტორი“ კ. იუნგის კოლექტური არაცნობიერის არქეტიკებისა და სიმბოლოების ანალოგიურია. კანდინსკის მოსაზრებებში სანტერესოდ ერთიანდება დ. უზნაძისა და კ. იუნგის შეხედულებები, რაც სამომავლო კვლევებისათვის მდიდარ მასალას იძლევა.

აბსტრაქტული ხელოვნების „მამა“ ვრცლად იხილავს ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედების საკითხებს, რასაც მისთვის, როგორც ფორმალისტი მხატვრისთვის, განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ესთეტიკურ ამოცანებთან ერთად კანდინსკი წმინდა ფსიქოლოგიურ ამოცანებსაც ისახავს; მისი მიზანია აღმქმელ-რეციპიენტში გარკვეული გრძნობების პროცესირება და მის ფსიქიკურ უშუალო ზემოქმედება. ასე ესახება კანდინსკის საზოგადოდ ფერწერის მნიშვნელობა და არსი!

კანდინსკის შეხედულებათა მიხედვით, ფერის ზემოქმედება შესაძლოა ორი ძირითადი სახის იყოს;

1. ფერის თვალზე წმინდა ფიზიკური (ან ფიზიოლოგიური) ზემოქმედება. აღნიშნული ტიპის ზემოქმედებას შეიძლება სიმოვნებისა და კმაყოფილების განცდებიც უკავშირდებოდეს. მაგრამ

ეს განცდები, კულინარიულ შეგრძნებათა მსგავსად, ზედაპირულია, მალევე ქრება და პიროვნებაში კვალს არ ტოვებს. როგორც ავტორი აღნიშნავს: ასეთ განცდათა მიმართ „ადამიანის სული დახურულია“.

კანდინსკი მოუთითებს, რომ ჩვეული, ყოველდღიური საგნები ადამიანზე „ზედაპირულად“, პერიფერიულად ზემოქმედებენ, ხოლო ბავშვისთვის სამყარო მისი „სიახლისა“ და „უჩვეულობის“ გამო დიდი შთაბეჭდილებების მომტანია. ასაკის მატებასთან ერთად შეცნობილი და გასაგები სამყაროს მიმართ მწვავე ინტერესი თანდათან ქრება, მას გულგრილობა, ინდიფერენტობა ცვლის და სამყარო თანდათან ხიბლს კარგავს. („ზრდასრულმა ადამიანებმა კარგად ვიცით, რომ სე ჩრდილს იძლევა, ცხენი სწრაფია, ხოლო მანქნა კიდევ უფრო სწრაფი, რომ ძალი იქმნება, მთვარე შორია და რომ ადამიანი სარგები – ნამდვილი არ არის“).

ადამიანის განვითარების მაღალ დონეზე, – წერს კანდინსკი, – ხდება საგანთა და მოვლენათა თვისებების „გაფართოება“, მათი ხელახალი „აღმოჩენა“; საგნები შინაგან ღირებულებას ანდა „შინაგან, ფარულ ხმას“ იძენენ. აღნიშნული შეხედულება საგნისა თუ მოვლენის კულტურულ ღირებულებათა ერთიან სისტემაში ჩართვასა და მის ახალი მნიშვნელობით (მნიშვნელობებით) დატვირთვას გულისხმობს. თვით ფერის ზემოქმედების შემთხვევაშიც, – მოუთითებს კანდინსკი, – „დაბალი სულიერი მგრძნობელობის“ ადამიანზე ფერი ზედაპირულ, ელემენტალურ უფექტს იძლევა, ხოლო განვითარების მაღალ დონეზე – ღრმა შთაბეჭდილებად იქცევა (სამწუხაროდ, ავტორი არ აკონკრეტებს ადამიანის განვითარების მისულ კრიტერიუმებს).

2. ფერის ადამიანზე ფ ს ი ქ თ ლ თ გ ი უ რ ი ზემოქმედება; ამ შემთხვევაში ფერი ადამიანის ფსიქიკადე აღწევს. მას „ფსიქიკური ვიბრაცია“ უკავშირდება. პერიფერიული, ფიზიკური მოვლენა (ფერის შეგრძნება) ფსიქოლოგიურ მოვლენად (ფსიქიკური განცდების: ემოციების, აზრების, სურვილების ფართო სპექტრის მაპროვოცირებელ ძალად) იქცევა.

ავტორი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედება გარკვეული ასოციაციური პროცესებით, გარკვეულ საგნებათან ან მოვლენებთან ასოციაცით აიხსნას. მაგალითად, წითელი ფერი იწვევდეს ფსიქიკურ რეაქციას არა უშუალოდ, არამედ ცეცხლთან ან სისხლთან ასოციაციური კავშირის (ცეცხლის ან სისხლის გახსნების) გამო. მაგრამ კანდინსკის შეხედულების

შესაბამისად, ფერს უშუალო, საგნობრივი ასციაციებისგან დამოუკიდებელი ზემოქმედების უნარი გამოარჩევს; ფერი ზემოქმედებს არა მასთან კავშირში მყოფი საგნებისა და მოვლენების გახსენების გამო, არამედ პირდაპირ და უშუალოდ.

„ფერი – კლავიშია, სული – მრავალსიმიანი როიალი, მხატვარი – ხელი, რომელიც ამა თუ იმ კლავიშის საშუალებით მიზანიმიართულად ახდენს ადამიანის სულის ვიბრაციაში მოყანას“, – წერს კანდიდს კა. ფერთა ჰარმონია ადამიანის ფსიქიკურ ზემოქმედების წმინდა ფსიქოლოგიურ პრინციპს ეფუძნება, რომელსაც ავტორი შინაგანი (ან შიდა ფსიქოლოგიური) აუცილებლობის პრინციპს უწოდებს; შესაბამისად, ფერთა თუ მუსიკალური ჰარმონიის საფუძვლი ადამიანის ფსიქოლოგიის სტრუქტურულ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ.

კანდიდს კი ჩერდება ფერისა და ფორმის, ფერწერისა და მუსიკის, მხატვრული კომპოზიციის საკითხებზეც. მაგრამ ცალკეული საკითხების განხილვისას ავტორის ძირითადი იდეა უცვლელია – ყოველივე გარეგანში (ხილულში) ფარული შინაგანი მხარე და ასპექტი იგულისხმება; ყოველ ცალკეულ ფორმას საკუთარი შინაარსი გააჩნია! და ეს წმინდა ფსიქოლოგიური ბუნების შინაარსია, დაკავშირებული გრძნობებისა და ემოციების სამყაროსთან.

ანიმული იდეა განსაკუთრებულ უღერადობას სწორედ კანდიდს კის თეორიულ ნაშრომში იძენს. მხატვრის ნაშრომში, რომელმაც მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში პირველმა თქვა უარი გარკვეული, კონკრეტული მნიშვნელობისა და შინაარსის ობიექტებისა თუ საგნების ასახვაზე. კანდიდს კის თეორიულ შეხედულებათა შესაბამისად, მის „უსაგნო“ ტილოებზე ფარული შინაარსი და აზრი უნდა ვეძიოთ! მაგრამ არა კონკრეტული ობიექტებისა და საგნების შესაბამისი, არამედ ადამიანის ფსიქიკურ განცდათა სამყაროსთან კავშირსა და მიმართებაში მყოფი. კანდიდს კის ესთეტიკა წმინდა ფსიქოლოგიურ მიზნებს ისახავს და კერძოდ, ჩვეული, გასაგები და ამიტომაც მოსაწყენი სამყაროს უჩვეულო და იდუმალი ფსიქოლოგიური სამყაროთი ჩანაცვლებას!

კანდიდს კის თეორიის მიზევით, ხელოვნების ზემოქმედების იარაღსა და ადრესატსაც გრძნობები შეადგენს. ხელოვნების ფარული, შინაგანი ასპექტის წვდომა სწორედ გრძნობათა (და არა გონების) საფუძვლი ხდება. ავტორი დეტალურად იხილავს ფსიქიკაზე

კონკრეტულ ფერთა (ყვითელიდან დაწყებული შავი ფერის ჩათვლით) ზემოქმედების თავისებურებებს.

აბსტაქტული ხელოვნების ფუმედებლის თეორიის არსს ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს მომავლას ხელოვნებისადმი მიმართული სიტყვები: „და როგორც იქნება, ფერწერისთვის დადგება დრო, როდესაც იგი აიგება არა იმდენად ფიზიკურ კანონთა საფუძველზე, რამდენადაც შინაგანი აუცილებლობის კანონის საფუძველზე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „სულის“ – ფსიქიკის კანონები.“

კანდიდს კის ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ე.წ. „სულიერი ატმოსფეროს“ განხლვას. ავტორი აღნიშნავს, რომ ფსიქიკურ ატმოსფეროს ქმნის არა მხოლოდ ადამიანთა დაკვირვებადი ქმედება, ცხადი აზრები და გრძნობები, არამედ ფარული ქმედებანი, გამოუთქმელი აზრები და გამოხატვის გარეშე დარჩნილი გრძნობებიც. ანუ, როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე.

ავტორი იხილავს თანამედროვე ეპოქის თავისებურებებსაც; ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც აღსავსეა კითხვებით, წინათვრნობებითა და წინააღმდეგობებით, რაც ტრადიციულ მხატვრულ მეთოდთა გადახედვისა და რეორგანიზაციის საკითხსაც წამოჭრის. „ჩვენ ვუსმენთ მოცარტის მუსიკას, როგორც სხვა, წარსული და უცხო ეპოქის მელოდიას“. ჩვენი ეპოქის პარმონია კი ტონთა ბრძოლას, დაკარგულ წონასწორობას, „პრინციპთა“ მსხვრებას, უეცარ დაფდაფებს, დიად კითხვებს, უმაზნო სწრაფვებს, ქაოტურ ძალისხმებას, მელანქოლიას, დამსხვრებულ ბორგოლებსა და წინააღმდეგობებს უკავშირდება!

ახალ, თანამედროვე პარმონიაზე დაფუძნებული კომპოზიცია ფერდოვან ფორმათა კორდად იქცევა, სადაც თითოეული ფერი დამოუკიდებელია და ერთად იმ მთლიანობას ქმნის, რომელიც თანამედროვე ადამიანის შინაგანი, ფსიქიკური აუცილებლობიდან მომდინარეობს. თანამედროვე პარმონია კონტრასტის პრინციპს ეფუძნება, რომელიც ჩვენივე შინაგან, ფსიქოლოგიურ კონტრასტებსა და წინააღმდეგობებს უკავშირდება.

კანდიდს კი იხილავს თანამედროვე ფერწერის ბუნებასთან მიმართების საკითხსაც; სახეზეა თანამედროვე ფერწერის თანდათანობითი (საბოლოო ჯამში კი, სრული) ემანისპაცია და განთავისუფლება ბუნებისაგან. „ხელოვნება ბუნებაზე მაღლა დგას!“ – ასეთია თანამედროვე ხელოვნების

კრედო, რომლის ანარეკლია და შედევი ფორმათა გეომეტრიზაცია (ჯერ კიდევ სეზანის შემოქმედებით დაწყებული) და, რაც მთავარია, უარის თქმა კონკრეტული საგნისა და, საზოგადოდ, რეალური სამყაროს ასაზვაზე.

ავტორის შეხედულებით, თანამედროვე ხელოვნება აქცევს რა ზურგს რეალობას, ამით იმთავითვე ადამიანის შინაგან, ფსიქიკურ სამყაროზე მიიმართება. თუკი „მატერიალისტური“ (საგნობრივი) ფერწერა აღმქმელს აიძულებდა ნახატში გარეშე არსებული რეალობა და ბუნების მიბატვა დაენახა, თანამედროვე ხელოვნება მას ნახატის „შინაგანი ცხოვრების“ ამოკითხვისადმი უბიძგებს და, რაც მთავარია, საშუალებას აძლევს საკუთარ ფსიქეგაზევე განიცადოს ნახატის უშუალო, პირდაპირი და „შინაგანი“ ზემოქმედება.

„დღეს თავისუფლების დღეა!“ — ამ ფრაზით გამოხატავს კანდინსკი თანამედროვე მხატვრული მეთოდების განსაკუთრებულ სიმრავლესა და მრავალფეროვნებას. მაგრამ ეს თავისუფლება ერთ ფუნდამენტურ, ძირულ ფაქტორს უკავშირდება — აღამიანის „შინაგან აუცილებლობას“ ანდა, სხვა სიტყვებით, აღამიანის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს.

### ბოლოსიტყვაობა

ნაშრომში განხილული იყო თეორიები და შეხედულებები, რომლებმაც განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ხელოვნებისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები.

თანამედროვე კულტურა და ხელოვნება მეცნიერების წინაშე ახალ ამოცანებსა და პრობლემებს წამოჭრის, რომელთა მოაზრება და გადაწყვეტა ინტერდისცი პლინარული მიდგომის აუცილებლობას გულისხმობს. დღევანდელ ეტაპზეც კულტუროლოგიურ დისციპლინათა ჭრილში ფსიქოლოგიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია და მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი კულტურასა და ხელოვნებას კრეატორ-შემოქმედსა და რეციპიენტ-აღქმელთან მიმართებაში შეისწავლის.

## **შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ანტიკურ მთოლოგიაში შშვნიური ფსიქა („სულიკო“) ამურმა, სიყვარულის ღმერთმა ამბორით გააცოცხლა და უკვდავების ნიშნად პეპლის ფრთხებით დაასახუქრა. ბერძნულ პარადიგმაში აისახა როგორც ერთული სულის მარადიულობის წყურვილი, ასევე სიყვარულის მაცოცხლებელი ძალისადმი რწმნა და უკვდავების სულის დინამიკასთან დაკავშირება (ფრთხი, ფრენა, სიმუშულე, დინამიკა).
2. იხდუეტორი – იდეის, განცდის, ლტოლვის, განწყობის გადამცემი ან გამცემი.
3. რეციპინტი – ინდუქციის მიმღები ან ადრესატი. რეცეპცია – აღქა.
4. პაროვნების კვლევებსა და ფსიქოლიაგნოსტიკურაში ფართოდ გამოიყენება ხელოვნების დარგებიც. ასე მაგალითდ, თემატური და თავისუფალი ნახატი იმთავროთ შეიცავს ფსიქოლიაგნოსტიკურ ინცირმაციას, არის რა ავტორთან და მის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული. შესაბამისად, ხელოვნების ნიმუშით მისი ავტორი შეისწავლება.
5. „სურუალისტური მანიფესტის“ ლოზუნგად სწორედ ახალი ხელოვნების უშუალო ხედვისები მიმღებება იქცა. შესაბამისად, იდეალად აღიარეს არასრულწლოვნთა – გონებითა და ცოდნით შეურყენელ, უმანკო ბავშვებისა და, უფრო მეტიც, ფსიქატრიული პაციენტების ან სრულად არაორდინარული, ჩვეულებრიობისა და სტანდარტულობის ჩარჩიებიდან ამოვარდნილი „შეშრდილებას“ შემოქმედდა.
6. ფსიქოსასლიშმა ხელოვნებისა და, საზოგადოდ, კულტურის დეტერმინანტად არაცნობირი, ინსტრუქტური ბიოლოგიური ძალები (ქროსი და თანატოსი ან სექსი და აგრესია) აღიარა.
7. ფუნდამენტურ ესთეტიკურ ფერომეტრებად, ტრადიციულად, მიზნევა კათარზისი, ემპათია ისათია, ტელე და სხვ., რომელთა არა მხოლოდ თეორიულ კვლევას, არამედ პრაქტიკულ-თერაპიულ გამოყენებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების ფსიქოლოგიაში.
8. თუკი ფოტოგრაფის სუბიექტურობაზე დღეს არარავნ დაობს (ფოტოგრაფია ხელოვნების დარღვად აღიარეს და შესაბამისად, მასში ავტორისეული ხედვა დააფიქსირებს), დოკუმენტური მასალის, ქრონიკის, მედია-ნიუსების საკითხი მაინც ღიად რჩება. არის ანგარიშგასაწევი შეხედულება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში რასამისი ასახვა რაკურსულობასთანა დაკავშირებული და თავისი არასთ სუბიექტურია. მედიის ძალაცლებურივნება (თუნდაც ტელეგრაფის სიმრავლე) აღნიშვნული შეხედულების აღუმენტად იქცევა, რადგანაც მათში ერთი და ივივე მასალა (რეალურ ფაქტი), იდეოლოგიური და პოლიტიკური პოზიციის შესაბამისად, სრულიად განსხვავებულ რაკურსში წარმოჩნდება. ივივე შეიძლება ითქვას მატეანებსა და სახელმძღვანელოებში ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებითაც, რადგანაც ამ შემთხვევაშიც კი, ობიექტური რეალობის ასახვა მის ამსახველ სუბიექტსა და მის პოზიციას (განწყობებს) უკავშირდება და შეესაბამება.
9. მოურეის „თემატური აპერცეპციის ტესტი“ პიროვნების კვლევის

პროექციული მეთოდებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ტესტი ცალკეული ბარათებისგან შედგიბა, რომლებზედაც სხვადასხვა შინაარსის ნახატებია წარმოდგენილი, მაგალითად: მოსაუბრე ქალი და მამაკაცი, ვაჟი ფანჯარასთან, ბიჭუნა ვიღლინონთი და სხვ. ტესტის შესრულება აღნიშვნული ნახატების გაგება-ინტერპრეტაციას გულისხმობის; უნდა აღიწეროს და აიხსნას, თუ რა ხდება თითოეულ ნახატზე. ნახატები არაერთმნიშვნელოვანია და მათი გაგება პიროვნებისვის დამასასათებელი ფსიქიკური თავისებურებებიდნ გამოიძინება ხედება. შესაბამისად, ნახატის აღწერისას პიროვნება, რეალურად, საკუთრი თავზე საუბრობს.

10. ანტიკური ანთროპიკნტრიზმის ნიმუშებია ღელფოსის შეგონება: „შეიცნ თავი შენი!“, სოფისტის მაქსიმი: „ადამიანი ყველაფრის საზომია!“ და სოფოკლესული: „მრავალი არს საკირველება, ადამიანზე საკირველი კი არა კვეყნება!“

11. მამესისის დეას ვხვდებით დემოკრიტესთანაც. მისი გაგებით, ხელოვნებას საფუძვლად ადამიანის მიერ ამა თუ იმ ცოცხალი არსების წაბატვა ედის. მაგალითად, შესიგალური ხელოვნებით ადამიანი – ფრინველს, ხოლო საფეიქო ხელოვნებით – ობობას პაბატს.

12. თათაქევის „თეოსიაუ ესტეტიკა“, მ., 1977.

13. ლოსევ ტ. „ისტოჯიუ ანთიენი ესტეტიკი“, მ., 1969.

14. ლოსევ ტ. „ისტოჯიუ ანთიენი ესტეტიკი“, მ., 1975.

15. ბექსტოტელ „ПoУтика“, მ., 1957.

16. თანამედროვე ფსიქოანდიზმა განავითარა პლატონის დეა „ღვთავებრივი იმშების“ შესხებ, აღიარა რა შემოქმედების საფუძვლად არაცნობიერი და ირაციონალური ძალები.

17. „ძვლია ბერძნული ტრაგედია“ თბ., 1996, გვ. 10-11

18. ამიგვლენტური ემოციები, რომლებშიც პარალელულად გაერთიანებულია სიმოვნები და უსიმოვნება, კრიპტოლუსიან, ცალსასა ემციათაგან განსხვავებით, ძლიერი ინტენსივობითა და მაღალი ემპათიურობით (გადამდებლობით) ხასიათდებან.

19. ევსეფი პამფილუსი (მე-4 სე).

20. ჯივილეგის ე. „Леонаქдо და ეინეი“ მ., 1974.

21. კრიტიკული წერილებიდან: „მანეს ხელოვნება იმდენად დაეცა, რომ გაკიცხვასაც აღარ იმსახურებს!“ (1865წ.).

22. ჯევალ დ. „Постимпакессионизм“, ლ., 1962.

23. „Сека გ. Синიქ პ.\_Пекеписка, письма, дневники“, მ., 1976.

24. „Сезан- пекеписка, воспоминаний соважемениников“, მ., 1972.

25. ფრონდის დოქტრინაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ანტიკოლური ინსტიტუტი – ეროსი (სექსუალური იმპულსი) და თანატოსი (აგრესიული იმპულსი).

26. ფრონდის სცოცხლის ფუნდამენტში არსებულ ლიბიდოზე, როგორც სექსუალურ ენერგიაზე, მიუთიერებს.

27. შეადარე: ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში „ფილე“ – კოსმოური სიყვარული და „ნეიკოსი“ – კოსმოური აგრესია. ხაზგასმული იყო ამ თრი ძალის

ჭიდილი და ურთიერთცვლა. (ბიბლიური – „შამი შენებისა და უამი ნგრევისა“).

28. პიონი (ველეშაპი) აპოლონმა დამარცხა და მის საფლავზე (დელფისში) საკუთარი სამოსნოს დაწესება ბრძანა. შეიძლება ვიულისხმოვთ, რომ მითი პიონისა და დიონისეს პარადოქსულ დაკავშირებას ახდენს.

29. ჩვენ ფ. „ჯიჯი თავისი მუსიკი...“ ვ. ცის ტანცის შესრულების დროის და სამარცხის დაკავშირებას ასევე დამასასიათებელი შეიძლება და სულიერი აშლილობის დაკავშირება. ორივეს საფუძვლად გადაუწყვეტელი ფისტოლოგიური პრობლემა (კერძოდ, დაუკმაყოფილებელი ბიოლოგიური მოთხოვნილება) ვდება. განსხვავებას აღნიშვნული პრიობლემის მხილდ სიმწვავა ან ინტენსივობა ქმნის; კერძოდ, თუ პრობლემა ნაელებად ინტენსიურა, მაშინ ის შემოქმედების სტრუქტურა იძლევა. ინტენსივობის ზრდასთან ერთად მისი პათოლოგიური ბუნება მატულობს და საბოლოო ჯამში, ის ფისტოლობის მიზნად იქცევა.

31. ასე მაგალითად, ალფრედ ჰინკოგის კინოსელოგიური „ფისტოლოგიური დეტექტივი“ (ე. წ., „სასპენსი“) გულისხმის ერთგვარ ჩაძირვას, შთასელას ადამიანის არაცნობიერ სიღრმეებში; ეს ერთგვარად სახივათო ფისტოლოგიური მოგზაურობაა, სადაც დეტექტივური ძიების (გამოძიების) მიზნად ადამიანის ფარული მხარების ამოციობა და მოკლევა იქცევა. ეს მართლაც და, კინოს ენით ამეტყველებული „ფისტოლოგიური“, ქვეცნიბიერი სწრაფვებითა და კომლექსებით, პაკანტურ როთოლითა და შიშხარევი ინტერესით (ფილმი „ფისტო“, „თავბრუსხვევა“ და სხვ.).

32. სანტტერესოა, რომ სტრესის მკლევარი, ჰ. სელიუ შემოქმედებას (როგორც მსატვრულ, ასევე მეცნიერულ შემოქმედებას) გამრავლების პროცესის ეტაპებს უფარდებს და შეუსაბამებს: 1. სიყარული ან სურვილი – ანუ ცოცხალი დანატერესება, ეთიუზიაზმი, სწრაფვა შემეცნებისა და შემოქმედებისკენ. 2. განაყოფებურება – შემოქმედის ტვინი ცხოვრებისული გამოცდილებით „განაყოფებურება“. 3. ორსულობა – მეცნიერი ან ხელოვანი იდეათა მატარებელი ხდება და თანაც ზოგჯერ ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. 4. მშობიარობის წინა ტკივილები – ამ დროს იდეა ან მხატვრული ხატი მომზიფებულია, რაც დისკიმიტორტის, „შემოქმედებითი ტანჯვეს“ სახით განიცდება. 5. მშობიარობა – ახალი იდეა ან მხატვრული ხატის დაბადება. 6. ასალშობილის შემოწმება – მეცნიერი ლოგიკურად და ექსპერიმენტულად ამოწმებს იდეას, ხოლო ხელოვანი – მხატვრული ხატის დამუშავებას და კორექციას მიმათაც. 7. სიცოცხლე – იდეა ან მხატვრული ხატი დამოუკლებელ ასებობას იწყებს. შემოქმედების ბიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირება და შემოქმედების რედუცირება-დაცვას უზრი დაბალ, ბიოლოგიურ საფეხურზე, რიგორუც ვხედავთ, არა მხოლოდ ფრონიდის სკოლისთვისა დამასასიათებელი, რომ მიზნებთა შორის უნდა დასახელდეს ბიოლოგიური მოდელის აღქმისა და გაგების სიილე, მისი „სიცხადე“; ეს ის პირველადი და ყველასათვის გასაგები ფუნდამენტია, რომელიც თითქოს დამატებით ახსნა-განმარტებებს აღარ საჭიროებს (Селье Н. „Стесс без дистесса“, M, 1978).

33. არაცნობიერის ფისტოლოგის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება იქნია „ნეროზთა ნაპოლეონის“, შარკოს კლინიკაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც. სახელგანთქმულმა „ექსპერიმენტმა ქოლგით“ ახალგაზრდა ფრონიდს ახალი რაკურსიდან დაანახა ადამიანის ფისიკა. შარკომ ჰიპნოზურ ტრანსში მყოფ ცდისპირს ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ ქოლგის პოვნა და ოთახში გაშლილი ქოლგით სიარული უბრძანა. მიუხედავად იმისა, რომ ცდიში მონაწილეებს არ ახსოვდა (და არც შეიძლება ხსომებოდა) არაცნობიერ მდგომარეობაში მიღებული ბრძანება-რაპორტი, იგი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ნაბრძახებს. კრიმილ, პოლილგის ქოლგას, ხსნიდა და ოთახში ასე „დასტერნობდა“. სასტერნობდა „სასტერნობდა“. სასტერნობდა, რომ „მარკოს ზომბა“ უზვეულო მოქმედების ახსნასაც ცდილობდა. რა თქმა უნდა, მან არაფერი იცოდა ალოგიკური ქცევეს რეალური მაზური და კერძოდ, ჰიპნოზური შთაგონების შეხებ. შესაბამის ქცევის „ნაპოზ“ ფისვედ მიზნებს არაფერი ჰიპნოზი საერთო რეალობასთან. შერკო ეს ექსპერიმენტმა არა მხოლოდ გამოავლინა ფისიკაში არსებული და ქცევაზე ზემოქმედი არაცნობიერი ძალები, არამედ ასევე ცნობიერების მიერ „ხელობრული“ მოტივების გამომუშავის ტენდენციაც ასანა, რომლითაც ცნობიერი ფისტება ქცევის ახსნა-გაგებას ცდილობს და რომელიც ფაქტობრივად, საკუთარი თავის მოტცუების ფორმას ატარებს. (ფენტ 3. „Психологију бессознательного“, М., 1990).

34. ფრონიდის თოროიული მოდელი კავშირშია ანტიკურ მოდელთან: ქმედოკლესთან ანტიპოლერი ფუნდამენტური ძალების სახით წარმოდგენდლის ფილერა – სივარული და ნეიიონი – სკვედილი.

35. სანტტერესოა, რომ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ კლასიკური დეტექტივის პრინციპზე ავტური. თიდი პოსი იძებს დიდი ხნის წინათ ჩატანილ დასმუულს, დაკითხავს მოწმებსა და თვითმხილვებს და საბოლოო მიდის დასკვნმდე, რომ დანაშაული სწრაფ მას უკავშირდება. „დეტექტიური უნრი“ აქ ფისტოლოგიურ წალასელისა და თვითმეტეცნების ანალოგია იქცევა. ჩვენ წინაშეა, ფაქტობრივად, თიდი პოსის მიერ საკუთარი თავის შეცნობის პროცესი. ასევე დეტექტიური ფანრის ფორმაში იყოთხება ფ. დოსტოევსკის ფისტოლოგორი რომანშიც („დანაშაული და საკედელი“, „მეტი კარაბაზოვები“), რაც პერსონაჟთა თვითმეტცნობისა და თვითანალიზის მეტაფორად შეიძლება გავითა.

36. შემოქმედების ტრადიციული მოაზრების ნიმუშები: 1. შემოქმედება ადამიანისგან გარეშე არსებული და ადამიანური ძალების მოქმედების შედეგია; ადამიანს ხელუნგით, შემოქმედებით ძალების მხოლოდ „გამტარის“ (მედუმის მსგავსი) ფუნქცია აკასრია. ასეთი შეხედულების ერთეული პირველი და თასაც პოლიტური თვალსაჩინოებისა – მუზა, მუსათა სავანე პარსის, პერას, აპოლონი, რიმელნიც არა მხოლოდ მფარველობებზე ხლოენებას, არამედ მათ მომლოდინე ადამიანს შემოქმედების ნიმუში და სტიმულად ევლინებიან. 2. შემოქმედება კავშირდება ფისტოლოგიურ ავტომატურ მექანიზმით (პოლიტურ შთაგონებასთან), რომელიც თავისით, ადამიანის (ადამიანის ცნობიერების) აქტიური ჩარევის გარეშე მოდის მოქმედებაში. მეორე შეხედულების თანამედროვე ვარიაციად უნდა იქნეს მიჩნეული ზ. ფრონიდის ხელოვნების თეორიაც.



81. www.Apa.com (american psychologikal association)  
 82. www.Marcuse.org.  
 83. www.Washtech.org  
 84. www.Erlbaum.com (Mind, culture, activity)  
 85. www.Decordot.com (Society and culture)  
 86. www.Psychedrama.ru  
 87. www.Socialpsychology.org  
 88. www.Culturalstudies.net

## პირთა საძიებელი

<b>ა</b> ანჯაფარიძე გ. 109 არისტოტელე 15, 19, 28	<b>ბ</b> ბაირონი ჯ. 31, 32 ბალი გ. 60 ბარათაშვილი გ. 100 ბერგმანი ი. 88 ბერნაისი ი. 20 ბოებე ი. 78 ბუნინი ივ. 112	<b>გ</b> განდინსკი გ. 116 გოულპე ო. 8 გორნელი გ. 20, 31 გრილოვი ივ. 112	<b>დ</b> დავაიშვილი ს. 109
	<b>ვ</b> ვახსი ჰ. 52 ვოლა ე. 25		
	<b>თ</b> თაყაიშვილი ს. 109		
			<b>ი</b> იავე ა. 90 იბსენი ჰ. 26 ივანოვი გ. 20 იუნგი კ. 8, 41, 62, 92, 101
	<b>ბ</b> ბოეთე ი. 78	<b>ბ</b> ბანტე ა. 78	<b>ლ</b> ლანგი ფ. 106 ლაფონტენი ჟ. 31, 112 ლეონარდო და ვინჩი 23 ლესინგი გ. 20 ლომბროზო ჩ. 30
		<b>ღ</b> ღაბარტი რ. 31 ღემოქრიტე 15, 30 ღიდრო ღ. 106, 112 ღილთაძე ვ. 8 ღოსტოვესკი თ. 26, 36, 48	
	<b>ქ</b> ქზოპე 112 ქსეილე 19	<b>ჰ</b> ჰანი თ. 88 ჰარეუზე ჰ. 52, 58 ჰიქელანჯელო 22 ჰოცარტი გ. ა. 31	
	<b>ჰ</b> ჰაგნერი რ. 78, 81, 113 ჰიგოტსკი ლ. 8, 20, 54, 110 ჰოლტერი 31 ჰუნდტი 3, 15		

**6**

ნათამე რ. 106  
ნიუტონი ო. 31  
ნიცშე ფ. 26, 78  
ნოიმანი ე. 89, 92

**7**

ფელინი ფ. 88  
ფრეინდფელსი გ. 36  
ფრონდი ზ. 11, 12, 33, 67, 78, 92,  
111

**პ**

პითაგორა 15  
პიკასო პ. 85  
პლატონი 16, 18, 22, 30, 44, 48  
პლუტარქე 91  
პო ე. ა. 32  
პოლოკი ჯ. 78  
პრუსტი გ. 26  
პუშკინი ა. 112

**გ**

შექსპირი უ. 36, 48, 112, 113  
შონბერგი ა. 12  
შოპენჰაუერი ა. 27, 32

**ჸ**

ჭავჭავაზე ი. 100

**ჟ**

ჟანე პ. 84  
ხომერიკი გ. 21

**რ**

რაველი გ. 26  
რანკი ო. 40, 48, 52

**ჳ**

კომერიკი გ. 21

**ს**

სეზანი პ. 25  
სერა ჯ. 24  
სოფოკლე 18, 46  
სტრაბონი 17  
სტრინდბერგი ა. 26

**ჴ**

ჰაიდელი ო. 114  
უზნაძე დ. 95

**ჵ**

კომისი ჯ. 86

**ჶ**

ჰაიდელი ო. 114  
უზნაძე დ. 95

**ჷ**

ჰაიდელი ო. 114  
უზნაძე დ. 95

